UN WOMEN FUND FOR GENDER EQUALITY

გამოცდილება და პერსპექტივები

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები

შინაარსი

შესავლის მაგიერ 4

პროექტის შეფასება 7

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - მუნიციპალურ დონეზე გენდერული პოლიტიკის ინტეგრირების მექანიზმი 11

ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული მიდგომების დანერგვის პერსპექტივა 18

წარმატების საწინდარი - პროცესში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა 30

მედიის გენდერული აქცენტები 36

მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა - გენდერული ბიუჯეტის საფუძველი 46

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის 60

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო: ფორმირებიდან შედეგებამდე 66

სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნის და მუშაობის ისტორია 76

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო - პროექტების განხორციელება 87

სამოქალაქო საზოგადოება და გენდერული თანასწორობის პოლიტიკა რეგიონებში 95

ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის
გენდერული საკონსულტაციო საბჭოების
ქსელი – პროექტის რეგიონალური
გამოცდილება 104

მუშაობის შედეგები 111

დანართი 115

პრეს-რელიზი 116

საკრებულოსთან არსებული გენდერული
საკონსულტაციო საბჭოს (გსს) დებულება 119

თანამშრომლობის მემორანდუმი
ქ. ოზურგეთის საკრებულოს, მერიასა და
კულტურულ-ჰუმანიტარულ
ფონდ „სოხუმს“ შორის 125

სენაკის მუნიციპალიტეტის
სამოქალაქო ჯგუფების გენდერულ
საჭიროებათა კვლევა ადგილობრივ
ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის 132

ქუთაისის მუნიციპალიტეტის
ადგილობრივი ბიუჯეტის
გენდერული ანალიზი 153

სტრატეგია საქართველოს ადგილობრივ
თვითმმართველობებში გენდერული
თანასწორობის საბჭოს ფორმირებისა
და ფუნქციონირებისთვის 183

შესავლის მაგიერ

ამ გამოცემაზე, როგორც არასდროს, პროექტის მთელი გუნდი ვმუშაობდით.

ვმუშაობდით სიამოვნებით, ინტერესით - საკუთარ პოზიტიურ შედეგებზე საუბარი ყოველთვის იწვევს ასეთ განცდას.

ამიტომაც ეს წიგნი განსხვავებულია ფონდი „სოხუმის“ უამრავ გამოცემას შორის. ჩვენ ასე დაწვრილებით პირველად ვუზიარებთ დაინტერესებულ პირებს ჩვენს გამოცდილებას, ვასწავლით, როგორ გააკეთონ ჩვენსავით და უკეთაც, რომ უკეთეს შედეგებს მიაღწიონ...

ჩვენი ორგანიზაცია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ 1997 წელს დაფუძნდა ქუთაისში და თითქმის 20 წელია, აქტიურად მუშაობს მთელ დასავლეთ საქართველოში.

ჩვენი მთავარი მისიაა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში და წლების მანძილზე განხორციელებული პროექტებიც სწორედ ამ მისიის შესრულებას გულისხმობს - იქნება ეს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია თუ სამშვიდობო საქმიანობა, ახალგაზრდობის გააქტიურება თუ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა...

2013-2016 წლებში ფონდმა „სოხუმმა“ განახორციელა საკმაოდ რთული, მნიშვნელოვანი და ამბიციური პროექტი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“.

პროექტი მოსალოდნელზე უფრო წარმატებული შეიქნა - ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბებით ქალთა როლიც ამაღლდა და რეგიონებში სოციალური ცვლილებებიც გამოჩნდა.

ნაყოფიერმა მუშაობამ გამოიწვია ის, რომ ბევრ მუნიციპალიტეტში გაჩნდა მსგავსი საბჭოს შექმნის სურვილი.

კიდევ უფრო მეტი, ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრა გენდერული საბჭოების ჩამოყალიბება.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ და 2016 წლის 28 აპრილს დამტკიცებულ იქნა შემდეგი ცვლილება:

„მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო“.

2016 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესული ცვლილების პარალელურად შევიდა ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.თ) ქვეპუნქტი: „მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სათათბირო ორგანოების (საბჭო, კომიტეტი და სხვა) შექმნა და მათი საქმიანობის წესის განსაზღვრა“.

ჩვენ როგორ ვიწყებდით? რას ვაკეთებდით? როგორ ვაღწევდით დასახულ ამოცანებს? ვინ გვიჭერდა მხარს? რას მივაღწიეთ? რა კვალი დავტოვეთ იქ, სადაც ვმუშაობდით?

წიგნი ცდილობს, უპასუხოს ამ შეკითხვებს.

გიამბობთ ჩვენს განვლილ გზაზე, მდიდარ სამწლიან გამოცდილებაზე.

ცვლილებებზე, რომლებიც მუშაობის დასასრულს გამოჩნდა.

გავლენაზე, რომელიც საზოგადოებაზე, სამთავრობო წრეებსა და მედიაზე მოხდა.

ადამიანებზე, რომლებიც ამ ცვლილებებს უწყობდნენ ხელს.

ჩვენ ყოველთვის ყველას ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას, ვეხმარებით გზის გაკვალვაში, რადგან ჩვენთვის არასდროს ყოფილა პროექტი პროექტისთვის. ჩვენი მიზანია ბევრი მხარდამჭერის მოპოვება და უკეთესი ცხოვრების, მეტი კეთილდღეობის, სამართლიანობის და თანასწორობის დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში.

ამიტომაც გავხადეთ ჩვენი გენდერული გამოცდილება საჯარო. თუმცა მანამდეც ყველა ჩვენი აქტივობა თუ გამოცემა აისახებოდა ვებ-გვერდზე, ახლა ყველა დაინტერესებულ ადამიანს, სამთავრობო თუ საზოგადოებრივ ჯგუფს ვთავაზობთ რეცეპტს პრობლემებთან გამკლავებისთვის, გზამკვლევს კარგი შედეგების მიღწევისთვის - როგორ უნდა გააკეთონ იმათ, ვინც აწი დაიწყებს მუშაობას, რა უნდა გაითვალისწინონ, რა უფრო ეფექტურად მუშაობს, რას მიაქციონ ყურადღება, რა გზა გაიარონ.

წარმატებებს ვუსურვებთ გენდერული თანასწორობის ყველა საბჭოს, რომელიც საქართველოს მუნიციპალიტეტებში შეიქმნება. წარმატებებს და ბევრ სასიკეთო შედეგს.

ვფიქრობთ, რომ თქვენს წინაშე საინტერესოდ წასაკითხი წიგნია.

პროექტის შეფასება

მარინა გურგო
საერთაშორისო ექსპერტ-შემფასებელი

ფრაგმენტები შეფასებიდან

მდგრადობა

პროექტის შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შედეგები იმისათვის, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭო გახდეს უფრო მდგრადი გენდერული პრობლემატიკის გათვალისწინებისას ადგილობრივ დონეზე. ასევე მიღწეულ იქნა ცვლილებები კანონმდებლობაში, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ქსელების შექმნა, სახელმძღვანელო პრინციპები ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და თემატური რეკომენდაციები. არსებობს დიდი იმედი, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭო განაგრძობს ფუნქციონირებას სამ ქალაქში, რადგანაც მათ ექნებათ მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მერიისაგან. მათი დებულება დამტკიცებულ იქნა სამივე ქალაქში (2014 წელს), დაფინანსდა ერთობლივი პროექტები, რომლებიც ინიცირებული იყო გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ, დამტკიცდა ადგილობრივი გენდერული თანასწორობის გეგმა.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრების და თანამშრომლების პოტენციალი, რაც პროექტის ფარგლებში გაიზარდა, უნდა იყოს საკმარისი, რომ გაგრძელდეს საჭიროებათა ანალიზი, გენდერული დაგეგმარება და ბიუჯეტირება, ასევე თანამშრომლების გადამზადება. უნდა მოხდეს გენდერულ საკითხებში მრჩეველების და-

ნიშვნა და დაფინანსება 2017 წლის ბიუჯეტიდან, იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს თანამშრომლობა საკრებულოს წარმომადგენლებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. პასუხისმგებელ პირთა და ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოცდილება (სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) გვარწმუნებს, რომ ასეთი თანამშრომლობა გაგრძელდება.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობის მაღალი ხარისხი და მათი გავლენა გენდერული პრობლემების მოგვარებაზე ჩანს გადაწყვეტილების მიმღებ უმაღლეს პირთა და სამიზნე ჯგუფების ქალთა საქმიანობაში, რაც იმის ნათელი მაგალითია, რომ მოდელმა დაამტკიცა თავისი აქტუალობა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საჭიროებების მიმართ. არის სურვილი, ეს მოდელი გავრცელდეს სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობამ სერიოზული მხარდაჭერა მიიღო საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მხრიდან. გამიზნულია შემდგომი ნაბიჯები, რომლებიც განსაზღვრავს, როგორ უნდა გაუმჯობესდეს კოორდინაცია გენდერული თანასწორობის გეგმების განხორციელებისას ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, რამაც დადებითი გავლენა უნდა იქონიოს ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობისას, განამტკიცოს გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობა, ხელი შეუწყოს გენდერული პრობლემატიკის წამოწევასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობის გაზრდას. მიუხედავად ამისა, არსებული საპილოტე პროექტის შედეგების მნიშვნელობის

გათვალისწინებით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სასურველია შესაბამისი ორგანოების უფრო აქტიური მონაწილეობა ეროვნულ და რეგიონულ გადაწყვეტილებებში, მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში.

გავლენა

პროექტმა აშკარა გავლენა მოახდინა კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარებაზე ადგილობრივ დონეზე, რამაც შექმნა უფრო ხელსაყრელი პირობები გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მასშტაბების გავრცელებისა და გაზრდისათვის. გარდა ამისა, გარკვეული შედეგი იქნა მიღწეული ინსტიტუციურ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილ პირთა საქმიანობაში დასავლეთ საქართველოს სამ ქალაქში და საშუალება მისცა მათ, აიღონ მეტი პასუხისმგებლობა გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებზე, მხარი დაუჭირონ გენდერული თანასწორობის განვითარებისათვის გამიზნულ პროექტებს.

გაფართოვდა უფლებამოსილ პირთა (ქალები სამიზნე ჯგუფებიდან) გავლენა, რომლებიც ჩართულნი არიან ამომრჩეველ ქალთა კლუბებში და მონაწილეობენ მინი საგრანტო პროექტებში, გაიზარდა გენდერულ საჭიროებათა შეფასებასა და კვლევებში მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე. ქალთა მონაწილეობა გახდა უფრო ხილვადი გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობის გამჭვირვალობის შედეგად. გაიზარდა მათი პასუხისმგებლობის დონე პრობლემებისა და საჭიროებების განსაზღვრის და დაგეგმვის პროცესში ადგილობრივ დონეზე.

პროექტმა შეცვალა დამოკიდებულება ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის მიმართ, ხელი შეუწყო მის გაღრმავებას. ასეთი თანამშრომლობა სასარგებლო აღმოჩნდა ორივე მხარისთვის უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით სასურველი იქნება ქალთა მონაწილეობის გაზრდა და გაძლიერება რეგიონებში.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - მუნიციპალურ დონეზე გენდერული პოლიტიკის ინტეგრირების მექანიზმი

ალლა გამახარია
პროექტის დირექტორი

როგორ დაიწყო ყველაფერი? ამ შეკითხვას ხშირად გვისვამენ, როცა მიღწეულ შედეგებზე ვლაპარაკობთ.

ხუთი წლის წინათ, როცა პროექტი მხოლოდ იდეაში გვქონდა და ვოცნებობდით იმაზე, რომ შეგვძლებოდა სიტუაციაზე გავლენა, სიტყვები „გენდერი“ და „გენდერული თანასწორობა“ ჯერაც რთულად აღიქმებოდა როგორც სამთავრობო სტრუქტურებში, ასევე საზოგადოების ფართო წრეებში.

ამასობაში საქართველო წინ მიიწევდა. ასწრებდა სამხრეთკავკასიელ მეზობლებს - სომხეთსა და აზერბაიჯანს, ერთმანეთის მიყოლებით იღებდა პროგრესულ კანონებს - კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (2006 წ.), კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010 წ.), ანტიდისკრიმინაციული კანონი (2014 წ.). მოხდა ხელმოწერა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებისა, როგორებიცაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება, ათასწლეულის პროგრამა თავისი 17 მიზნით, რის შედეგადაც გენდერული საკითხების წამოწევა საქართველოსთვის პრიორიტეტულად და მნიშვნელოვნად იქცა.

ინსტიტუციურ დონეზე საქართველოს პარლამენტთან შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, შემუშავდა და მიღებულ იქნა გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2014-2016 წწ.) უმთავრესი ამოცანით - ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა.

მიღებული კანონებისა თუ დოკუმენტების მიუხედავად, გენდერული პოლიტიკის განხორციელება პრაქტიკულად რთულ პროცესად რჩებოდა. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და პოლიტიკის ფორმირებაში, უწინდებურად დიდ დისპროპორციაში იყო პოლიტიკურ პროცესებში მამაკაცების წილთან შედარებით და ყოველწლიურად შეინიშნებოდა კლების ტენდენცია - ყოველი შემდგომი საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნების შედეგად მცირდებოდა ქალთა მონაწილეობის დონე. მაგალითად, 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალთა წარმომადგენლობა შეადგენდა 17%-ს, 2008 წლის არჩევნების შედეგად კი - მხოლოდ 6%-ს.

ასევე შეიმჩნეოდა ქალთა რაოდენობის შემცირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში - 2002 წელს ქალები 12%-ით იყვნენ წარმოდგენილები, 2006 წელს – 11%-ით, ხოლო 2010 წელს – 10%-ით.

შექმნილ ვითარებას ვერ ეგუებოდა საქართველოს ქალთა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა იმ კანონების განსახორციელებლად, რომლებიც გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოებს უზრუნველყოფდა.

ფონდი „სოხუმი“ ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული ყველა პროცესში, რომელიც მხარს უჭერდა ქართულ საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას.

ამომრჩეველ ქალთა კლუბების, ლიდერ გოგონათა სკოლის, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების შექმნა და განვითარება ხელს უწყობდა ქალთა გაძლიერებას, მათ მომზადებას პოლიტიკური მონაწილეობისათვის, საკუთარი უფლებებისათვის (მათ შორის - გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე) მებრძოლი ახალგაზრდა ქალების ახალი თაობის ჩამოყალიბებას.

სიტუაციის ანალიზი წარმოაჩენდა, რომ ეროვნულ დონე-

ზე გენდერული დისბალანსის შეცვლისთვის დასაწყისში აუ-ცილებელი იყო მისი შეცვლა ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული ძალისხმევის შედეგად, 2014 წელს ადგილობრივ არჩევნებზე მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა დეპუტატ ქალთა რაოდენობა - 10%-დან 11,6%-მდე. მაგრამ არც ერთი მერი ქალ-ბატონი არ იყო 12 თვითმმართველ მუნიციპალიტეტში / ქალაქში, ხოლო 59 დანიშნული გამგებლიდან მხოლოდ ერთმა ქალმა დაიკავა ეს თანამდებობა.

ჩვენ მუდმივად ვმსჯელობდით იმ კითხვების გარშემო, რომლებიც ქალთა სამოქალაქო საზოგადოების წინაშე იდგა - რა გავაკეთოთ? როგორ მოვიქცეთ? როგორ შევცვალოთ სიტუაცია გენდერული კუთხით?

საბოლოოდ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გამოგვეყენებინა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით დაგროვილი გამოცდილება, ამომრჩეველ ქალთა კლუბების, ლიდერ გოგონათა სკოლის, ქალთა მხარდაჭერის ცენტრების დიდი რესურსი, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს ქალთა გენდერულ ქსელთან პარტნიორობა და დაგვეწყო მუშაობა ინოვაციურ ინსტიტუციურ მექანიზმზე, რომელიც უზრუნველყოფდა გენდერულ თანასწორობას ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე.

ასე გაჩნდა პილოტური პროექტი, რომელიც მიზანმიმართული იყო მუნიციპალიტეტებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისკენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დასავლეთ საქართველოს სამ მუნიციპალურ ერთეულში - ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭოები.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შემადგენლობაში შევიდნენ: ადგილობრივი საკრებულოების დეპუტატები,

თემთა ლიდერები, ამომრჩეველ ქალთა კლუბების, ლიდერ გოგონათა სკოლის, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, იძულებით გადაადგილებული ადამიანები და ქალაქების ადგილობრივი მცხოვრებლები. საბჭო გახდა პირველი ინსტიტუციური მექანიზმი გენდერული პრობლემატიკის კუთხით მუნიციპალურ დონეზე.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ძირითადი ამოცანებია:

- გენდერულად მგრძნობიარე მუნიციპალური პროგრამების, გენდერული პოლიტიკის და ბიუჯეტის ინიცირება და მონაწილეობა მათ შემუშავებაში;

- არსებული ან მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგი გენდერული მიდგომების მიხედვით;

- საზოგადოებასთან ურთიერთობის მხარდაჭერა და მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის გენდერული საჭიროებების შეფასება;

- რეკომენდაციების შემუშავება ადგილობრივი და ეროვნული სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის;

- ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართვის ლობირება.

პროექტმა გაზარდა წლიური მუნიციპალური ბიუჯეტების დაგეგმარებაში სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრეების მონაწილეობა, უფრო გამჭვირვალე და სამოქალაქო საზოგადოებისთვის გასაგები გახადა პროცესი, ხელი შეუწყო ადამიანებისკენ მიმართული პროგრამებისა და პროექტების ფართო განხილვას. ქალთა ხმა უფრო ხმამაღლა გაისმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ქალები თავიანთ თემებში უფრო გამოკვეთილი და შესამჩნევი ლიდერები გახდნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს ერთ-

ერთ პირველ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას სახელმწიფო მომსახურებით - განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, წყალმომარაგება, წყალარინება, ელექტრომომარაგება და უსაფრთხოება. ის აგრეთვე სტიმულს აძლევს ეკონომიკის განვითარებას. ყოველივე ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ამიტომაც გენდერული საკონსულტაციო საბჭოების, როგორც გენდერული ასპექტების პირველი ინსტრუმენტის, პოტენციალის განმტკიცებამ გამოიწვია ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალურ დონეზე. მექანიზმი ამუშავდა და ეს მამაკაცმა დეპუტატებმაც აღიარეს:

> **„როცა საზოგადოებას დავანახებთ ეფექტს პრაქტიკული მაგალითებით, მას უკვე აღარ დასჭირდება მიმართულება - თვითონ გააკეთებს არჩევანს ქალების სასარგებლოდ.“ - ავთანდილ მექვაბიშვილი, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (2014 წ.).**

> **„ქალებისგან შემოსულ ინიციატივას, რომელიც საკრებულოში კენჭისყრაზე დადგება, ჩემი ერთი ხმა გარანტირებული ექნება.“ - ზურაბ აფაქიძე, სენაკის საკრებულოს წევრი (2014 წ.)**

სხვადასხვა საკითხის განხილვასა და დაგეგმვაში ქალთა აქტიურმა ჩართვამ შესაძლებელი გახადა ისეთი წინადადებების დასმა, რომლებიც ასახავენ არა მარტო ქალების, არამედ მოსახლეობის სხვა, ადრე დისკრიმინირებული ჯგუფების საჭიროებებს. ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელისუფლების, ძირითადად, მისი მამაკაცური ნაწილის, გენდერული

მგრძნობელობის ზრდას, უთანასწორობის ხარისხის შემცირებას და ყურადღება მიაპყრო ქალებისა და მამაკაცების კონკრეტულ საჭიროებებს.

„გენდერული საბჭო - ეს არის კომუნიკაცია სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის და ნაყოფიერი საქმიანობა. რამდენიმე პრობლემა უკვე გადავჭერით, აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ საბჭოს შექმნა აუცილებელი იყო“. - დინარა ხუხუა, სენაკის საკრებულოს დეპუტატი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2014 წ.).

მეტად მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი ხელისუფლების, განსაკუთრებით ადგილობრივი ადმინისტრაციის წამყვანი განყოფილებების (დაგეგმარება, ბიუჯეტირება და მომსახურების გაწევა) კვალიფიკაციის და პოტენციალის განვითარება გენდერულ საკითხებში.

ადგილობრივი მთავრობის თანამშრომლებს უნდა აეთვისებინათ ახალი უნარები და ცოდნა, შეესრულებინათ გენდერული ანალიზი, რათა კარგად გაეგოთ, რა ინფორმაცია სჭირდებათ და, შესაბამისად, შეემუშავებინათ პოლიტიკა, პროგრამები და გეგმური ბიუჯეტები გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

სამივე საკრებულოს დეპუტატთა შორის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად (ისინი მონაწილეობდნენ ტრენინგებში გენდერულ საკითხებზე), 85%-მა მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიიჩნია მიღებული ცოდნა. ტრენინგებმა არა მარტო დამატებითი ცოდნა მისცა მათ, არამედ კვლევის ჩატარების უნარიც, დაეხმარა იმის გარკვევაში, რა არის გენდერული ბიუჯეტი, როგორ დაწერონ საპროექტო წინადადება.

„2015 წლის ბიუჯეტში ჩავსვით გენდერული საკონსულტაციო საბჭოს კვლევების შედეგად გამოვლენილი მუხლები. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ისეთი უხვი ბიუჯეტი, რომ ყველა გამოკვეთილი საჭიროება დაიტიოს, მაგრამ მომავალ წელს გვაქვს პრიორიტეტები, რისი გათვალისწინებაც აუცილებლად მოხდება. გაგრძელდება თანამშრომლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და გენდერული საკონსულტაციო საბჭოდან შემოსული ყველა წინადადება გაანალიზდება. მეტი ინფორმაციით და საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით ყველა საჭირბოროტო საკითხი ასახვას ჰპოვებს ბიუჯეტში - ქალაქის მთავარ საფინანსო დოკუმენტში“. - ირმა პეტრიაშვილი, ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე (2015 წ.).

ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული მიდგომების დანერგვის პერსპექტივა

ალლა გამახარია
პროექტის დირექტორი

2013 წლის 1 სექტემბრიდან ფონდმა „სოხუმმა“ დაიწყო მუშაობა პროექტზე „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“.

ეს არის პილოტური პროექტი, რომელიც მიმართულია გენდერული ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავებისკენ მუნიციპალურ დონეზე.

პროექტის მხარდამჭერია UN Women გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდი (ნიუ-იორკი) საქართველოში UNW-ის ოფისის კოორდინაციით.

პროექტის ძირითადი მიზანია ადგილობრივ ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაფართოება დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში დასავლეთ საქართველოს სამ ქალაქში, რაც ხორციელდება 5 სტრატეგიის მიხედვით:

პირველი სტრატეგია: ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალურ დონეზე და გენდერული ასპექტების გათვალისწინება ადგილობრივი თვითმმართველობის სტრატეგიასა და პროგრამებში ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის ადგილობრივ საკრებულოებთან გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნით

მეორე სტრატეგია: ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობის კუთხით

მესამე სტრატეგია: გენდერული ბიუჯეტის წამოწევა ბიუჯეტის გენდერული ანალიზის სახელმძღვანელოს უზრუნველყოფითა და სწავლებით

მეოთხე სტრატეგია: გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელის სახელით კანონმდებლობაში გენდერულ საკითხებზე ინიციატივების შეტანის ადვოკატირება და ლობირება.

მეხუთე სტრატეგია: დევნილ ქალთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა პოტენციალის განმტკიცება და მათი მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივ პროცესებში

შემუშავებული 5 სტრატეგიის განხორციელებისათვის დასახული იქნა მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კონკრეტული მიზნები:

1. სამ ქალაქში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი) შექმნილმა გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა წამოსწიეს გენდერული კომპონენტები ადგილობრივ ბიუჯეტებსა და პროგრამების დაგეგმვაში.

დასახული მიზნის მიღწევისთვის დაიგეგმა აქტივობების კომპლექსი. უპირველესად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ოფიციალურ დონეზე უნდა დაგვეფიქსირებინა ჩვენი სურვილი, მიგვეღწია დასახულისთვის, ხოლო ადგილობრივ მთავრობას - არა მარტო ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი, არამედ ხელშეწყობა გენდერული საკითხების წამოწევაში თავიანთ პოლიტიკაშიც, პროგრამებშიც და ბიუჯეტშიც.

ჩვენს წინაშე იდგა თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ამოცანა, რომ დაგვერწმუნებინა ხელისუფლება სწორედ გენდერული კუთხით თანამშრომლობის აუცილებლობაში.

ვითვალისწინებდით ამ ქალაქების ადგილობრივ ხელისუფლებასთან მუშაობის დიდ გამოცდილებას, ქალთა აქტი-

ურ რესურსს, თანამშრომლობის პრაქტიკას სხვა საკითხებში, მაგ., ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მხრივ, ამიტომაც დიდ წინააღმდეგობებს არ ველოდით და არც ყოფილა.

ჩვენ მიერ შემუშავებული მემორანდუმის პროექტი დეტალურად იქნა განხილული სამივე საკრებულოს იურიდიული სამსახურების, კომისიების, ბიუროს მიერ. ყველაფერი დადგენილი წესების მიხედვით მიმდინარეობდა. რასაკვირველია, ჩვენ ჩავატარეთ რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარეებთან, დეპუტატ ქალებთან და მამაკაც დეპუტატებთან, რომელთაც პროგრესულ, აქტიურ ადამიანებად მივიჩნევდით.

საბოლოოდ, დათქმულ დროს ხელი მოეწერა 3 მემორანდუმს სამ ქალაქში - ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში.

პროცესს საზეიმო, ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, ესწრებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების და საკრებულოს ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ამის შემდეგ დაიწყო საპასუხისმგებლო ეტაპი - წევრების შერჩევა გენდერული საკონსულტაციო საბჭოებისთვის. პროექტის თანახმად, საბჭოში 5 დეპუტატი და სამოქალაქო საზოგადოების 10 წარმომადგენელი უნდა შესულიყო - მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ამომრჩეველ ქალთა კლუბებიდან, ახალგაზრდა ლიდერთა სკოლიდან, სამოქალაქო აქტივისტები, ჟურნალისტები.

ჩვენ მიერ წინასწარ შედგენილი ანკეტა იყო მთავარი არგუმენტი, ესა თუ ის ადამიანი შესულიყო თუ არა გენდერულ საკონსულტაციო საბჭოში. საპროექტო გუნდიდან შეიქმნა კომისია, რომელიც გულდასმით განიხილავდა ყველა მასალას და ამტკიცებდა კანდიდატებს საბჭოს წევრებად. ამ შერჩევაზე იყო დამოკიდებული ჩვენი პროექტის ბედი, მისი წარმატება, ან - პირიქით - ჩავარდნა.

პირველ სხდომაზე გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს განსახილველად წარედგინათ „გენდერული საკონსულტაციო საბჭოების დებულება“, ამას მოჰყვა თავმჯდომარისა და მოადგილის არჩევა.

თუმცა დებულება ყველასთვის ერთი იყო შემუშავებული, თითოეული საბჭო მას თავისებურად მიუდგა და შესწორებები, ცვლილებები და დამატებები შეიტანა.

როდესაც გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბება დასრულდა, მაშინვე დაიწყო საგანმანათლებლო პროცესი. შედეგად, საბჭოს წევრებმა გაიარეს სწავლება შემდეგ საკითხებზე:

– გენდერისა და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა, სამართლებრივი ვალდებულებები ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში;

– ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებრივი მოვალეობები და სოციალური პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება;

– პროექტის წერის და მართვის უნარ-ჩვევები, მონიტორინგი და შეფასება;

– ბიუჯეტის გენდერული ანალიზი.

ყველა საკითხი ყურადსაღები და აქტუალური იყო. დეპუტატთა უმრავლესობას მანამდე არც ჰქონია შეხება მათთან, მაგრამ განვლილი კურსის შემდეგ სხვაგვარად შეხედეს ბევრ საკითხს, გენდერულად უფრო მგრძნობიარენი გახდნენ და ეს დაეხმარა მათ პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2. პროექტის მნიშვნელოვანი სტრატეგია იყო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში ადგილობრივ დონეზე და მისი ცნობიერების ამაღლება.

ამისთვის აქტიურად მუშაობდნენ ამომრჩეველ ქალთა კლუბები. ისინი ყოველ მეორე თვეს იკრიბებოდნენ, იხილავდნენ სიტუაციას თავიანთ ქალაქებში, მსჯელობდნენ საჭირ-

ბოროტო საკითხებზე, რომლებიც ხელს უშლის ადამიანთა კეთილდღეობას და რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების მეშვეობით.

კლუბების დღის წესრიგში იყო ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საკითხები - გზებზე მოსწავლეების უსაფრთხოება თუ მარტოხელა ქალისთვის სოციალური შემწეობის მოხსნა, უპატრონო ძაღლების სიმრავლე, დასასვენებელი ზონის უქონლობა რომელიმე ქუჩაზე ან ეზოში, სათამაშოების სიმცირე საბავშვო ბაღში, ქუჩის ცუდი განათება და მრავალი სხვა.

ამომრჩეველ ქალთა კლუბებზე განიხილებოდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ყველა აქტივობა, მათი რეკომენდაციები კვლევების ჩატარების შემდეგ, შემუშავებული წინადადებები ახალი ბიუჯეტის შედგენისთვის და სხვა. კლუბის სხდომებზე იწვევდნენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებს, მერიის, საკრებულოსა თუ გამგეობის სპეციალისტებს, რომლებიც კლუბის წევრებს განუმარტავდნენ მათთვის საინტერესო საკითხებს.

სისტემატურად ხდებოდა მოსაზრებების და ინფორმაციის გაცვლა, იზრდებოდა სახელისუფლებო სტრუქტურების და საზოგადოების ცნობიერება. ამგვარად, მიმდინარეობდა სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა მუნიციპალური პროგრამების და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამას გარდა, სისტემატურად იმართებოდა საინფორმაციო შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, ქალებთან, დევნილებთან, ეთნიკურ ჯგუფებთან, სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან და მარტოხელა დედებთან, პედაგოგებთან, ინტელიგენციასთან.

ამ გზით არა მარტო ვრცელდებოდა ინფორმაცია გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შესახებ, არამედ ეწყობოდა შეხვედრები საბჭოს წევრებთან - საკრებულოს დეპუტატებთან. საზოგადოებისგან წამოსული საკითხების ნაწილი, შემდგომი ადვოკატირებისთვის, გადადიოდა ამომრჩეველ ქალთა კლუბებზე, ნაწილი პირდაპირ მიდიოდა შემსრულებლებთან, დანარჩენი ნაწილი კი - იურისტებთან, რომლებიც ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამუშაო პროცესში.

იურისტები ყოველთვიურად ხვდებოდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს, ინფორმაციას აწვდიდნენ იმის თაობაზე, რომ მათ მიერ დასმული საკითხების გადაჭრა შესაძლებელია სამართლებრივი, კანონიერი გზით. ეხმარებოდნენ წერილების, განცხადებების, მიმართვების და სხვა დოკუმენტების წერაში. საკითხები გაჰქონდათ გენდერული საკონსულტაციო საბჭოების სხდომაზე, ადგილობრივ სამსახურებში.

ჩვენ გვესმოდა, რომ რაც არ უნდა ბევრი შეხვედრის ორგანიზება მოგვეხერხებინა, მაინც ვერ მოვიცავდით მოსახლეობის ფართო წრეებს. ამიტომაც პროცესში ჩავრთეთ ჟურნალისტები ყველა საშუალებიდან - ტელევიზიიდან, რადიოდან, ბეჭდური მედიიდან, აგრეთვე ინტერნეტგამოცემები და სოციალური ქსელები.

ყოველ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოში მუშაობდა ერთი ჟურნალისტი, როგორც საბჭოს წევრი. ორ თვეში ერთხელ ყველა ქალაქში ეწყობოდა შეხვედრები ჟურნალისტებთან. ოზურგეთსა და ქუთაისში შეხვედრები ხშირად იმართებოდა გენდერის მედია ცენტრში. ამგვარად, ჟურნალისტები ყოველთვის საქმის კურსში იმყოფებოდნენ, მათთან მეგობრული ურთიერთობები დამყარდა. მათ მიეცათ სტიმული, გენდერულ თემებზე დაეწერათ რაც შეიძლება მეტი სტატია, მოემზადებინათ მეტი რადიო და სატელევიზიო სიუჟეტი და გადაცემა. ყოველივე ეს გადაიცემოდა ადგილობრივ და ცენ-

ტრალურ სატელევიზიო და რადიოარხებზე, იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, ინტერნეტწყაროებში.

ამას გარდა, ჩვენ შევქმენით ვებ-გვერდი www.gac.fsokhumi.ge და ფეისბუქ-გვერდი, სადაც სამ ენაზე იყო განთავსებული ინფორმაცია ყველაფერზე, რაც ხდებოდა, შედეგები და მიღწევები, სატელევიზიო გადაცემები და რადიოგადაცემები, პუბლიკაციები. ინტერესი დიდი იყო, ინფორმაციას ეცნობოდნენ მომხმარებლები 100-ზე მეტი ქვეყნიდან.

წელიწადში ერთხელ, როგორც შემაჯამებელი დოკუმენტი, გამოდიოდა ჟურნალი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები“, მასში წარმოდგენილი იყო წლის მანძილზე გაწეული მუშაობა, ჩვენი წარმატებები და მიღწევები, სიძნელეები და ჩვენს წინაშე მდგარი გამოწვევები.

3. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მწვერვალია მუნიციპალიტეტის გენდერული ბიუჯეტი. ხშირად გვეუბნებიან, რომ ყველა ბიუჯეტი ისედაც გენდერულია, რადგან ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობაზე. შეიძლება ასეც ითქვას, მაგრამ ანალიზის გაკეთება და იმის ჩვენება, რამდენია ბიუჯეტში გენდერული კომპონენტი და რამდენად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, ამის თქმა არავის შეეძლო.

ფონდმა „სოხუმმა“ შეიმუშავა ბიუჯეტის გენდერული მგრძნობელობის ანალიზის მეთოდოლოგია და ჩაატარა ორი ანალიზი - 2014 და 2016 წლებში. ორივე განთავსებულია ჩვენს საიტებზე www.fsokhumi.ge და www. gac.fsokhumi.ge.

შეიძლება მათი წაკითხვა და შედარება. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ სურათი შეიცვალა. და თუმცა ყველა ქალაქის (ქუთაისი, ოზურგეთი, სენაკი) ბიუჯეტში არ ჩაწერილა მუხლები მინიშნებით „გენდერული“, ბევრმა პროგრამამ და მუხლმა ეს დატვირთვა შეიძინა და ჯამში გაზრდილია 2015 და 2014 წლებთან შედარებით.

ამ შედეგის მისაღწევად უზარმაზარი სამუშაოა გაწეული მუნიციპალიტეტების მოსახლეობის საჭიროებების შესწავლისათვის, შერჩეულია და გაანალიზებულია ყველა რეკომენდაცია, შედგენილია წინადადებათა ნუსხა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთობლივი საქმიანობისთვის.

საგანმანათლებლო პროექტების და გენდერული საჭიროებების კუთხით მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ჩნდებოდა ახალი პროექტების იდეები.

სულ დაფინანსდა 20 პროექტი, ძირითადად, ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით, მაგრამ ამასთანავე ოზურგეთში 4 პროექტი სრულად, 100%-ით დააფინანსა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. პროექტებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გენდერული მგრძნობელობის განვითარებისა და საზოგადოებაში გენდერის არსის გარკვევისათვის. ამან კიდევ უფრო გააძლიერა თვით საბჭოს წევრები, რადგან სწორედ ისინი იყვნენ საპროექტო იდეების ძირითადი შემსრულებლები. ინფორმაცია გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე, ადამიანების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაზე მისწვდა მოსახლეობის დიდ ნაწილს, ახალგაზრდობის ფართო წრეს, ქალებს, მამაკაცებს.

4. საინტერესო და ნაყოფიერი იყო მუშაობა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელის ორგანიზების კუთხით. პირველი, რაც გაკეთდა, ეს იყო შეხვედრა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეა. შეხვედრებზე, რომლებიც კეთილგანწყობილ და დაინტერესებულ ვითარებაში იმართებოდა, ჩვენ ვაცნობდით ინფორმაციას გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის შესახებ.

2014 წლის 13 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში გაიმართა ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის გენდერული სა-

კონსულტაციო საბჭოების გაფართოებული ქსელური შეხვედრა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან.

წარმოდგენილი იყო საბჭოების მუშაობის შედეგები, გამოიკვეთა საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია საპარლამენტო საბჭოსთან თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიის დასახვა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტში პირველად ჩატარდა ამ მასშტაბის შეხვედრა საკრებულოს წევრებთან და ეს პრეცედენტი ძალიან მნიშვნელოვანია.

„გენდერული პოლიტიკის შემუშავება და ბიუჯეტის გენდერული ანალიზი“, - ასეთი იყო ქსელური შეხვედრის თემა, რომელიც ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრებისთვის ჩაატარა ფონდმა „სოხუმმა“ 2014 წლის 19-20 სექტემბერს.

შეხვედრაზე იყო ბევრი ინფორმაცია, გამოცდილების გაზიარება, საინტერესო დისკუსიები. მონაწილეები ორიენტირებული იყვნენ, რათა მაქსიმალური შედეგი მიეღოთ.

„გენდერული თანასწორობის მიმართულებით ადგილობრივმა სამთავრობო სტრუქტურებმა მკაფიოდ უნდა დააფიქსირონ პოზიცია და მიიღონ კონკრეტული ზომები მისი მიღწევისთვის“, - აღინიშნა შეხვედრაზე.

პრაქტიკულმა სავარჯიშოებმა მონაწილეებისთვის კიდევ უფრო ნათელი გახადა ჩასატარებელი სამუშაოების აუცილებლობა. მათ გაწერეს რეგიონებში გენდერული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტი და შეიმუშავეს კონკრეტული წინადადებები ადგილობრივ ბიუჯეტებში გენდერული პრიორიტეტების ჩართვის კუთხით.

2015 წლის 30 ივნისს ბათუმში, სასტუმრო „ლეგასში“ გაფორმდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელის მემორანდუმი. მასში ფონდი „სოხუმის“ ძალისხმევით, შევიდნენ ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოები.

საგულისხმო იყო ყველა ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობა, როგორც ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის გამოხატულების დემონსტრირება.

ეს განწყობა კარგად გამოხატეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამავე დროს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები არიან: „ჩვენ წარმოვადგენთ როგორც გენდერულ საბჭოს, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას. კარგად გვესმის, რა რესურსს ფლობს არასამთავრობო სექტორი. ადგილობრივი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, წაგებული დარჩება, თუ ამ რესურსს ვერ გამოიყენებს“.

ქსელურ შეხვედრაზე გამოიკვეთა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობის შედეგები და სამომავლო გეგმები, რომლებიც არსებულ გამოწვევებს პასუხობს, აგრეთვე სურვილი – გავლენა მოახდინონ ქალთა და სხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობაზე, არსებული რესურსების უფრო სამართლიან განაწილებაზე.

იყო პრეზენტაციები, დისკუსიები, გამოცდილების გაზიარება. ყოველივე ამან წარმოაჩინა ამ რგოლების საქმიანობის მასშტაბები, მიღწეული საინტერესო შედეგები, სამომავლო გეგმები.

2016 წლის 11 თებერვალს ქუთაისში გაიმართა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მორიგი ქსელური შეხვედრა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში შეტანილი ცვლილებების განხილვა, ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა

დახმარების საქმეში - ამ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა სასტუმრო „რივერსაიდში“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, საკრებულოების დეპუტატები, გამგეობის და მერიის წარმომადგენლები.

მოწვეულმა ექსპერტმა ისაუბრა ოჯახში ძალადობის კანონში შეტანილ ცვლილებებზე, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებას ეხება.

როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა დახმარების საქმეში - ამ საკითხებზე ჯგუფებში შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები.

მონაწილეთა საერთო შეფასებით, შეხვედრა ინფორმაციული და პროდუქტიული იყო, რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის ეფექტურობას ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დახმარების საქმეში.

ამგვარად, მუნიციპალური გენდერული საკონსულტაციო საბჭოების და პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის სტიმულირებით, ხდებოდა ინფორმაციათა გაცვლა, კონსულტაციები და ერთობლივი საქმიანი ურთიერთობები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ეს თანამშრომლობა ეფექტური არხი იყო ინფორმაციის ნაკადისთვის, რომელიც ეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის საჭიროებებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურის და სამართლებრივი გარემოს შექმნას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევის მხარდაჭერისათვის, ახალი სოციალური მომსახურების შემუშავებისა და ადგილობრივ პოლიტიკასა და პროგრამებში გენდერული ასპექტების უზრუნველყოფისათვის.

5. პროექტის პიკი იყო საქართველოს კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი შესწორებები, რომლებიც დამტკიცებულია პრეზიდენტის მიერ 2016 წლის 28 აპრილს - ანუ საპროექტო მოქმედებების დასრულებამდე 4 თვით ადრე - ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნის და გენდერული მრჩევლის პოზიციის შემოღების შესახებ. ამგვარად, ჩვენს მიერ დაგეგმილი ინსტიტუციური მექანიზმი არა მარტო შეიქმნა და აპრობირებულ იქნა სამ მუნიციპალიტეტში, არამედ გამყარდა საკანონმდებლო დონეზე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მუშაობა დასრულდა. არა, პროექტის ვადა ამოიწურა, პროექტისა, რომელმაც დასაბამი დაუდო ხანგრძლივ და რთულ გზას, ამიტომ მუშაობა გრძელდება...

ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა სამ რეგიონალურ კონფერენციაზე, რომლებიც გაიმართა ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში. კონფერენციების მომზადება და ჩატარება მთლიანად გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა იტვირთეს და ღირსეულად გაართვეს თავი ამ საქმეს.

სამ კონფერენციაზე 150 ადამიანზე მეტი მონაწილეობდა და ისინი წარმოადგენდნენ ქუთაისის 12-ვე ტერიტორიულ ერთეულს, სამეგრელოს, გურიის და აჭარის მუნიციპალიტეტებს. კონფერენციაზე თვითმმართველობის ერთეულები არა მარტო გაეცნენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობას, მათ მიღწევებს და შედეგებს, არამედ ვირუსივით (ოღონდ კარგი გაგებით) გადაედოთ გენდერული საბჭოების შექმნის იდეა. გამოითქვა სურვილი, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში, შეცვალონ სიტუაცია თავიანთ მუნიციპალიტეტებში, განავითარონ გენდერული პოლიტიკა.

ძნელია, განიცადო უფრო დიდი სიხარული მიღწეული შედეგით - ეს იყო ჩვენი შრომის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასება!

წარმატების საწინდარი - პროცესში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა

ლალი შენგელია
პროექტის ასისტენტი

გენდერული საკონსულტაციო საბჭო - ეს არის გაერთიანებული რესურსები, ახალი ცოდნა და უნარები, თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ურთიერთპასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

ეს არის სიტყვები პრეს-რელიზიდან, რომელიც პროექტის დასაწყისში შემუშავდა.

თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მუშაობის განსაკუთრებული ასპექტია. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა მუშაობაში აუცილებელი პირობა და წარმატების საწინდარია უკეთესი ეფექტის მისაღწევად.

ამიტომაც ჩაისვა ჩვენს პროექტში ეს მნიშვნელოვანი რგოლი - უწყვეტი კავშირი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან.

ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში მუშაობა ტარდებოდა სამი მიმართულებით:

- ამომრჩეველ ქალთა კლუბების სხდომები
- საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან
- იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები

ერთ თვეში კლუბის სხდომა იყო, მეორე თვეში - საინფორმაციო შეხვედრა, იურისტები კი ყოველთვიურ შეხვედრებს აწყობდნენ.

ამომრჩეველ ქალთა კლუბების წევრები და საინფორმაციო შეხვედრებზე შეკრებილ ადამიანთა დიდი ნაწილი ყო-

ველწლიურად ანუ სამჯერ მონაწილეობდა გენდერული საჭიროებების შეფასების მიზნით გამართულ ფოკუს-ჯგუფებზე და აფიქსირებდა თავის ხედვას, პრობლემების პრიორიტეტულობას, სარეკომენდაციო წინადადებებს...

რა წვლილი შეიტანა პროექტის წარმატებაში საზოგადოებრივმა რგოლმა?

ამომრჩეველ ქალთა კლუბებს კარგა ხნის ისტორია აქვთ - 2006 წლიდან მუშაობენ რეგიონებში. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ფონდ „სოხუმს“ 9 კლუბი ჰქონდა - ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ხობში, ოზურგეთში, ბათუმში. კლუბებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა ტარდებოდა: სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ქალები თანასწორობის ხელშეწყობის მიზნისთვის იყვნენ გაერთიანებულნი.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნასთან ერთად სამივე ქალაქში პარალელურად განახლდა კლუბების მუშაობაც. კლუბების მოდერატორები საბჭოების წევრებად აირჩიეს და მათ პირველივე თვეებიდან დაიწყეს აქტიური მუშაობა - კლუბის სხდომებზე ეცნობოდნენ პროექტის მოქმედების სრულ კონტექსტს (სად, რომელ ქალაქში რა ხდებოდა, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, რა სიახლეები იყო), მსჯელობდნენ აქტუალურ საკითხებზე, მუშაობდნენ ადვოკატირების გეგმაზე, წერდნენ განცხადებებს, მონაწილეობდნენ საკრებულოს სხდომებზე და მიღებულ ინფორმაციებს აცნობდნენ კლუბის სხვა წევრებს. სხდომებზე რეგულარულად იწვევდნენ საკრებულოს დეპუტატებს, სხვადასხვა კომისიის წევრებს, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს და ერთობლივი ძალებით, ხშირად „ერთი ფანჯრის“ მეთოდითაც კი აგვარებდნენ პრობლემებს.

კლუბები ერთიანი სტრატეგიით მუშაობდნენ. შეიქმნა კლუბების ქსელი და გაიმართა ქსელური შეხვედრები ბორ-ჯომსა და ურეკში.

ამომრჩეველ ქალთა კლუბების მუშაობა მიმართული იყო ქალთა როლის გაზრდისაკენ პოლიტიკურ ცხოვრება-ში. ამომრჩეველთა გააქტიურებისაკენ, რათა ისინი გაცნო-ბოდნენ ქალი-კანდიდატების პროგრამებს და მათ შორის საუკეთესოებზე გაეკეთებინათ არჩევანი. ამ ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო - 2014 წლის არჩევნების შემდეგ გაიზარ-და ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა რაოდენობა. ოზურგეთში ორი საკრებულო შეიქმნა - მუნიციპალიტე-ტის საკრებულოში 43 დეპუტატიდან 5 ქალია, ხოლო ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში მიღწეულია გენდერული თანას-წორობა - 15 დეპუტატიდან 7 ქალია. ამაში, რა თქმა უნდა, არის კლუბის ადრინდელი მუშაობის წვლილი და კიდევ უფ-რო ინტენსიური - ოზურგეთის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად.

საინფორმაციო შეხვედრები ფონდი „სოხუმისთვის“ ტრადიციული, ჩვეული ფორმატია. ორგანიზაციის არ-სებობის სხვადასხვა ეტაპზე იმართება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა თემაზე. რაც შეეხება ამ პრო-ექტთან დაკავშირებულ შეხვედრებს, მათი ძირითადი თემა იყო - გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის დანერ-გვა.

ეს თემა სხვადასხვა რაკურსით განიხილებოდა ცალ-კეულ შეხვედრაზე. იყო საუბარი გენდერული პოლიტი-კის მნიშვნელობაზე, გენდერულ ბიუჯეტზე, ადგილობ-რივი ბიუჯეტით განსაზღვრულ პროგრამებზე და რეგიო-ნებში არსებულ პრობლემებზე (სოციალურად დაუცველი

ადამიანების მძიმე ყოფა, დევნილთა განსახლება, გენდერული ძალადობა, მიგრაცია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა...).

შეხვედრები იმართებოდა სახელმწიფო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საგანმანათლებლო თუ კულტურულ დაწესებულებებში, კოლექტიურ ცენტრებში - დევნილ და ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეთნიკური უმცირესობის, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან.

საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებს პროექტში ჩართული იურისტები წარმართავდნენ.

ტარდებოდა თემატური შეხვედრები მონაწილეთათვის საინტერესო კითხვებზე, კონსულტაციები სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით, ხდებოდა ინდივიდუალური და კოლექტიური პრობლემების ადვოკატირება და მოგვარება.

როგორც პროექტის იურისტები აღნიშნავენ, იურიდიული კონსულტაციები, ძირითადად, სოციალური სფეროდან გაიცემოდა. რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც გამოიწვევდა საქმის აღებას და სასამართლოში ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესების დაცვას, არ ყოფილა. თუმცა რამდენიმე პირისთვის მომზადდა სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი, განცხადება და სარჩელი სასამართლოში წარსადგენად.

პროექტის საზოგადოებრივი კომპონენტის დინამიკა ასეთი იყო: საინფორმაციო შეხვედრები წარმოაჩენდა პრობლემებს, კლუბის სხდომებზე ხდებოდა მათი განხილვა, ადვოკატირება და, საჭიროების შემთხვევაში - გენდერულ საკონსულტაციო საბჭოზე გატანა...

კოორდინირებული მუშაობა, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობა ხელს უწყობდა პრობლემების მოგვარებას.

ციფრებით რომ გამოვხატოთ, სურათი ასეთია:

ამომრჩეველ ქალთა კლუბების სხდომებზე დაისვა 50-ზე მეტი აქტუალური პრობლემა.

სამი წლის განმავლობაში 1000-მდე ადამიანმა მიიღო ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე.

კოორდინირებული მუშაობით:

კლუბებმა მოაგვარეს 30-ზე მეტი პრობლემა.

30-მდე პრობლემა მოგვარდა იურისტების ხელშეწყობით.

მოგვარებულ პრობლემათა ჩამონათვალი არც ისე მცირეა: ტრანსპორტის მუშაობის გრაფიკის გაუმჯობესება, ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება (გამხმარი ხეების მოჭრა, მავნე საამქროს დახურვა თუ დასუფთავების აქცია), მაწანწალა ძაღლების პრობლემა და სანაგვე ურნების დეზინფექციის საკითხის მოგვარება, დახმარების გაწევა ძალადობის მსხვერპლი ქალისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის, სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება, სახურავის შეკეთება, რემონტის ხელშეწყობა, გარე განათების პრობლემის მოგვარება, სანიტარიული მდგომარეობის გამოსწორება კოლექტიურ ცენტრებში, საბავშვო ბაღში ინვენტარის შეტანა, გზის საფარის რეაბილიტაცია, წყლის მილების გაყვანა...

სამწლიანი მუშაობის შედეგებიც თვალსაჩინოა:

შეიცვალნენ პროექტში ჩართული ადამიანები. შეიცვალა მათი დამოკიდებულება პრობლემების მიმართ. მიხვდნენ, რომ შესაძლებელია საკუთარი პრობლემების ადვოკატირე-

ბა. მათ მიერ ყოველი მოგვარებული პრობლემა სტიმულს იძ-ლეოდა ახალი პრობლემის ადვოკატირებისთვის. ყოველივე ამან გამოიწვია ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში ინფრას-ტრუქტურული თუ საყოფაცხოვრებო ცვლილებები, საინ-ფორმაციო მხარდაჭერა და პრობლემების სამართლებრივი გადაწყვეტა, არსებული პირობების გაუმჯობესება.

მართალია, მუშაობა დასრულდა, მაგრამ დარჩა მოგვა-რებული პრობლემები, აწყობილი ურთიერთობები და, რაც მთავარია, ადამიანური რესურსი, რომელმაც იცის, როგორ ითანამშრომლოს სახელმწიფო სტრუქტურებთან, როგორ წარმართოს ადვოკატირება უფრო ეფექტურად.

ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში არიან სხვადასხვა ასა-კის, პროფესიის და პოლიტიკური შეხედულების ადამიანები, რომლებიც მზად არიან, აქტიური სამოქალაქო პოზიციით ჩაერთონ მუშაობაში და იშრომონ მეტი თანასწორობისთვის, მეტი სამართლიანობისა და კომფორტისთვის...

მედიის გენდერული აქცენტები

ლალი შენგელია
პროექტის ასისტენტი

ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების ტექნოლოგიების დახვეწასთან ერთად, მედიაში სულ უფრო მატულობს სიახლეების ნაკადი. ჟურნალისტი უკვე არ არის უბრალოდ ინფორმაციის გადამცემი, ის აქტიურად მონაწილეობს სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში...

სრულიად ლოგიკურია, რომ მასმედიასთან აქტიური თანამშრომლობა ჩვენი პროექტის შემადგენელი ნაწილი იყო.

ვისთან ვთანამშრომლობდით?

ქუთაისში - „ახალი გაზეთი“, „ქუთაისი პოსტი“, „P.S.“, „Newpress“, ტელერადიოკომპანია „რიონი“, „მეგა TV“, „Free TV“, რადიო „თავისუფლება“, რადიო „ძველი ქალაქი“

სენაკში - „კოლხეთი“, „მთავარი თემა სამეგრელოში“, ტელეკომპანია „ეგრისი“,

ოზურგეთში - „ალიონი“, „გურია ნიუსი“, „გურიის რეგიონი“, „გურიის მოამბე“, „გურია TV“

რეგიონულ მედიასთან ჩვენ პროექტის დაწყებამდეც გვაკავშირებდა თანამშრომლობის გარკვეული წლები. სამივე ქალაქში კარგად იცნობდნენ ფონდი „სოხუმის“ გენდერულ ხედვას, ამან, რა თქმა უნდა, გააადვილა ურთიერთობა რეგიონულ ჟურნალისტებთან.

ახალი პროექტის ფარგლებში თანამშრომლობა აქტიური და სისტემატური გახდა. ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის საბჭოს წევრებს შორის იყვნენ ჟურნალისტები. ამას გარდა,

ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებთან ორ თვეში ერთხელ ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები. ჟურნალისტები ეცნობოდნენ პროექტის მიმდინარეობას, გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობას.

ჩვენი თანამშრომლობისათვის მთავარი ის კი არ იყო, რომ ჟურნალისტებს გაეშუქებინათ ფონდი „სოხუმის“ ღონისძიებები, არამედ მეტი ყურადღება მიექციათ გენდერული საკითხებისათვის.

ყველა ჟურნალისტი, რომელსაც ვხვდებოდით, ამბობს კიდეც, რომ უფრო მეტად დაინტერესდნენ სოციალური პრობლემებით და გენდერული თემებიც გაჩნდა მათ სიუჟეტებსა და სტატიებში. რაც მთავარია, ეს თემები საზოგადოებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა...

ჟურნალისტური მასალების ნაწილი, რა თქმა უნდა, ეხებოდა ფონდის საქმიანობას პროექტის ფარგლებში - გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხდომები, ჟურნალისტებთან შეხვედრები, საბჭოების დამოუკიდებელი პროექტები, გენდერულ საჭიროებათა შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება, გენდერული ბიუჯეტი, ადგილობრივი პოლიტიკა.

მასალების მეორე ნაწილში მოთხრობილი იყო ამ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებზე. ამ რუბრიკებში მოხვდნენ პოლიტიკოსი ქალები, პედაგოგები, ახალგაზრდები, ექიმები, მრავალშვილიანი დედები, ასაკოვანი ადამიანები...

სიუჟეტებისა და პუბლიკაციების მესამე ნაწილი კი ასახავდა ქალაქებისა და სოფლების საჭირბოროტო თემებს - ქალთა მიმართ ძალადობა, ნაადრევი ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ყოველდღიურობა, მიგრაცია, დასაქმება, დევნილთა განსახლება, უსაფ-

რთხოება, ეკოლოგია, ახალგაზრდობის თავისუფალი დრო, ბულინგი...

სამი წლის განმავლობაში გენდერულ საკითხებზე მომზადდა 150-ზე მეტი სატელევიზიო და რადიოსიუჟეტი, 200-ზე მეტი სტატია, 300-ზე მეტი დამატებითი მასალა.

სოციოლოგები მედიას არა მარტო სოციალიზაციის ინსტიტუტად მიიჩნევენ, არამედ გავლენის აგენტებად, რომლებიც ხელს უწყობენ ნორმატივების დადგენას, სტერეოტიპების მსხვრევას და ახალი წარმოდგენების დანერგვას. ჟურნალისტები, რომლებიც ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობენ, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე და სოციალური ცვლილებების თანაავტორებიც არიან. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა თანამშრომლობის სამი წლის მანძილზე.

დავიწყოთ 2014 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდით, როდესაც ისინი მასალებს ამზადებდნენ დეპუტატობის კანდიდატებზე, მათ პოზიციებს აცნობდნენ აუდიტორიას.

მაგალითად, ასეთია ჟურნალისტების გენდერული აქცენტები:

„ამომრჩეველთა სოციალური საკითხები, შშმ პირთა და ქალთა პრობლემები, შიდა ტრანსპორტის დამატება და გასართობი ცენტრის ფუნქციონირება - ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რაზეც კანდიდატი გამარჯვების შემთხვევაში საკრებულოში ყურადღებას გაამახვილებს“. - დეა მანაგაძე (ქუთაისი).

„სოციალურ საკითხებზე ორიენტირებისას ქალი-დეპუტატი უფრო გადაწყვეტს საკითხს, ვიდრე მამაკაცი - ეს

არის საბავშვო ბაღების თემა, სოციალურად დაუცველები, მარტოხელა დედები, მრავალშვილიანები. ეს ის პრობლემებია, რომლებიც შესაძლოა მამაკაცმა, რომლის ტვინიც უფრო ინფრასტრუქტურული პროექტებისკენაა მიმართული, ისე ახლოს ვერ მიიტანოს გულთან, როგორც ქალმა“. - თეა იოსელიანი (ოზურგეთი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „გურია ნიუსის“ სტატიების ციკლი „ქალი პოლიტიკოსის კვირა“ - საკრებულოს დეპუტატებზე. ეს არის აქტიური ქალბატონების დღიურები - მათი ერთკვირიანი ყოველდღიურობა, გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ. ერთ სტატიად მარტო მათი განხილვა ღირს. ამ რუბრიკაში, რა თქმა უნდა, მოხვდა ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრების დღიურებიც. რამდენიმე ფრაზით შემოვიფარგლები:

ლალი სიჭინავა: „2014 წლიდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი. კარგად ვიცი, რა სტკივა, რა აწუხებს ჩემს სოფელს, რომელმაც 26 წლის წინ მიმიღო და გულში ჩამიკრა. ვგრძნობ და ვაფასებ თითოეული თანასოფლელის თანადგომას, სიყვარულს და ჩემი მიზანი ცხოვრებაში ამ სიყვარულის ვალის გადახდაა“.

ლელა ნაცვალაძე: „დღეს დეპუტატის რანგში მოქალაქეთა მიღება მაქვს. სულ ექვსი მოქალაქე მოვიდა სხვადასხვა სოფლიდან. ორი მათგანისთვის სოციალური დახმარება მოუხსნიათ. მართალია, ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ რეკომენდაციის სახით თუ ჩაერევა აღნიშნულ პროცესებში, მაგრამ ამომრჩეველი დაჟინებით ითხოვს დახმარებას - პირადად თქვენთან იმიტომ მოვედით, ქალბატონო ლელა, რომ ვიცით, გულთან მიიტანთ ჩვენს გაჭირვებასო. დასანანია,

როცა ხედავ, რომ ადამიანი უკიდურესად გაჭირვებულია და ვერაფრით ეხმარები! სამინისტრომ აუცილებლად უნდა გადახედოს იმ ფორმულასა თუ კრიტერიუმებს, რის საფუძველზეც მართლაც, უაღრესად გაჭირვებულებს უხსნიან ან არ უნიშნავენ სოციალურ დახმარებებს. ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტე, გენდერულმა საბჭომ კვლევა ჩაატაროს და მივმართოთ შესაბამის სამინისტროს“.

ირინა საჯაია: „მოქალაქეთა მიღების დღეები, როგორც საკრებულოს წევრს და კომისიის თავმჯდომარეს გამოყოფილი მაქვს გრაფიკის მიხედვით, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, როცა მოქალაქეები მოდიან - პასუხის გაცემა და დახმარება ჩვენი მოვალეობაა. ამ დღესაც ორი მოქალაქე მოვიდა ანასეულიდან C ჰეპატიტის პროგრამასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტი აფინანსებს C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის კვლევას, რაც დიდი შეღავათია ამ ვირუსით დაავადებული ადამიანებისათვის“.

განსაკუთრებით რეზონანსული იყო რადიოსიუჟეტები და სატელევიზიო გადაცემები. რადიო „ძველი ქალაქი“ ასახავდა არა მარტო ქუთაისის, არამედ სენაკის და ოზურგეთის საბჭოების მუშაობას. ბევრი საინტერესო სიუჟეტი მიუძღვნა ჩვენს საქმიანობას და გენდერულ თემას „მეგა TV“, „რიონმა“, „TV გურიამ“, „გურია ნიუსმა“, „გურიის მოამბემ“, „ეგრისმა“.

აუცილებლად უნდა ითქვას თითოეული ჟურნალისტის წვლილზე, მათ წერილებსა და სიუჟეტებზე.

რომელი ერთი მასალა გავიხსენოთ - სტატია მიგრაციაში მყოფ ქალზე, ინტერვიუ ძალადობის თავშესაფრის მკვიდრთან, წერილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალის სატკივარზე, სიუჟეტი ქუთაისის საბავშვო ბაღის

ერთადერთ მამაკაც გამგეზე, სიუჟეტი ბაბუების კლუბზე ქუთაისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, ჩატარებულ ტრენინ-გებზე და ვორკშოპებზე, ბიუჯეტების გენდერულ ანალიზ-ზე, რეკომენდაციებზე, რომლებიც საბჭოებმა შეიმუშავეს კვლევების შედეგად, გენდერული საკონსულტაციო საბჭო-ების საინტერესო წიგნებზე, დასკვნით კონფერენციებზე, რომლებიც პროექტის ბოლოს გაიმართა...

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სამწლიანი საინფორმაციო კამპანია გენდერული თანასწორობის კუთხით, რომელმაც საზოგადოებას დაანახა, რას ნიშნავს გენდერული ხედვა, რა უპირატესობა აქვს გენდერულ ბიუჯეტს, რატომაა აუცილე-ბელი თანასწორობა ყველა დონეზე.

ამ კამპანიამ გარკვეული ცვლილებები მოახდინა თვით ჟურნალისტების დამოკიდებულებაზე გენდერულად აქტი-ური თემების მიმართ.

თათია სამსონიძე (ჯერ მუშაობდა ტელეკომპანია „გუ-რიაში“, ამჟამად არის გაზეთ „გურიის მოამბის“ კორესპონ-დენტი) მიიჩნევს, რომ გენდერულად მგრძნობიარე ადამიანი იყო ყოველთვის. მაგრამ ბოლო დროს გენდერული ალღო, ინტუიცია უფრო დაეხვეწა. მისი აზრით, „გენდერული საბ-ჭო არის ფონდი „სოხუმის“ სერიოზული პროექტი, რომლის შედეგები ხვალ-ზეგ უფრო გამოჩნდება. შეიძლება შეიცვა-ლოს პოლიტიკური სიტუაცია, შეიცვალონ კონკრეტული ადამიანები გარკვეულ თანამდებობებზე, მაგრამ საბჭოს აქვს რეალური საშუალება, ითანამშრომლოს ყველასთან და მოიპოვოს თანხები გენდერული პრობლემების გადასაჭრე-ლად, რადგან ეს თემა ყველა პოლიტიკური ძალისთვის იქნე-ბა პრიორიტეტული“.

თაკო არზიანი (მუშაობდა სენაკის ტელეკომპანია „ეგრისში“) სისტემატურად აშუქებდა სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს, აქტივობებს. მის ჟურნალისტურ პრაქტიკაში პრიორიტეტული გახდა სოციალურად დაუცველი ადამიანების, დევნილების, ხანდაზმულების, ბავშვების, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების პრობლემები. ჟურნალისტის მთავარ დანიშნულებად თაკო რეგიონში არსებულ მწვავე, აუცილებლად მოსაგვარებელ საკითხებზე წერას და სიუჟეტების კეთებას მიიჩნევს: „ჩვენთან მოდიან ადამიანები, რომლებსაც სოციალური პრობლემები აწუხებთ. ვცდილობთ მათი სატკივარი საზოგადოების, ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების ქვეშ მოვაქციოთ. ჩემი აზრით, რეგიონული ტელეკომპანიის როლი ესეცაა“.

დეა მანაგაძე („ქუთაისიპოსტის“ ჟურნალისტი) აღნიშნავს: „მასმედია არის მე-4 ხელისუფლება და უკვე საზოგადოება ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას გააშუქებს მედია. ამიტომ ჟურნალისტების პასუხისმგებლობა დიდია“. მისი აზრით, „ჟურნალისტებისთვის ბევრია სამუშაო გენდერული კუთხით და ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობა ამ საქმეში ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერია“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ჟურნალისტის შესახებ: ნანა რობაქიძე - ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრია, გიორგი გირკელიძე - ოზურგეთის საბჭოსი. ორივე მონაწილეობდა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების კვლევაში, საბჭოს პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ნანა რობაქიძე ერთ-ერთ ყველაზე გენდერულ ჟურნალისტად შეიძლება დასახელდეს მთელ საქართველოში. მისი მონაწილეობით გასულ ყველა გადაცემაში და საავტორო

ტელეჟურნალში „7 დღე“ ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს გენდერული საბჭოს მუშაობას და საერთოდ, გენდერულ თემებს.

მაგრამ, როგორც ამბობს, ადრე ეს თემა არ მიაჩნდა საჯაროდ, არ გრძნობდა, არ განიცდიდა. მას შემდეგ, რაც ფონდი „სოხუმის“ აქტივობებში ჩაერთო, თანდათან გააცნობიერა გენდერული ჟურნალისტური მიდგომის მნიშვნელობა.

„მოდისთვის არ დამიწყია გენდერული კუთხით მუშაობა, - აღნიშნავს ნანა რობაქიძე - მიმაჩნდა, რომ ცალკეული ფრაზით, სიუჟეტით თუ გადაცემით იმ ქალებს ვეხმარებოდი, რომელთაც საზოგადოებისგან მხარდაჭერა სჭირდებოდათ. ეს არ არის მხოლოდ ჩემი, ერთი ჟურნალისტის დამსახურება. უდიდესი ღვაწლი აქვს ტელეკომპანია „რიონის“ ხელმძღვანელობას. ის ჟურნალისტებიც, რომლებიც მერე შემოგვიერთდნენ, ინტერესით მუშაობენ გენდერულ საკითხებზე, მათთვის ეს არც ტვირთია და არც ვინმესგან მიღებული დაკვეთა. ჩვენ დროს ცოტა გავასწარით. წლების წინ რომ არ დაგვეწყო ამ კუთხით აქტიურობა, უფრო გვიან მივიღებდით შედეგებს... შედეგია ის, რომ არსებობს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები გენდერული თანასწორობის და ძალადობის პრევენციის კუთხით. ეს ყველაფერი თავისით არ ხდება, ჩვენ ამ შედეგების თანამონაწილეები ვართ, ამ ყველაფერში საკუთარ წვლილსაც ვხედავ.“

გიორგი გირკელიძე ჟურნალისტთა გენდერული თანასწორობის ქსელის წევრიცაა და გამოცდილი მწვრთნელიც, რომელიც ატარებდა ვორკშოპებსა და ტრენინგებს გენდერულ თემებზე ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

გიორგი ხელმძღვანელობს ოზურგეთის გენდერის მედია-ცენტრს, რომელიც „გურია NEWS“-ის ოფისშია გახსნი-

ლი. ასეთი ცენტრი 8 ქალაქში შეიქმნა, მაგრამ ოზურგეთის ცენტრი ყველაზე აქტიურია. აქ იმართება ჟურნალისტური შეხვედრები, დიალოგები დეპუტატებთან, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან, ახალგაზრდებთან. გენდერის მედია ცენტრს აქვს თავისი ბლოგი, სადაც ბევრი საინტერესო სტატია და გენდერული სიახლე იბეჭდება - ქალთა რაოდენობის გაზრდაზე პოლიტიკაში, გენდერულ ბიუჯეტზე, გენდერის ქართულ ფესვებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციაზე საზოგადოებაში, ნაადრევი ქორწინების პრობლემაზე, ძალადობაზე, სელექციური აბორტების თემაზე...

გიორგის ინიციატივით ქუთაისელი და ოზურგეთელი ჟურნალისტებისათვის 2015 წლის 8 სექტემბერს გაიმართა ტრენინგი გენდერული ბიუჯეტის თემაზე და მედიის როლზე ბიუჯეტის ფორმირებაში. ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები ლევან ხინთიბიძე და ირაკლი პაპავა.

ტრენინგის ბოლოს მოწვეული იყო საკრებულოს დეპუტატი, სოფელ ცხემლისხიდის სკოლის დირექტორი, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლალი სიჭინავა. მან ჯანმრთელობის უმძიმესი პრობლემები გაიარა წარსულში, მაგრამ არ დანებდა და მერე ოზურგეთის გენდერულ საბჭოსთან ერთად თავად განახორციელა პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“. ეს იყო თვითმმართველობის მხრიდან ბიუჯეტის გენდერული განაწილების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. და მედიამაც აიტაცა ეს თემა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ყველა აქტივობა, ყველა ღონისძიება, რომელიც პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა,

აისახებოდა ფონდი სოხუმის ვებ-გვერდზე www.sokhumi.ge. ამას გარდა, შეიქმნა ვებ-გვერდი www.gac.fsokhumi.ge

ფონდმა „სოხუმმა“ გამოსცა ჟურნალი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები“. ერთი - პირველი საპროექტო წლის ბოლოს, 2014 წელს, მეორე - 2015 წელს და მესამე, შემაჯამებელი ნომერი 2016 წლის აგვისტოში. ამ ჟურნალებისთვის მასალების მომზადებაში ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქუთაისელმა, ოზურგეთელმა და სენაკელმა ჟურნალისტებმა.

სამწლიანმა თანამშრომლობამ დაგვანახა მედიაკომპონენტის დიდი მნიშვნელობა.

ამ თანამშრომლობის შედეგია:

მედიაში პრობლემების და მათი მოგვარების გზების ახლებური, უფრო სამართლიანი დანახვა.

უფრო მეტი სოციალური და გენდერული აქცენტი.

მეტი მგრძნობელობა, გულშემატკივრობა.

და, რაც მთავარია, ოპტიმიზმი, რომ ყველაფერი უკეთ იქნება, თუ მთავრობა, არასამთავრობო სექტორი, მედია და საზოგადოება ერთიანი ძალისხმევით იმოქმედებენ.

მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა - გენდერული ბიუჯეტის საფუძველი

ემა კამკია
პროექტის ასისტენტი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებს გენდერული თანასწორობის პრინციპების ხელშეწყობას. სადღეისოდ, თვითმმართველობის წარმომადგენლებს უკვე გაცნობიერებული აქვთ, რომ უნდა მოხდეს კონკრეტული ვალდებულებების აღება და რეალიზაცია და არა მხოლოდ მათი მხრიდან ქალთა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების მხარდაჭერის პროგრამებზე საუბარი და პოლიტიკური ნების დემონსტრირება. ეს პასუხობს ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებს, რაც თვითმმართველობებისთვისაც ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია.

ჩვენს მიერ განხორციელებული სამწლიანი პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი იყო კვლევები, რომლებიც ჩატარდა სამივე სამიზნე მუნიციპალიტეტში.

გათვალისწინებული იყო ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების გენდერული საჭიროებების კვლევა დაასევე - თვითმმართველობების ბიუჯეტების გენდერული ანალიზი.სამჯერ განხორციელდა საჭიროებათა კვლევა სამივე მუნიციპალიტეტში (2014, 2015, 2016წწ.) და ორჯერ - ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი (2014 და 2016 წლებში).

იმ პირობებში, როცა კვალიფიციური კვლევები ძალიან დიდი ფუფუნებაა და, ჩვეულებრივ, ძნელია ასეთი დანახარჯის გათვალისწინება, მიღებული პრაქტიკაა არასამთავ-

რობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები. ისინი, როგორც წესი, ნაკლებ ამბიციოზურია, მაგრამ შესაბამის მეთოდოლოგიაში გარკვევისა და საჭირო წესების დაცვის, საველე სამუშაოს შესასრულებლად მოტივირებული ჯგუფის და ოპტიმალური ანალიზის შემთხვევაში საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა. მსგავსი სპეციფიკის კვლევას აქვს თავისი უპირატესობაც: რეგიონში ხდება სამიზნე ჯგუფების შერჩევა, დარგის სპეციალისტების, ადგილობრივი ექსპერტების მაქსიმალური მობილიზება.

ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ პროექტის 3 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგები მაღალი სანდოობის ხარისხით სარგებლობდა როგორც ადგილობრივ საზოგადოებაში, ისევე - თვითმმართველობის წარმომადგენლებში. მოგვისმენია კვალიფიციური სპეციალისტების პოზიტიური შეფასებაც. ადგილობრივ ბიუჯეტზე მუშაობისას ხშირად ხდებოდა აპელირება მის შედეგებზე. რაც მთავარია, მათ დაუდეს საფუძველი აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში იმის გაცნობიერებას,

- რომ აუცილებელია ადგილობრივ სტატისტიკაზე, კვლევებზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვა;

- რომ შეუძლებელია, იცოდე სერვისის რეალური საჭიროება, თუ მხოლოდ იმ ბენეფიციარებზე გაქვს ინფორმაცია, ვინც წლების განმავლობაში არის მისი მოსარგებლე, ან მათზე - ვისაც წერილობითი მომართვა უდევს შესაბამის სამსახურში. შეიძლება, იყვნენ ადამიანებიც, ვისაც ეს სერვისი სხვაზე უფრო სჭირდება, მაგრამ არასოდეს მოუმართავს დახმარებისთვის;

- რომ აუცილებელია პროგრამების გავლენისა და ეფექტის შეფასება. ხშირად პროგრამების შემქმნელებს და მის მოსარგებლეებს სრულიად განსხვავებული აღქმა აქვთ. მაგალითისთვის, აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამა: ეროვნული

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ხდებოდა აბიტურიენტის წახალისება 3000 ლარით, ხოლო მისი სკოლის - 1000 ლარით. უნდა ითქვას, რომ პროგრამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა და კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა მისი მომდევნო წლის ბიუჯეტში გაგრძელების საკითხი, რომ არა ჩატარებული კვლევა, სადაც ის დასახელდა თვითმმართველობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროგრამად.

პროექტის ფარგლებში ჩვენ პირველად შევეცადეთ ბიუჯეტის გენდერულ კვლევას. ეს არცთუ ისე აპრობირებული სფეროა საქართველოში. როგორც აკადემიური ხარისხის სპეციალისტები აღიარებენ, ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიაც კი არ არის ჩვენთან სათანადოდ შემუშავებული.

მიზნად დავისახეთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევებით: მაქსიმალურად გავაცნობიეროთ გენდერული-განსხვავებები, რაც უკვე არსებულ ბიუჯეტშია მოცემული; ხელი შევუწყოთ, რომ მოცემული (და ყველა შემდგომი) წლის პროგრამების დაგეგმვის, შესრულებისა და განხორციელების დროს მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული გენდერული (მათ შორის, განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა) მოთხოვნები; ანალიზის შედეგების გათვალისწინებით გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობა სხვადასხვა ინტერესის ჯგუფების მოთხოვნების მიმართულებით.

ჩატარებული გენდერული ანალიზი, ჩვენი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობდა:

ა) ადგილობრივ პროცესებში ქალებისა და მამაკაცების, სხვა სოციალური ჯგუფების სრულ ჩართვას და, შესაბამისად, ადამიანური რესურსების სრულყოფილ გამოყენებას ამ რესურსების სამართლიანი განაწილების პარალელურად.

ბ) თვითმმართველობის კონტროლის ინსტრუმენტის თანაბარზომიერ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (ახალგაზრდები, შშმ პირები,

დევნილები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ.) წარმომადგენელთათვის, მათ შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის ხარისხის გაზრდას.

პროექტითვე იყო გათვალისწინებული საველე სამუშაოებში საბჭოს წევრების ჩართვა, რაც ვაღიარებთ, არ იყო ადვილი, რადგან მათ უმეტესობას დასჭირდა სრულიად ახალი, უცხო სფეროს ათვისება და საჭირო უნარების შეძენა. ძალიან დიდი მუშაობა დაგვჭირდა ჩვენც - კვლევის ორგანიზატორებს, რადგან საჭირო ინფორმაციის მოძიების კუთხით გაწეული დიდი ძალისხმევის მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ თითქმის პიონერები ვართ ადგილობრივი საჭიროებების კვლევაშიც, ბიუჯეტის გენდერულ მონიტორინგსა და ანალიზშიც, და შეგვიძლია ვისარგებლოთ მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციებით და მეთოდოლოგიით.

დღეს თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ კოლოსალურმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო - გაჩნდა ძალიან ბევრი ახალი ინფორმაცია, ახალი თემები და ინოვაციური პროგრამები, გამოიკვეთა საჭიროებები, რომელთაგან, რა თქმა უნდა, თვითმმართველობა ყველას ვერ უპასუხებს ბიუჯეტის სიმწირის გამო, მაგრამ აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას, რამეთუ მოქალაქეები მისგან ელიან მეტ დაცვას, ახალ პროექტებს, განვითარების პერსპექტივებს.

მიგვაჩნია, რომ ეს მათთვის კარგი სტიმულია იმისთვის, რომ მოხდეს შეუქცევადი სვლა დეცენტრალიზაციისკენ, ახალი ინვესტიციების მოზიდვისკენ და ადგილობრივი ხელისუფლება „სხვისი ხელის შემყურე კი არ იყოს“, არამედ რეალურად შეძლოს იმ გადაწყვეტილებების მიღება და ინიცირება, რაც კანონით აქვს მინიჭებული.

თუ იუმორს მოვიშველიებთ, თუნდაც ის ფაქტი, რომ სამიზნე მუნიციპალიტეტებში ბევრისთვის თვითმმართველობა მხოლოდ ერთჯერადი დახმარებების გამცემ ინსტიტუტად აღარ მოიაზრება, წინგადადგმული ნაბიჯად მოგვაჩნია.

რაც შეეხება კვლევების მეთოდოლოგიას: საჭირო კითხვებზე პასუხის მისაღებად ჩატარებული საქმიანობა მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას. კერძოდ: განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, ვისი საჭიროებების შესწავლაც ხდებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში; კვლევაზე პასუხისმგებელი პირები. ბიუჯეტის გენდერული მონიტორინგის და ანალიზის კუთხით, ის მოიცავდა სიტუაციის გენდერულ ანალიზს სხვადასხვა კატეგორიისა და ჯგუფის მიხედვით; ადგილობრივი შრომის ბაზრის გენდერული ასპექტების განხილვას; ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე; თვითმმართველობის გენდერული კომპეტენტურობის ანალიზს; საბიუჯეტო პრიორიტეტების გენდერულ ვექტორებს; ადგილობრივი შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს გენდერულ ჭრილში; გენდერულად მგრძნობიარე ადგილობრივი ხარჯების წილს მთლიან ბიუჯეტში; განათლების გენდერულ ასპექტებს; სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების გენდერულ გავლენას; თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის განხილვას სხვადასხვა ჯგუფთან - შშმ პირები, დევნილები, ეთნიკური უმცირესობები, მრავალშვილიანი ოჯახები, ახალგაზრდები და ა.შ. - მიმართებაში; გრძელვადიანი პერსპექტივის განხილვას.

პროექტის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით მოხდა იგპ და სოციალურად დაუცველი ქალების, ეკომიგრანტების, ახალგაზრდების, შშმ პირების, ნაციონალური უმცირესობების, მცირე ბიზნესში ჩართული ქალების, მრავალშვილიანი და მარტოხელა მშობლების გენდერული საჭიროებების შესწავლა და ადგილობრივი ექსპერტების ჩართვით ადგილობრივი პროგრამებისათვის რეკომენდაციების მომზადება. მეორე მხრივ, გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით ჩატარებული ბიუჯეტის ანალიზი საშუალებას იძლეოდა, კიდევ ერთხელ განგვესაზღვრა, როგორია თვითმმართველობის

ხარჯების „გენდერული წილი“ (განათლება, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა), რამდენად სამართლიანად არის ადგილობრივი რესურსები განაწილებული მოქალაქეთა ჯგუფების საჭიროებების მიხედვით, რამდენად ეფექტურია არსებული პროგრამები და როგორ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

გვქონდა მცდელობა, თვითმმართველობების 2016 წლის ბიუჯეტის ანალიზის შემდგომ პასუხი გაგვეცა კითხვაზე: რამდენად გაუმჯობესდა სიტუაცია მოცემულ პერიოდში გენდერული თანასწორობის კუთხით. რას გვაძლევს მისი შედარება 2014 წელს მიღებულ შედეგებთან, რადგან დინამიკაში ბიუჯეტის გენდერული შეფასება საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ, თუ რა იყო, რა არის და რა შეიძლება იყოს მომავალში ადგილობრივი რესურსების დანაწილების კუთხით; რა შეძლო მუნიციპალიტეტმა და რაში სჭირდება მას მიდგომების შეცვლა; როგორ შეიცვალა სოციალური გარემო და რამდენად გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური ფენის, განსაკუთრებით კი ქალთა მდგომარეობა.

ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ რთული ამოცანის წინაში ვიდექით. იმ პირობებში, როცა ადგილობრივი ბიუჯეტი მისი დაგეგმვის ეტაპზე არ არის გენდერული პარამეტრებით შედგენილი, ანალიზი იმისა, რა როლს თამაშობს ის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის რეალიზაციაში, რთულია, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არაა. გენდერული ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით შეგვიძლია ქალზე და მამაკაცზე, ასევე სხვა სოციალურ ჯგუფზე ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიული მიდგომის, ინსტიტუტის განსხვავებული ზემოქმედების გამოვლენა და შესწავლა.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი გენდერული პოლიტიკისა და პრაქტიკის კვლევის შედეგებმა ჩვენც და საზოგადოებაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ამა თუ იმ პროგრამას, პროექტს აქვს სრულიად სხვადასხვა გავლენა ქალებზე

და კაცებზე (ასევე სხვა სოციალურ ჯგუფებზე) და სხვადასხვანაირად აისახება მათ საჭიროებებზე, განვითარებაზე. ესკი აუცილებელს ხდის საბიუჯეტო პროგრამების გენდერულ მონიტორინგს ასევე მის საწყის - დაგეგმარების ეტაპზე.

კვლევების დაგეგმვისას პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დამკვიდრება. კვლევების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები პერიოდულად მიეწოდებოდა ადგილობრივ თვითმმართველობას. მათი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის თვითმმართველობის ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამაში, ნაწილმა ასახვა ჰპოვა გენდერული პოლიტიკის პრაქტიკასა და ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფებთან გაზრდილ თანამშრომლობაში.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები თავიანთი საქმიანობით ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ პრაქტიკა, რომ თვითმმართველობა არის კოლექტიური პასუხისმგებლობა იმაზე, თუ როგორ და რაში უნდა იქნეს განაწილებული ადგილობრივი რესურსები, რომელი სამოქალაქო ჯგუფები საჭიროებენ უფრო მეტ მხარდაჭერას და რა მიმართულებით უნდა გაუმჯობესდეს ადგილობრივი პოლიტიკა, განსაკუთრებით - გრძელვადიანი პროგრამების კუთხით.

გათვალისწინებული რეკომენდაციები - საბჭოების უმთავრეს და ყველაზე წარმატებით განხორციელებულ ინიციატივად შეიძლება მივიჩნიოთ სკოლამდელი განათლების სერვისის განვითარების კუთხით გაკეთებული რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლების სერვისის განვითარება ყველა თვითმმართველობისთვის პრიორიტეტია, მათთვის მნიშვნელოვანი სიახლე იყო ამ სერვისის გენდერული პარამეტრებით გაზომვა, რის შემდეგაც

გამოჩნდა ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც მანამდე მათი ყურადღებისა და საბიუჯეტო რესურსების მიღმა რჩებოდა.

გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტებში გაიზარდა ხარჯები ბავშვთა კვებაზე, მოხდა ბაღებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სისტემატიურად მიდის პედაგოგთა და ბაღის სხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, დაემატა ახალი ჯგუფები ბაგის ასაკის ბავშვებისათვის, რაც მიზნად ისახავდა შინამეურნეობებში ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომიას მათი სოციალური აქტივობის სტიმულირებისათვის (პროგრამა პირდაპირ უჩვენებს მუნიციპალური ხარჯების ეფექტურობას). რაც მთავარია, დაიწყო და ეტაპობრივად ხორციელდება კვლევებში გამოკვეთილი საჭიროების - სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალისთვის ხელფასების მომატება და მათი სოციალური დაცვა - გაუმჯობესების ღონისძიებები.

კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში სახელმწიფოებრივი აზროვნებისა, რასაც უდაოდ საბჭოების საქმიანობას და ჩატარებულ კვლევებს უნდა ვუმადლოდეთ: ბევრ მუნიციპალიტეტში კერძო ბაღების სისტემა აღქმულია, როგორც კერძო ბიზნესი, რომელთანაც მათ ნაკლები შეხება აქვთ. სამიზნე მუნიციპალიტეტში აღსაზრდელებისთვის განხორციელებული პროგრამების ნაწილი კი თანაბრად ეხებოდა როგორც მუნიციპალურ, ასევე კერძო სკოლამდელ დაწესებულებებს.

გენდერული საბჭოები მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტში შეტანილი სიახლეები, დაკავშირებული ახალგაზრდების სტაჟირებასთან (ქუთაისი), წარმატებული სტუდენტების წახალისებასთან (ოზურგეთი), სოციალურად საშიში დაავადებების მკურნალობის და პრევენციის საკითხებზე, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით (ქუთაისი), მრავალშვილიან ოჯახებზე სოციალური პაკეტების გაზრდის კუთხით (სამივე სამიზნე მუნიციპალიტეტი) და ა.შ., გარკვეულწილად უკავშირდება რეკომენდაციებს, რომ-

ლებიც საბჭოს მიერ ე.წ. „გენდერული ჯგუფების“, ექსპერტების, დარგის სპეციალისტების პოზიციებზე დაყრდნობით იქნა გაკეთებული.

საბჭოების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებში საკმაო ადგილი ეჭირა ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული სენსიტიურობის საკითხს, რომლის შემადგენელი ნაწილია გენდერული განათლება თვითმმართველობაში. ამ კუთხით საბჭოების უშუალო მონაწილეობით და შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით არაერთი ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები სოფლებში (სენაკი, ოზურგეთი), ქალთა ჯგუფების, ახალგაზრდების მიერ ინიცირებული საკითხების ადვოკატირება (სენაკი. ოზურგეთი, ქუთაისი), ტრენინგები ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთათვის (სამივე მუნიციპალიტეტი).

თვითმმართველობებმა გაითვალისწინეს საბჭოს რეკომენდაციები ახალგაზრდებთან და სხვა სოციალურ ჯგუფებთან ოჯახში ძალადობის პრევენციის კუთხით აუცილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რასაც მოყვა მათი მხრიდან ფონდ „სოხუმთან“ ერთად საბჭოების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება (სამივე სამიზნე მუნიციპალიტეტი).

სამწუხაროდ, ყველა თვითმმართველობისათვის დღემდე გამოწვევად რჩება სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროექტების მხარდაჭერის საკითხი, მიუხედავად საბჭოების პერიოდული რეკომენდაციებისა. ეს სოციალური დაკვეთა, რომელიც საჭიროებათა კვლევაზე დაყრდნობით მოდის ქალთა ჯგუფებიდან, საბჭოსათვის ადგილობრივ დონეზე ადვოკატირებისა და ლობირებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს.

ასევე საკითხის სხვადასხვა დონეზე ადვოკატირების დალობირების მიუხედავად, საბჭოებმა დღემდე ვერ მოახერ-

ხეს იძულებით გადადგილებული პირების საზოგადოებრივი ინტეგრაციისათვის მიზნობრივი პროგრამების, პროექტების დანერგვა.

ამ დრომდე არსებული პრაქტიკით, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გენდერული საკითხები, ძირითადად, ინტეგრირებულია ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პრიორიტეტებში, ოღონდ მათი გენდერული ბუნების გაცნობიერების გარეშე. სამიზნე თვითმმართველობის მესვეურთა განცხადებით, მათ უკვე გათავისებული აქვთ ამ მიმართულებების გენდერულად მგრძნობიარე ბუნება. კერძოდ - სკოლამდელი განათლების სერვისის განვითარების, მრავალშვილიანთა დახმარების, ხანდაზმულთა დაცვის, ახალგაზრდობის მხარდაჭერის კუთხით დაგეგმილი პროგრამების ნაწილის დაგეგმვისას ცდილობენ გამოიყენონ გენდერული მიდგომები (მაგალითად, სენაკში წარმატებით მუშაობენ შინმოვლის პროგრამის კრიტერიუმებზე).

ყველაზე ძირეული, რაც თვითმმართველობის წარმომადგენლების განცხადებით, კარგად გააცნობიერეს, არის თეზები: „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი არ ნიშნავს ცალ-ცალკე ბიუჯეტს ქალებისა და მამაკაცებისათვის. პირიქით, ის უზრუნველყოფს გენდერული ცნობიერების დამკვიდრებას ცალ-ცალკე პოლისებში და სხვადასხვა ინსტანციის ბიუჯეტებში“. „გენდერული ბიუჯეტი არ ნიშნავს, რომ მისი 50% ქალებს ეკუთვნით, ხოლო 50% - მამაკაცებს. მისი შემუშავებისას არ არსებობს კონკრეტული რეცეპტი. ყოველი ქვეყანა ამ მიზნისკენ საკუთარ გზას პოულობს“.

ისინი უკვე თამამად აღიარებენ, რომ ნებისმიერი სფეროს საბიუჯეტო დაფინანსებისას, პროექტს უნდა უძღოდეს სფეროში არსებული პრობლემის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები, საჭიროებების კვლევა, რაც იმის მაჩვენებელი იქნებოდა, თუ რამდენად ასახავს ის მუნიციპალიტეტის წინაშე არ-

სებულ პრობლემებს და დგება თუ არა მის შესაბამისად პროექტების აქტუალურობისა და მიზნობრიობის საკითხი, რათა მოხდეს ბიუჯეტის რესურსების სამართლიანი განაწილება.

ისინი აპირებენ საბჭოების მიერ დანერგილი პრაქტიკის გაგრძელებას მომავალ პროგრამებზე მუშაობის პერიოდში. მათი თქმით, თვითმმართველობაში არის საამისო რესურსი (გამგეობის სპეციალისტები, სოფლის რწმუნებულები და ა.შ.), რათა მოხდეს ადგილობრივი სტატისტიკის ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება (სამწუხაროდ, საქსტატის მონაცემებში არ არის დანაწევრებული ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით).

მათი განცხადებით, საბჭოების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ თვითმმართველობების დონეზე არა თუ სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობის დეფიციტია, არამედ - ჭირს ზოგადად ადგილობრივი სტატისტიკის მოპოვება ნებისმიერ საკითხში - მაგ. სოციალური პროგრამებით მოსარგებლეთა სურათი თემების მიხედვით; ახალი პროგრამებისთვის ბენეფიციართა რეალური რაოდენობა, სკოლადამთავრებულთა შორის სტუდენტების რაოდენობა, სამ და ოთხშვილიანი ოჯახების რაოდენობა; მოქალაქეთა ბუნებრივი მატების მაჩვენებელი; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის ნიშნული; ქალების და სხვა ჯგუფების ეკონომიკური აქტივობის, მიგრაციის მასშტაბების, ქალების ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი; შრომის ბაზრის რეალური სურათი (მარტო ის რად ღირს, რომ სენაკის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით მხოლოდ ორი ადამიანია დარეგისტრირებული სამუშაოს მსურველთა ოფიციალურ ბაზაში) და ა.შ.

მწვავედ დგას ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობა, წარჩინებული ახალგაზრდების წახალისების, სტაჟირების პროგრამებით, თუნდაც ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებით, ინვესტიციების

მოზიდვით, სამუშაო ადგილების შექმნით, რათა მათი გადინების პროცესი შეჩერდეს. მათი აღიარებით, მხოლოდ ოზურგეთში დაინერგა პროგრამა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ინვესტიცია განათლებაში; ქუთაისში დაინერგა ახალგაზრდების პროფესიული სტაჟირების ახალი მოდელი; ხოლო სენაკში ჯერ კიდევ მიდის (მაგრამ საკმაოდ პროდუქტიულად) სერიოზული დისკუსიები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ თუ გვინდა ახალგაზრდების გადინების შეჩერება, უნდა მოვახერხოთ მათთვის ადგილზე სტაჟირების, დასაქმების ხელშეწყობა.

კვლევამ თვალსაჩინო გახადა ქალების საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება არა მარტო სოციალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, არამედ მათთვის მცირე ბიზნესის, შინამეურნეობის საწარმოებლად ადგილობრივი პროგრამების შექმნას (მაგალითად იმ ქალებისათვის, ვინც უვლის შშმ პირებს ან მწოლიარე მოხუცებს და ა.შ. და არ აქვს შესაძლებლობა აქტიური ეკონომიკური საქმიანობისათვის).

კვლევამ დაგვანახა, რომ მოცემულ მუნიციპალიტეტებში თანდათან მკვიდრდება გენდერული მიდგომები და როგორც საზოგადოებას, ასევე თვითმმართველობის წარმომადგენლებს ესმით გენდერული განათლების, ბიუჯეტის დაგეგმვისას გენდერული მიდგომების გათვალისწინების აუცილებლობა. ამას ცხადყოფს საკითხები, რომლებიც გენდერული საბჭოების ინიციატივით გათვალისწინებული იქნა სამივე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, მაგალითად - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლებში, თვითმმართველობის პერსონალის გენდერული განათლება, მათ შორის ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებში (ამ საკითხებშიც სამივე მუნიციპალიტეტში იყო საბიუჯეტო მხარდაჭერა).

ჩატარებულ კვლევებში გაჟღერებული იყო მოსაზრებები, რომ პრიორიტეტული უნდა გახდეს ბავშვების ჯანმრთელო-

ბაზე ზრუნვა. ბაგა-ბაღებში, სკოლაში პერიოდულად შემოწმდეს ბავშვთა ჯანმრთელობა. ეს რეკომენდაცია ოპერატიულად აისახა სამივე მუნიციპალიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტებში. თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნახეს გენდერული საბჭოების მიერ ჩატარებული კვლევების თვალსაჩინო შედეგი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საბჭოების მნიშვნელოვან ნაწილს თვითმმართველობის წარმომადგენლები შეადგენდენ და ისინი უშუალოდ იყვნენ ჩართულნი კვლევის პროცესში.

სასიხარულოა, რომ მათი გამოცდილება ბევრ პროექტში აისახა და ეს პროცესი გრძელდება.

ანუ - ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ დროისთვის არის ცალკეული მცდელობები, რათა მოხდეს გენდერული თანასწორობის პრინციპის ხელშეწყობა და მისი ინტეგრირება ცალკეულ პროექტებსა და პროგრამებში. განსაზღვრულია თვითმმართველობის გენდერული პრიორიტეტები (ინფორმირება, საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა, ცალკეული გენდერული ჯგუფის - მაგალითად, შშმ პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა - დაცვის ღონისძიებები).

შეიძლება ითქვას, რომ თუ წინათ ისინი ძალიან მტკივნეულად აღიქვამდნენ ბიუჯეტის კრიტიკას მისი გენდერული პარამეტრებით შედგენის კუთხით, თვლიდნენ, რომ მასში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული გენდერული საჭიროებები და გენდერული სფეროები - განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა; რომ პროგრამები მრავალშვილიანი დედების, სოციალურად დაუცველი ოჯახების, ობოლი ბავშვების და ა.შ. დახმარებისათვის პირდაპირ პასუხობს გენდერულ მიმართულებას, უკვე კარგად აცნობიერებენ, რომ გენდერული მიდგომები მხოლოდ გენდერულ პროგრამებს არ გულისხმობს. ეს არის გენდერულად სამართლიანი პროგრამები, როცა ბიუჯეტი განაწილებულია საჭიროებათა გათვალისწინებით და ხდება მისი პრიორიტეტიზაცია თვით

„გენდერული სფეროების შიგნით“ - ყოველი პროგრამის ეფექტის დადგენა, მისი აგება რეალურ სტატისტიკაზე და არსებულ დაკვეთაზე დაყრდნობით.

ყველაზე მთავარი - სასიხარულოა, რომ ძალიან ხშირად ისმის დისკუსია: გენდერული განვითარება წარმოუდგენელია, თუ უარს არ ვიტყვით მოკლევადიანი სოციალური ეფექტის პროგრამებზე, გასაკუთრებით მათთვის, ვისაც აქვს პოტენციალი, ზრუნვის პოლიტიკიდან გადაინაცვლოს განვითარების პოლიტიკის ბენეფიციართა რიგებში, მაგალითად - ახალგაზრდები, სამეწარმეო მოტივაციის ქალები, დევნილები, თუნდაც შშმ პირები, ვისაც აქვს მეტი სოციალური ინტეგრაციის სურვილი და უნარი.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ განხორციელებული კვლევები სწორედ ამ მიდგომებს ამკვიდრებდა. ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ხარჯების უფრო მიზანმიმართულ გამოყენებას და ახალი გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, რათა ადგილობრივმა ბიუჯეტმა ასახოს შედარებით გრძელვადიანი განვითარების პროგრამები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სამივე მუნიციპალიტეტში პილოტური გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ ჩატარებული კვლევები საფუძვლად დაედო საბჭოების მიერ შემუშავებულ ადგილობრივი გენდერული თანასწორობის გრძელვადიან სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს, რომლებსაც შემდგომში ალბათ დაეყრდნობა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია: თუ მუნიციპალიტეტებს არ ექნათ მკაფიოდ გაფორმებული გენდერული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე - კვლევების მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციით უნდა გაკეთდეს, გაძნელდება გენდერული პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და განხორციელება.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის

ხათუნა გოგუა
პროექტის ასისტენტი

ბოლო პერიოდში საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო მაჩვენებელი ამ პრობლემით სახელმწიფო სტრუქტურების სერიოზული დაინტერესების მიზეზი გახდა. 2014 წელს ქალთა სიკვდილიანობის შემაშფოთებელი სტატისტიკა გარდამტეხი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის, რათა სასწრაფოდ შეცვლილიყო მიდგომა პრობლემის პრევენციის ეფექტური მექანიზმების დასამკვიდრებლად.

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის შეშფოთების საგნადაც იქცა. კერძოდ, 2014 წელს 58-ე სესიაზე, საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ანგარიშების განხილვის შედეგად, კომიტეტმა საქართველოს მთავრობას ქმრებისა და პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობების მზარდი ფაქტებისა და ოჯახში ძალადობის სხვა ფორმების აღსაკვეთად, სასწრაფო ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

მასშტაბებიდან გამომდინარე, პრობლემას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სახალხო დამცველის მოხსენებაში. ის ხაზგასმით საუბრობს მსხვერპლთა დახმარების საკითხებში არსებულ არაეფექტურ მექანიზმებზე: „ხშირად ისმის არგუმენტი, რომ რთულია ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, რადგან იგი ჩაკეტილ სოციალურ წრეში ხდება. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია გასცდა ჩაკეტილ სივრცეს. საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულე-

ბასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაეფექტური გამოყენება წარმოადგენს.“

ფონდმა „სოხუმმა“ ამ საკითხზე დიდი ხნის წინ დაიწყო საუბარი და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაც იქცა. პრევენციულ მექანიზმებში ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა არაერთხელ განხილულა საინფორმაციო შეხვედრებზე, მრგვალ მაგიდებზე, დებატებისა თუ სატელევიზიო დისკუსიების დროს.

საზოგადოებიდან შემოსული საგანგაშო სიგნალები რეკომენდაციებისა და წინადადებების სახით სახელისუფლებო რგოლებამდე აღწევდა. შედეგად - სახელმწიფომ ძალადობის პრობლემის მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობა ოფიციალურად დააფიქსირა და ადგილობრივი თვითმმართველობების როლი და ფუნქციები ძალადობის პრევენციაში სამართლებრივად გამყარდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში (მუხლი 16. პუნქტი მე-4) შევიდა ცვლილება, რის საფუძველზეც თვითმმართველობის უფლებამოსილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის გარდა, განეკუთვნება ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელება.

სენაკის, ქუთაისის, ოზურგეთის ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის ისტორია 10 წელზე მეტ ხანს ითვლის. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ფონდი „სოხუმის“ აქტივობებში. ქალთა მიმართ ძალადობის რეზონანსულობა და საშიში სოციალური ეფექტი კარგად დაინახეს სენაკის, ოზურგეთის და ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭო-

ებმაც. ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში შესული ცვლილება განხილვის საგანი გახდა საბჭოების ერთ-ერთ ქსელურ შეხვედრაზე. საბჭოებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ძალადობისაგან დაცვის კანონის სამოქმედო გეგმაზე და თავიანთი დამოკიდებულება დააფიქსირეს თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხებისადმი. ამ შეხვედრამ ერთგვარი სტიმული მისცა მონაწილეებს, საკუთარი უფლებამოსილება რეალურად განეხორციელებინათ.

ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა, მსხვერპლთა დახმარებისთვის არასაკმარისი რესურსები და სხვა ხარვეზები გამოვლინდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ ჩატარებულ კვლევებში. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დახმარების სხვადასხვა ღონისძიების აუცილებლობა რეკომენდაციებშიც აისახა და გენდერული პოლიტიკის დოკუმენტშიც, რომელიც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოამზადეს საბჭოებმა 2015 და 2016 წლებში.

მაგალითად, ქუთაისის გენდერული საბჭო თვითმმართველობას სთხოვდა ერთჯერად დახმარებას ძალადობის მსხვერპლთათვის, სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნას სხვადასხვა სერვისის უზრუნველყოფით.

ერთჯერადი პროგრამები და პროექტები ძალადობის პრევენციისთვის - ამ რეკომენდაციას სთავაზობდა ხელისუფლებას ოზურგეთის გენდერული საბჭო.

სენაკის საბჭოს მიერ მომზადებულ რეკომენდაციათა პაკეტში მოხვდა ერთჯერადი დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის, რაც ბიუჯეტში აისახა კიდეც.

ოზურგეთის გენდერული საბჭო პირველი იყო, რომელმაც პრობლემა პრიორიტეტებში გაწერა და პროექტის სახე

მისცა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“. პროექტის უმთავრესი მიზანი იყო ახალგაზრდების ინფორმირება, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მომავალში ძალადობის პრობლემების შემცირებისათვის. ჩატარდა შეხვედრები ქალაქ ოზურგეთის ხუთ საჯარო სკოლაში. შეხვედრების მონაწილეებმა ნახეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები და ვიდეორგოლები ჯანსაღი ცხოვრების წესსა და დაბალანსებულ ურთიერთობებზე. მოეწყო დისკუსიები, დაიდგა მინი-სპექტაკლი გენდერული სტერეოტიპების თემაზე.

ოზურგეთის გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა სხვა პროექტებიც. ერთი ნაადრევი ქორწინების პრევენციას უწყობს ხელს. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება ფორუმ-თეატრი, რომელიც ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის წარმოადგენს სხვადასხვა სიტუაციას და გამართავს დისკუსიებს.

მეორე პროექტის არსი კი მისი სახელწოდებიდანაც ჩანს: „დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან“. ეს არის სკოლამდელი აღზრდის და განათლების დაწესებულებების პერსონალისა და მშობლების გენდერული განათლება.

სენაკის გენდერული საბჭოს რეკომენდაციებში ძალადობის პრობლემამ სერიოზული ადგილი მოიცვა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ამ რეკომენდაციებით. აქტიური მსჯელობა გაიმართა რეგიონალური კრიზისული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით. გაჩნდა იდეა, გამოიყენონ სახელმწიფო ბალანსზე არსებული შენობა. ცენტრის შექმნაში ჩაერთო სხვადასხვა მუნიციპალიტეტი. ადგილობრივი ფინანსებით ამ იდეის განხორციელება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა,

თუმცა იმედია, იდეა ფინანსურ მხარდაჭერას ჰპოვებს ადგილობრივ ბიუჯეტში.

სენაკის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა გენდერული საბჭოს რეკომენდაციას და, პირველად სენაკის ისტორიაში, ბიუჯეტში ჩაიდო 2000 ლარი ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის ერთჯერადი დახმარების გასაწევად. ხელისუფლებამ ამ ნაბიჯით ძალადობის პრობლემის მოგვარების მექანიზმებში საკუთარი პასუხისმგებლობა დააფიქსირა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დიდი მუშაობა გასწია გენდერული განათლების კუთხით, რაც საბჭოს მიერ ინიცირებულ ერთობლივ პროექტებშიც გამოჩნდა. ჩატარდა ვორკშოპები გენდერის და ოჯახში ძალადობის თემებზე ახალგაზრდებისა და საჯარო მოხელეებისთვის, ქალაქის საბავშვო ბაღების პედაგოგებისა და მშობლებისთვის. საინიციატივო ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობა სოფლებში გაგრძელდა. სენაკის გენდერული საბჭოს წევრების განცხადებით, მათ დაინახეს, რომ პერიფერიებში ინფორმაციის დეფიციტია და აუცილებელია თვითმმართველობის უფრო აქტიური მონაწილეობა პრობლემის მოგვარებაში.

ქუთაისის ბიუჯეტში საბჭოს ძალისხმევით პირველად გაჩნდა ტერმინი „გენდერი“. 2016 წლის ბიუჯეტში არის ასეთი ჩანაწერი: „გენდერული საკითხების და მასთან დაკავშირებული პრობლემის აღქმა და ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა“.

გენდერული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლება მზად არის, ერთჯერადი თანხით დაეხმაროს ძალადობის მსხვერპლს, რეკომენდაციების განხილვისას საინტერესოდ მიიჩნიეს სარეაბილიტაციო ოთა-

ხის შექმნის იდეა. მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობისას კონსულტაციები ამ საკითხზე ისევ გაიმართება.

გენდერული საბჭოს რეკომენდაციებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საჯარო მოხელეების გადამზადებას გენდერულ საკითხებზე, რაც ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა. ბიუჯეტში მოხვდა ტელეგადაცემები გენდერულ თემებზე, სხვადასხვა პროგრამაში გაიწერა ქალთა საჭიროებები.

ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ მომზადებული პროექტები პროპაგანდას უწევდა გენდერული თანასწორობის სწორ აღქმას და დამკვიდრებას საზოგადოებაში. ამ მიმართულებით შემუშავებული სტრატეგია და ჩატარებული აქტივობები ცხადყოფს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა - ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აღიარებული ერთ-ერთი სერიოზული გენდერული გამოწვევაა და სერიოზული მუშაობა ამ კუთხით მომავალშიც გაგრძელდება.

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო: ფორმირებიდან შედეგებამდე

ხათუნა გოგუა
პროექტის ასისტენტი

საბჭოს ფორმირება

პილოტური მუშაობა სამ ქალაქში დაიწყო და, შესაბამისად, შეიქმნა სამი გენდერული საკონსულტაციო საბჭო ოზურგეთში, სენაკსა და ქუთაისში.

პროექტის პირველი ეტაპი ქუთაისში საბჭოს ფორმირებით დაიწყო. დებულებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრთა შემადგენლობა მოიაზრებდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის ჩართვას. პროექტის ძირითადი მიზანი - გენდერული კომპონენტების დანერგვა ადგილობრივ ბიუჯეტში - პირდაპირ განმარტებას აძლევდა პარტნიორებს, რა მიმართულებით უნდა წარმართულიყო მუშაობა.

დაიწყო აქტიური კონსულტაციები ქუთაისში მოქმედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთათვისაც გენდერული საკითხები საინტერესო იყო.

პარალელურად იმართებოდა შეხვედრები ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. ფონდი „სოხუმის“ საქმიანობა მათთვის არ იყო სიახლე, რამაც კარგი წინაპირობა შექმნა ახალი ურთიერთობების შესაქმნელად.

დასაწყისში ყველას, ვინც პროექტში ჩაერთო, ერთგვარი სიფრთხილის შეგრძნება ჰქონდა - რამდენად სწორად და გაგებით შეხვდებოდა ამ წინადადებას ადგილობრივი ხელისუფლება. არასამთავრობო ორგანიზაციის პირდაპირ ჩარევად ხომ არ აღიქვამდა ადგილობრივ ბიუჯეტში გარკვეული კორექტირების შეტანას გენდერული მიმარ-

თულებით. პირველ შეხვედრაზევე გამოიკვეთა თანამ-შრომლობის კონტურები. წინადადებას საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ფორ-მირებაზე მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი დიდი ინტერესით გამოეხმაურა, რაც სულ მალე თანამშრომლობის ოფიციალური მემორანდუ-მით დადასტურდა.

საბჭოს ფორმირება მალე დასრულდა და 2014 წლის 24 იანვარს პირველი სხდომა გაიმართა. ადგილობრივი თვით-მმართველობის არჩევნების შემდეგ, 2014 წლის ივნისში საკ-რებულო ახალი ადამიანებით დაკომპლექტდა. შესაბამისად, ქუთაისის გენდერული საბჭოს შემადგენლებაში კორექტი-რება მოხდა და საბოლოოდ ასეთი შემადგენლობით დამ-ტკიცდა: 19 წევრიდან - საკრებულოს 8 წევრი, მერიის 3 წარმომადგენელი, 7 სამოქალაქო აქტივისტი, მედიის ერთი წარმომადგენელი. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ირმა პეტრიაშვილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა კომისი-სიის თავმჯდომარე.

საბჭოს წევრები თვითშეფასებისას აღნიშნავენ, რომ ქუ-თაისის საბჭოს ყველაზე ძლიერი მხარე სწორედ მისი შემად-გენლობაა - პროფესიონალი, მოტივირებული ადამიანები განსაზღვრავენ პროექტის წარმატებას და იმ ძირითად შე-დეგებს, რომელთაც საბჭომ მიაღწია სამწლიანი მუშაობის პერიოდში.

ფორმატი ითვალისწინებდა ადგილობრივ ხელისუფლე-ბასთან ერთობლივ პროექტებს გენდერულ საკითხებზე. 2015 წლიდან ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინა-რეობს. საბჭოს უკვე გაკეთებული აქვს კვლევები ადგილობ-რივ გენდერულ საჭიროებებზე. სწორედ აქ იკვეთება, რომ აუცილებელია საბავშვო ბაღების პედაგოგთა გადამზადე-

ბა გენდერული მიმართულებით, გაჩნდა პროექტის შექმნის იდეა.

იმავე 2015 წელს გენდერული საბჭო რეგისტრირდება როგორც გაერთიანება და დამოუკიდებლად, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით იწყებს ერთობლივ პროექტებზე მუშაობას.

გაერთიანებად დარეგისტრირების შემდეგ საბჭოს წევრების ინიციატივით იქმნება პროექტი ბაღების პედაგოგთა გენდერული გადამზადების მიზნით. სამწუხაროდ, პირველი პროექტის განხორციელება ვერ ხერხდება. მაგრამ ფონდი „სოხუმის“ სხვა პროექტების ფარგლებში გენდერულ თემაზე ჩატარდა ვორკშოპების ციკლი საბავშვო ბაღებში, და ცალკე - გაერთიანების წარმომადგენლებთან.

გენდერულმა საბჭომ გააანალიზა სიტუაცია, გადაწყვიტა ყველა რესურსის ამოქმედება და ახალი გზის გაკვალვა, რადგან პროექტებში საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ჩართვა ხელს უწყობს საზოგადოებაში გენდერული საკითხების პრიორიტეტულობას.

ახალი მოდელი თანამშრომლობაში - პირველი პროექტი

ამ პერიოდში ქუთაისის მერია ახორციელებდა პროექტს, რომელიც გულისხმობდა ოლიმპიური ჩირაღდნის შემოტანას ქუთაისში. საბჭოს წევრებს გაუჩნდათ იდეა, მასშტაბურ პროექტში გენდერული წვლილი ჩაედოთ.

„ოლიმპიადა თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა“ - ამ პროექტით ქუთაისის გენდერულმა საბჭომ პირველი ნაბიჯები გადადგა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისკენ. ახლა უკვე წარმატებულად.

პროექტი ძალიან მცირე დროში მომზადდა და შესაძლებელი გახდა გენდერული შტრიხების შეტანა ამ ღონისძიე-

ბაში. პროექტის მიხედვით, სპორტსმენებს ემოსათ თეთრი მაისურები წარწერით „ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო“. მეჩირაღდნეებს შორის დაცული იყო გენდერული ბალანსი.

პროექტის ასისტენტი ნატალია თოდუა მიიჩნევს, რომ პროექტმა ხელი შეუწყო საბჭოს ცნობადობის ამაღლებას საზოგადოებაში. ღონისძიება ხალხმრავალი იყო და მისი ატრიბუტები (თეთრი მაისურები, დაფნის გვირგვინები, კეპები, ბუშტები) სოციალური რეკლამის ხასიათსაც ატარებდა.

ამ პროექტით ახალი გზა გაიჭრა ურთიერთობაში, რამაც გააადვილა თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. პროექტს სხვა ბევრი პოზიტიური შედეგიც მოყვა: ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი და ცენტრალური ტელევიზიებით. დაიწერა ბეჭდურ მედიაში, რამაც გაზარდა საბჭოს იმიჯი. გენდერული მიმართულებით მუშაობა პრიორიტეტული გახდა თვითმმართველობისთვის.

პროექტი მეორე - ახალგაზრდული ბანაკი ქობულეთში

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველს მალევე მოჰყვა მეორე პროექტი „მოზარდთა ბანაკი - გენდერული განათლება ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის,“ რომელიც მერიასთან თანადაფინანსებით განხორციელდა. პროექტის იდეა საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გაჩნდა, როცა საბჭოს წევრები მოზარდებისათვის გენდერული განათლების მნიშვნელობაზე მსჯელობდნენ.

საბჭოს წევრმა მამუკა მღვდელაძემ აღნიშნა: „როცა გენდერულ განათლებაზეა საუბარი, მთავარია, რა ფორმით იქნება მოზარდებისთვის ეს ინფორმაცია მიწოდებული. ჩვენი ამოცანაა, გენდერული თემა მათთვის საინტერესო გავხადოთ. ვფიქრობ, კარგი იქნება ახალგაზრდული ბანაკის შექ-

მნა და სწორედ ამ ფორმატით გენდერული საკითხების პროპაგანდა“. ეს იდეა დაედო საფუძვლად ახალ პროექტს.

ბანაკის მონაწილე ახალგაზრდა სპორტსმენებს ჩაუტარდათ ვორკშოპები გენდერის თემაზე, ჩატარდა ინტელექტკლუბები და სხვა საგანმანათლებლო ფორმატის შეხვედრები. მათი დაინტერესებიდან გამომდინარე, ამ თემაზე დისკუსიები შემდგომ ქუთაისის ხუთ სკოლაში გაგრძელდა, 190 მონაწილის ჩართულობით.

პროექტმა ხელი შეუწყო სპორტის სფეროში გენდერული სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლას: ბანაკის მონაწილეებიდან 5 გოგონა ჭიდაობის წრეში გაწევრიანდა, 4 - მკლავჭიდში, 4 - ძალოსნობაში.

მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რეალურად დაფიქსირდა: ბანაკს სტუმრობდნენ ქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები, შემეცნებითი გასართობი პროგრამები, გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით.

პროექტი გაშუქდა რამდენიმე სიუჟეტში, რომელიც ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით გადაიცა, ამის შესახებ გაჩნდა ინფორმაციები ბეჭდურ მედიაში.

საინტერესოა ახალგაზრდული ბანაკის მონაწილეთა შთაბეჭდილებები:

„დასვენებასთან ერთად გვქონდა შემეცნებითი ვორკშოპები გენდერის თემაზე. სხვა დროს ამ საკითხზე არასოდეს მისაუბრია. ინტერნეტშიც მოვიძიე ინფორმაციები. იმდენი რამ ავითვისე, შემდეგ სკოლაში სამოქალაქო გაკვეთილზე სწორედ ამ საკითხზე გავმართეთ დისკუსია“. - ირინა ალავიძე.

„ბანაკში ყოფნისას ბევრი სტერეოტიპი დაიმსხვრა იმასთან დაკავშირებით, რომ გოგონებს არ შეუძლიათ დაკავ-

დნენ „ბიჭების სპორტით“, ფეხბურთს გოგონებიც ისეთივე წარმატებით თამაშობდნენ, როგორც ბიჭები.“ - მარი გურეშიძე.

ბანაკის მონაწილეები შემდგომში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქალთა მიმართ ძალადობის წინაღმდეგ მიმართულ 16-დღიან კამპანიაში.

საბჭოს წევრები პროექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მათი აზრით, შედეგები მომავალში უფრო გამოჩნდება, მოსწავლეები ამ საკითხებზე მეტს იფიქრებენ და მუშაობასაც გააგრძელებენ.

პროექტი მესამე: მთავარი სამიზნე - სტუდენტები

საბჭო პერიოდულად ატარებდა საანგარიშო შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები. სწორედ მათგან წამოვიდა იდეა, სტუდენტებისთვის ჩატარებულიყო ტრენინგები გენდერის თემაზე. იდეის საფუძველზე ახალი მასშტაბური პროექტი შეიქმნა: „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური ჩართვისათვის“. პროექტის ლობირებაში საბჭოს წევრი დეპუტატები აქტიურად მონაწილეობდნენ. გაიმართა კონსულტაციები ქალაქის მერთან. ადგილობრივი თვითმმართველობა წინადადებას დადებითად შეხვდა და ერთობლივმა პროექტმა მუშაობა დაიწყო.

პროექტი მიზნად ისახავდა საბჭოს გამოცდილების გაზიარებას, უნივერსიტეტების ჩართულობას და სტუდენტთა გენდერული საჭიროებების საფუძველზე რეკომენდაციათა შემუშავებას ადგილობრივი თვითმმართველობისთვის წარსადგენად.

სამთვიანი პროექტი გაიხსნა კონფერენციით თემაზე:

გენდერული კომპონენტები ადგილობრივ ბიუჯეტში - არსებული რეალობა, პოზიტიური ცვლილებები, მომავლის პერსპექტივები“. კონფერენციამ გენდერული ქოლგის ქვეშ გააერთიანა ადგილობრივი ხელისუფლება, არასამთავრობო სექტორი, განათლების სფეროს წარმომადგენლები და დაანახა მათ გენდერული საკითხების პრიორიტეტულობა.

ამ მასშტაბურ კონფერენციას 100-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. სტუმრებს შორის იყვნენ დასავლეთ საქართველოს - იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონების - 17 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ქუთაისში მოქმედი სამი უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები.

კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების გამოცდილების გაზიარებისა და ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით.

კონფერენციის შემდეგ შეირჩა 21 აქტიური ახალგაზრდა, რომელთათვისაც გაიმართა ტრენინგი გენდერულ თემაზე და ამ კუთხით ვორკშოპების ჩატარების ტექნიკაზე. ახალგაზრდა მწვრთნელებმა შემდგომ ჩაატარეს 63 ვორკშოპი ქუთაისის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქუთაისის კორპუსში.

ვორკშოპებში 856 სტუდენტი მონაწილეობდა. მათი აქტიური ჩართვით გამოვლინდა სტუდენტთა გენდერული საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციათა პაკეტი. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა გენდერული პოლიტიკის გეგმა, რომელიც წარედგინა ადგილობრივ ხელისუფლებას ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლა

პროექტის მესამე ეტაპი იყო სტუდენტური კონფერენ-

ცია თემაზე: „საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი გენდერულ პრიზმაში - სტუდენტური მიდგომები, პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმები“.

კონფერენციაზე სტუდენტებმა მოხსენებებში გენდერული პრობლემები სხვადასხვა ჭრილში წარმოადგინეს: ნინო ყურუამ თავის გამოსვლაში ისაუბრა გენდერულ დისბალანსზე ქართულ პოლიტიკაში. ნანა კეკუამ სამუშაო ადგილებზე არსებულ გენდერულ დისკრიმინაციაზე გააამახვილა ყურადღება. თეონა კინწურაშვილის მოხსენება ოჯახური კონფლიქტების გენდერული ასპექტების განხილვას მიეძღვნა. რამდენად არის დაცული თანასწოროობის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში - ერეკლე ურუშაძე ფიქრობს, რომ ქალისა და მამაკაცის საპენსიო ასაკის გათანაბრება საკანონმდებლო ბაზას გენდერულად დაბალანსებს.

პროექტის მნიშვნელოვანი მიღწევა ის არის, რომ პირველად მოხდა ქუთაისში მოქმედი სამი უნივერსიტეტის სტუდენტთა მობილიზება და მათი დაინტერესება გენდერული საკითხებით. პირველად შემუშავდა რეკომენდაციები სტუდენტთა საჭიროებების მიხედვით (საერთო საცხოვრებელი რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის, შეღავათები სწავლის გადასახადზე, აუდიტორიების აღჭურვა ტექნიკით, შეღავათები ტრანსპორტზე, სამგზავრო ბარათების შემოღება, შეღავათები კინოსა და თეატრის ბილეთებზე, გარემოს ადაპტირება ყველა სტუდენტისთვის, თანამშრომლობა პარტნიორ ორგანიზაციებთან მხარდაჭერისა და დასაქმების კუთხით). არის იმედი, რომ ეს საჭიროებები ადგილობრივ ბიუჯეტში გამოჩნდება.

პროექტის ბოლოს გამოიცა ჟურნალი „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური ჩართვისათვის“.

პროექტი მეოთხე - ახალი მოდელი გენდერული თემის პროპაგანდით

ქუთაისის გენდერული საბჭო მიიჩნევს, რომ დღემდე უმთავრეს გამოწვევად რჩება მოზარდების გენდერული განათლება.

„გენდერული ცნობიერების ფორმირება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში“ - ეს საბჭოს მეოთხე, კრეატიული პროექტია. მისი ანალოგი არ არსებობს დასავლეთ საქართველოში. პროექტის ფარგლებში თოჯინების ჩრდილების თეატრის მიერ მომზადდა სპექტაკლი. სცენარად გამოიყენებულია ზღაპარი „ზურმუხტის ქალაქის ჯადოქარი“. სპექტაკლი სიყვარულს, მეგობრობას, თანასწორობას, პატრიოტიზმს ქადაგებს. მთავარი პერსონაჟი გოგონაა - პირიმზე, რომელსაც ჰყავს სხვადასხვა შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მეგობრები - საფრთხობელა, რობოტი და ლომი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მაგრამ სიყვარული, მეგობრობა და ერთმანეთის დახმარების სურვილი აძლევთ ძალას, გადალახონ ყველა წინააღმდეგობა და დაბრუნდნენ ქვეყანაში, სადაც ყველა თანასწორია და ადამიანები ერთმანეთის შესაძლებლობებს პატივს სცემენ. სპექტაკლი ამსხვრევს საზოგადოებრივ სტერეოტიპებს თანასწორობასთან მიმართებაში.

პროექტი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გენდერული ცნობიერების ფორმირებას, დაეხმარება საბავშვო ბაღების პედაგოგებსა და მშობლებს, იაზროვნონ სწორად, დაამსხვრიონ გენდერული სტერეოტიპები და გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები თანასწორუფლებიანი საზოგადოების შესაქმნელად.

პროექტიდან გამომდინარე, ჩვენებები დაგეგმილია ქუთაისში, ხონსა და წყალტუბოში. ბენეფიციარები იქნებიან საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, პედაგოგები, მშობლები.

ფინალური პროექტი - შემაჯამებელი კონფერენცია

პროექტის ბოლოს ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ ჩაატარა საანგარიშო შემაჯამებელი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 12 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

მომხსენებლებმა აქცენტი გააკეთეს სამწლიანი მუშაობის ძირითად შედეგებზე: საბჭომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის შექმნაში, მედიისთვის აქტუალური გახდა გენდერული საკითხები, პროექტმა ხელი შეუწყო საკანონმდებლო ცვლილებებს.

ნათლად გამოჩნდა, რომ საზოგადოებაში და პოლიტიკაში ჩაგდებულია ხარისხიანი, სიცოცხლისუნარიანი მარცვალი, რომელიც ხვალ-ზეგ უკეთეს შედეგს გამოიღებს. საამისოდ ყველა პირობა არსებობს.

აი, ასე, მოკლედ, ქუთაისის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოზე - პრობლემებსა და მიღწევებზე, რომელთა წარმოდგენა თავიდან ძნელი იყო, მაგრამ საერთო ძალისხმევით ისინი უკვე არსებობს ჩვენს ისტორიაში.

სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნის და მუშაობის ისტორია

თეა თორინავა
პროექტის ასისტენტი

როგორ იწყებოდა ყველაფერი

პროეტის სამიზნე ქალაქად სენაკი შემთხვევით არ შერჩეულა. ფონდი „სოხუმი“ წლებია, თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან. სენაკის ადგილობრივი ხელისუფლება პირველი იყო, რომელმაც დააფინანსა ფონდი „სოხუმის“ ახალგაზრდა აქტივისტების მინი-პროექტი. მის ფარგლებში გაჩნდა შესაძლებლობა, ერთ-ერთ სკოლაში შექმნილიყო ფორუმ-თეატრი და გამართულიყო წარმოდგენები ოჯახში ძალადობის თემაზე. მსგავსი მაგალითი მრავლადაა. თანამშრომლობის სწორედ ასეთმა დადებითმა გამოცდილებამ მოახდინა გავლენა ფონდის ხელმძღვანელობაზე, რომ ერთ-ერთი გენდერული საკონსულტაციო საბჭო სენაკის საკრებულოსთან შექმნილიყო. გუნდი დარწმუნებული იყო, რომ პილოტურ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ინსტიტუციური მექანიზმის სრულიად ახალი მოდელის შექმნას ადგილობრივ დონეზე, თვითმმართველობა მხარს დაუჭერდა. ასეც მოხდა. თუ გავიხსენებთ საპროექტო გუნდის პირველ შეხვედრებს სენაკის საკრებულოს მაშინდელ ხელმძღვანელობასთან, უნდა ითქვას, რომ ეს მხარდაჭერა თავიდანვე იგრძნობოდა.

საკრებულოს ხელმძღვანელობა აქტიურად ჩაერთო საბჭოს ფორმირებაში, დეპუტატების შერჩევაში, თუმცა ამ მხრივ ფონდ „სოხუმს“ საკრებულოს თავმჯდომარესთან ბევრი არ უმსჯელია. იმ დროისთვის საკრებულოში 20 დეპუტატიდან 5 ქალი იყო. მათგან შერჩევა არ იქნებოდა გონივრული, ამიტომაც ყველა მათგანი საბჭოს წევრი გახდა. დეპუტატთა შემადგენლობა მთლიანად ქალური რომ არ

ყოფილიყო, საბჭოში ერთი მამაკაციც ჩავრთეთ. დანარჩენი წევრები კი სამოქალაქო საზოგადოებიდან შევარჩიეთ. პროექტის თანახმად, სულ 15 წევრი უნდა ყოფილიყო, 5 - დეპუტატი და 10 სამოქალაქო საზოგადოებიდან. მუშაობის პროცესში საბჭოს წევრობის მსურველები ავსებდნენ შესარჩევ ანკეტებს, რომლებიც საგულდაგულოდ განიხილებოდა პროექტის მენეჯმენტის მიერ, ხდებოდა შეთანხმება საკრებულოს თავმჯდომარესთან.

და აი, 2013 წლის დეკემბერში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა. მასში შევიდა 6 დეპუტატი და სამოქალაქო საზოგადოების 10 წარმომადგენელი - ეს იყვნენ ადამიანები გარკვეული სამუშაო გამოცდილებით სხვადასხვა სფეროში, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი იზიარებდნენ გენდერულ შეხედულებებს და მზად იყვნენ, წვლილი შეეტანათ თავიანთი ქალაქის უკეთესი მომავლის შექმნაში.

საბჭოს ფორმირების პარალელურად, მუშავდებოდა და განიხილებოდა თანმშრომლობის მემორანდუმი სენაკის საკრებულოსთან. ხელმოწერა შედგა 2013 წლის 23 დეკემბერს. მემორანდუმმა საძირკველი ჩაუყარა აქტიურ თანამშრომლობას, რომელიც დაეფუძნა ნდობას და ურთიერთპატივისცემას, აზრთა გაზიარებას და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.

საბჭოს პირველი ნაბიჯები

2014 წლის იანვარში გაიმართა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პირველი სხდომა, არჩეულ იქნენ თავმჯდომარე და მოადგილე. გენდერული ბალანსი დაცული იყო, თავმჯდომარე - ქალი, მოადგილე - მამაკაცი, ორივე საკრებულოს დეპუტატი.

პირველივე დღიდან გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები აქტიურ მუშაობას იწყებენ, მსჯელობენ დებულებაზე, ატარებენ ადგილზე გენდერულ ანალიზს, როგორია

გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომელთა შემადგენლობა გენდერული კუთხით, რამდენი ქალია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე, რამდენი დევნილი ქალია მუნიციპალიტეტში, რამდენი - სოციალურად დაუცველი, მეწარმე და ა.შ.

სხდომებზე მიმდინარეობდა ქალაქის ადგილობრივი სოციალური პრობლემების განხილვა, ამომრჩეველ ქალთა კლუბზე და ადგილობრივ გენდერულ ჯგუფებთან ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებზე დასმული პრობლემების წამოწევა. ეს შეხვედრები საბჭოს მუშაობის პარალელურად იმართებოდა, ხელს უწყობდა სიტუაციის შესწავლას და ადგილობრივ სოციალურ პრობლემებზე საბჭოს წევრების ინფორმირებას. სხდომებზე დასმულ პრობლემებს შემდგომში აცნობდნენ პასუხისმგებელ პირებს და შეძლებისდაგვარად აგვარებდნენ. ზოგჯერ - „ერთი ფანჯრის მეთოდით", როცა სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ პასუხისმგებელი სტრუქტურების წარმომადგენლები და თვით ბენეფიციარები, რომლებიც თავიანთ პრობლემებს ასახელებდნენ. შედეგად - რამდენიმე პრობლემა მოგვარდა.

2014 წელს საბჭოს წევრები ჩაერთნენ მოსახლეობის ადგილობრივი გენდერული საჭიროებების კვლევაში. სამი წლის განმავლობაში სამჯერ ჩატარდა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების გზით.

სამი წლის მანძილზე კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000-მდე რესპონდენტმა. კვლევა მიზნად ისახავდა სხვადასხვა გენდერული ჯგუფის - ადგილობრივი და დევნილი ქალების, სოციალურად დაუცველი ოჯახების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ექიმების, პედაგოგების - საჭიროებების შეფასებას და მათზე დაყრდნობით ადგილობრივი თვითმმართველობისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენას.

კვლევების საფუძველზე გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები ადგილობრივ პროგრამებსა და ბიუჯეტში შესატანად. ამის შედეგად ბიუჯეტში შევიდა სენაკის საჯარო სკოლების 1-ლი და მე-2 კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, ერთჯერადი ფინანსური დახმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, მოხდა საბჭოს პროექტების (საგანმანათლებლო მუშაობა, ტრენინგები გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის, სენაკის მუნიციპალიტეტის 14 ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის რწმუნებულებისთვის) თანადაფინანსება.

ნატალია ხუბუა, გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი: - გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სახით თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის ახალი ინსტიტუციური მექანიზმი გაჩნდა. სერიოზული გამოწვევები არსებობს და, ვფიქრობ, რომ ამ გამოწვევებს გენდერული საკონსულტაციო საბჭო წარმატებით პასუხობს. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ წარმატებული გენდერული ბიუჯეტი გვაქვს. ეს არის თანაბარი შესაძლებლობების მიღწევის სოციალური ინსტრუმენტი, ამ სერვისების მიღების ხელმისაწვდომობა ყველა სფეროში, ყველა მიზნობრივი ჯგუფისათვის და სეგმენტისათვის. დაწყებით კლასებში პროფილაქტიკური გამოკვლევების პროგრამა ბიუჯეტში სწორედ გენდერული საბჭოს რეკომენდაციით შევიდა. არის სხვა მომენტებიც, რომლებიც იქნა გათვალისწინებული. მომავალ წელს ჩვენი ბიუჯეტი გაცილებით უფრო გენდერული იქნება.

მერაბ გეგელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მზუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მთავარი სპეციალისტი: - საბჭოს შექმნით და აქტიური მუშაობით შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ - ეს არის მთავარი მიზანი, რომელსაც მივაღწიეთ და წინგადადგმული ნაბიჯი. ადგილობრივი თვითმმართველობა ხალხის მიერ არჩეული ორგანოა და ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია სწორედ მას აქვს. ყველაზე დიდი პასუხიც მოეთხოვება. როცა თვითმმართველობა დამოკიდებულებას ცვლის, ეს უკვე ბიუჯეტშიც აისახება და ეს არის უმთავრესი.

პროექტის განმავლობაში სხვა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრებთან ერთად სენაკის საბჭოს წევრებიც მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო ტრენინგებში სხვადასხვა თემაზე: გენდერი, გენდერული ძალადობა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, გენდერული პოლიტიკის და გენდერული ბიუჯეტირების შემუშავება, პროექტების წერა. ისინი იღებდნენ ახალ და მათთვის საინტერესო ცოდნას, უკეთ შეიგრძნობდნენ გენდერის თემას, თანდათან აცნობიერებდნენ თავიანთი მონაწილეობის მნიშვნელობას ადგილებზე გენდერული პოლიტიკის შემუშავებისათვის.

მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციაზე, საბჭოების ქსელურ შეხვედრებში, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე კიდევ უფრო უძლიერებდა სენაკის საბჭოს წევრებს სიამაყის განცდას საკუთარი წვლილის გამო ქალთა როლის გაზრდისა და გენდერული პოლიტიკის ფორმირების საქმე-

ში. და, რა თქმა უნდა, სტიმულს აძლევდა ახალი პროექტების და ინიციატივების შემუშავებისათვის.

2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ საბჭოების შემადგენლობაში მოხდა მცირეოდენი ცვლილება, შეიცვალა საკრებულოს ხელმძღვანელობა. საბჭოში შევიდნენ ახალარჩეული დეპუტატები, საჭირო გახდა თავმჯდომარისა და მოადგილის ხელახლა არჩევა. თუმცა ამ ცვლილებებს ხელი არ შეუშლია მუშაობაში, სხდომები იმავე რეჟიმში იმართებოდა. საბჭო ახალ საპროექტო იდეებზე მუშაობდა და ეძებდა დაფინანსების წყაროებს ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, ხდებოდა ახალი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პროექტები

ჩატარებული კვლევები და ქალაქის გენდერული პოლიტიკის გეგმის შემუშავება საბჭოს წევრებს ახალ პროექტებზე მუშაობის მოტივაციას აძლევდა.

ყველა პროექტს, რომელიც სენაკის საბჭომ შეიმუშავა, ერთი აქტუალური თემა აერთიანებს - ოჯახში ძალადობა.

ერთხელაც, მორიგ საგანმანათლებლო ტრენინგზე მონაწილეობისას, როცა საბჭოები მომავალ სტრატეგიას გეგმავდნენ, გაჩნდა პირველი პროექტის იდეა.

პროექტი „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსათვის სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში“ მიზნად ისახავდა სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების პედაგოგების, აღმზრდელებისა და აღსაზრდელთა მშობლებისათვის სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას გენდერის, ძალადობის ფორმებისა და ეკოსანიტარიის საკითხებზე. ეს იყო ექვსთვიანი პროექ-

ტი, რომელმაც მოიცვა ქალაქის 10 საბავშვო ბაღი. პროექტი განხორციელდა სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის გეგმის შესაბამისად - ფონდი „სოხუმის“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში 10 საბავშვო ბაღში პედაგოგებისა და მშობლებისთვის ჩატარდა 30 ვორკშოპი ძალადობის, გენდერისა და ეკოსანიტარიის საკითხებზე, ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებასთან, მოეწყო მრგვალი მაგიდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით, გაიმართა ადგილობრივ ქალბატონთა ნამუშევრების გამოფენა, ტელეკომპანია „ეგრისის“ ეთერით გავიდა სიუჟეტი.

პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ შესაძლებლობა მისცა საბჭოს წევრებს, გაევლოთ სპეციალური ტრენინგი, დაუფლებოდნენ მწვრთნელისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეემუშავებინათ მოდული და დამოუკიდებლად ჩაეტარებინათ ვორკშოპები საბავშვო ბაღებში. ეს გამოცდილება და მიღებული ცოდნა დაეხმარა მათ შემდგომი პროექტების განხორციელებაში.

პროექტის შედეგად გენდერული საბჭოს წევრთაგან შეიქმნა მწვრთნელთა 11-კაციანი ჯგუფი. გენდერის, ძალადობის და ეკოსანიტარიის საკითხებზე ცნობიერება აუმაღლდა 24 პედაგოგს და 150 მშობელს, ათივე საბავშვო ბაღს საჩუქრად გადაეცა სათამაშოები და თვალსაჩინო მასალები, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს გამოუმუშავდათ პირადი ჰიგიენის დაცვის ჩვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მსგავსი მუშაობა პირველად ჩატარდა. სწორედ ეს

გახდა ბიძგი შემდგომი ინიციატივებისთვის. პროექტის შედეგებზე საუბრისას საბჭოს სხდომებზე ხშირად იდგა მუნიციპალიტეტის სოფლებში ამგვარი მუშაობის გაგრძელების საკითხი. ამ თემას არაერთხელ შეხებიან პირველი პროექტის ფარგლებში ჩატარებული ვორკშოპების დროს. უნდა ითქვას, რომ ეს ინიციატივა მაშინვე აიტაცა ადგილობრივმა თვითმმართველობამ.

პროექტი „ოჯახში ძალადობის პრევენცია სენაკის მუნიციპალიტეტში“ - ეს იყო მუშაობა 14 ტერიტორიულ ერთეულში. პროექტმა მოიცვა 60-მდე სოფელი. სენაკის საკრებულოს თანადაფინანსებით პროექტის ფარგლებში ყველა ტერიტორიულ ერთეულში შეიქმნა გენდერული საინიციატივო ჯგუფი. საგულისხმოა, რომ ამ ჯგუფების შექმნის იდეა თვითმმართველობის ხელმძღვანელობისგან წამოვიდა, რომელიც პროექტის განხორციელების ერთ-ერთი აქტიური მომხრე იყო. ჯგუფების შემადგენლობაში შევიდნენ: გამგებლის წარმომადგენლები, მაჟორიტარი დეპუტატები, პედაგოგები, ექიმები, აქტიური ქალები და ახალგაზრდები - სულ 253 ადამიანი, მათგან 196 ქალი და 57 მამაკაცი. ჯგუფებმა გაიარეს სპეციალური საგანმანათლებლო ვორკშოპები გენდერისა და ძალადობის თემებზე, შეიმუშავეს რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად. პროექტი ითვალისწინებდა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვას. საინიციატივო ჯგუფებიდან შეირჩნენ აქტიური ახალგაზრდები, რომელთათვისაც ცალკე ჩატარდა ტრენინგი. ისინი გაეცნენ მწვრთნელისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს და ჯგუფებთან მუშაობის მეთოდებს. მომზადებულმა ახალგაზრდებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან - სკოლის პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ექიმებ-

თან... უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ ახალგაზრდა მამაკაცები. მთლიანად პროექტში ჩაერთო 789 სოფლის მცხოვრები.

ახალგაზრდობისა და გენდერის განყოფილებამ, რომელიც შეიქმნა სენაკის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებასთან, საინტერესო და სასარგებლო ინიციატივები განახორციელა ფონდი „სოხუმის“ და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით - კიდევ ორი მინი-პროექტი. ამ პროექტების ფარგლებში ჩატარდა 4 ტრენინგი გენდერისა და გენდერული ძალადობის თემაზე საკრებულოს და სენაკის გამგეობის თანამშრომლებისთვის, სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებისთვის და ორი ახალგაზრდული ჯგუფისთვის (მოსწავლეები და სტუდენტები). ტრენინგების შედეგად ამაღლდა ადგილობრივი თვითმმართველობის 24 თანამშრომლის, გამგებლის 14 წარმომადგენლის და 51 ახალგაზრდა აქტივისტის ცოდნა ამ საკითხებზე. ტრენინგები მნიშვნელოვანი იყო, რადგან მონაწილეებმა გაიცნობიერეს ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმწვავე, დაინახეს თავიანთი როლი პრევენციისა და მსხვერპლის ეფექტური დახმარების საქმეში.

საუკეთესო შესაძლებლობა - სხვებისთვის გაეზიარებინათ სამწლიანი საქმიანობის გამოცდილება, იყო სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს კიდევ ერთი მინი-პროექტი - დასკვნითი კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა სამწლიანი მუშაობის შედეგები და მიღწევები.

საბჭოს წევრების და ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლების გარდა, კონფერენციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის პირველი პირები - საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიცი-

პალიტეტების (აბაშა, ხობი, წალენჯიხა, მარტვილი) ხელმძღვანელები, გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

გამომსვლელებმა შეაჯამეს საბჭოს სამწლიანი გამოცდილება, შეკრებილებს გაუზიარეს ინფორმაცია განხორციელებულ პროექტებზე, ერთობლივ ინიციატივებზე, ადგილობრივი საჭიროებების კუთხით ჩატარებულ კვლევაზე, ამომრჩეველ ქალთა კლუბთან და ადგილობრივ მასმედიასთან თანამშრომლობაზე.

კონფერენციაზე მოწვეული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა და ხაზი გაუსვეს მისი გაგრძელების და მხარდაჭერის აუცილებლობას. მათი თქმით, ასეთი თვალსაჩინო გამოცდილება დაეხმარება მათ, ჩამოაყალიბონ თავიანთი გენდერული საბჭოები საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შესწორებების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს გენდერული საბჭოების შექმნას მუნიციპალიტეტის საკრებულოებთან.

კონფერენციაზე კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული, რომ პროექტის დასრულების მიუხედავად, სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭო განაგრძობს საქმიანობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას.

და ბოლო პროექტი „ახალი ცნობიერებით - არაძალადობრივი საზოგადოების ფორმირებისაკენ“. მისი განხორციელება გაგრძელდა ფონდი „სოხუმის“ პროექტის დასრულების მიუხედავად. ეს არის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებული პროექტის ლოგიკური გაგრძელება. პროექტის მთავარი მიზანია ოჯახში ძალადობის პრევენცია სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აღზრდის

გენდერული მეთოდების დანერგვის გზით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების პედაგოგებისა და აღსაზრდელთა მშობლების ინფორმირების დონის გაზრდა გენდერის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, აგრეთვე მათი გადამზადება აღზრდის გენდერული მეთოდების დანერგვის მიზნით. პროექტში ჩაერთვება მუნიციპალიტეტის 14 ტერიტორიული ერთეულის 17 საბავშვო ბაღი - არანაკლებ 250 ბენეფიციარი.

საკრებულოს დეპუტატის, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის, ნანა ალანიას თქმით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული რეკომენდაციების ნაწილს მხარი დაუჭირა საკრებულომ და გამგეობამ. ის მიიჩნევს, რომ სენაკის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით გენდერულად ბევრად უფრო მგრძნობიარეა. და ეს მხოლოდ დასაწყისია...

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო - პროექტების განხორციელება

გურანდა გვანცელაძე
პროექტის ასისტენტი

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ისტორია 9 დასრულებულ და მიმდინარე პროექტს ითვლის. ფონდი „სოხუმის“ ძალისხმევას, რომლის მიზანი იყო გენდერული პოლიტიკის დანერგვა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლება ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა.

ოფიციალური მემორანდუმით დაწყებული თანამშრომლობა ნაყოფიერი აღმოჩნდა. გენდერული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა, დასაწყისშივე ორიენტირებული გახდა გენდერულ საკითხებზე. საბჭომ ერთი წლით გაუსწრო საერთო გეგმას და მუშაობის დასაწყისშივე გაჩნდა საპროექტო იდეა, რომელიც ახალგაზრდებთან მუშაობას მოიაზრებდა. არგუმენტი ასეთი იყო: ახლის შექმნა უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიძლება, ვიდრე ძველი აზროვნებიდან ახალზე გადასვლა. თუ ახალ თაობას ადრეული ასაკიდან ექნება გაცნობიერებული გენდერული პოლიტიკის მნიშვნელობა, ხვალინდელი საზოგადოება განსხვავებული იქნება და არ გაუჭირდება სწორი არჩევანის გაკეთება სრულყოფილი ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. საბჭოს წევრებმა შეძლეს, დაესაბუთებინათ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რომ ამ ინოვაციური პროექტის განხორციელებით საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობის ჩამოყალიბებას, რომ ახალგაზრდებთან მუშაობა, მათი იდეების

გაცნობა და დანერგვა პოზიტიურად დაეტყობა ადგილობრივ პოლიტიკას.

ასე შეიქმნა საბჭოს **პირველი პროექტი** „ახალგაზრდები - გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით განხორციელდა. ამ ერთწლიანი პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქალაქ ოზურგეთის 5 საჯარო სკოლა. მუშაობის პირველ ეტაპზე გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებისგან მომზადდა 10-კაციანი ჯგუფი მწვრთნელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით. მათ ჩაატარეს ვორკშოპების ციკლი მეათე-მეთერთმეტე კლასების მოსწავლეებთან თემებზე: ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, გენდერი, გენდერული პოლიტიკის მნიშვნელობა, გენდერული ჩართულობის მნიშვნელობა და სხვა. სულ ჩატარდა 90 ვორკშოპი. თითოეულში მონაწილეობა მიიღო 15 ახალგაზრდამ. ვორკშოპებზე დარიგდა პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი ბროშურა „საბაზისო ინფორმაციები გენდერზე“. ეს მასალები ასევე გავრცელდა სამიზნე სკოლებში.

პროექტის ბოლოს ოზურგეთის საკრებულოს დარბაზში გაიმართა ფორუმი „გენდერის კულტურა“. პროექტის აქტივობების შეფასებისას შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდები დაინტერესდნენ თანასწორობის თემით და გაიაზრეს საზოგადოებაში მისი დანერგვის საჭიროება. გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ გარკვეული პროტესტი გენდერული სტერეოტიპების მიმართ და მზად არიან ცვლილებებისთვის.

ვორკშოპების მონაწილეთაგან შეირჩნენ აქტიური ახალგაზრდები. ამ ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული ალტერნატიული საკრებულო და გენდერული საბჭო. ახალგაზრდული საკრებულოსა და საბჭოს წევრები თვეში ერთხელ იკრიბებიან და განიხილავენ ქალაქში არსებულ პრობლემებს. მათ ჰქონდათ სურვილი, ქალაქ ოზურგეთში გაკეთდეს სკეიტ-

პარკი. შეაგროვეს თანამოაზრეთა ხელმოწერები და განცხადებით მიმართეს ქალაქის მერიას. აქვთ კიდევ ბევრი იდეა, რომელიც ჯერჯერობით სამუშაო პროცესშია.

პროექტის ფარგლებში მობილიზებული ახალგაზრდების ინიციატივა აიტაცა ოზურგეთის მერიამ და გაჩნდა საბჭოს **მეორე პროექტიც** „ახალგაზრდები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“. პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით განხორციელდა. პროექტის ფარგლებში მოეწყო საზოგადოებრივი დისკუსიები ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ამან ხელი შეუწყო მათ არაფორმალურ განათლებას, ჯანსაღი ფასეულობების, დებატების კულტურის ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას.

ხუთთვიანი პროექტი ახალგაზრდებმა დამოუკიდებლად განახორციელეს: ჩაატარეს შეხვედრები ქალაქ ოზურგეთის ხუთ საჯარო სკოლაში მეექვსე-მერვე კლასების მოსწავლეებთან. შეხვედრებზე მონაწილეებს უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რომლებშიც გამოიკვეთა ძალადობისა და ნარკოტიკების მიმართ მოზარდების დამოკიდებულება. ასევე აჩვენეს ვიდეორგოლები, სადაც აქცენტი გაკეთდა ჯანსაღი ცხოვრების წესსა და გენდერულად დაბალანსებულ ურთიერთობებზე საზოგადოებაში. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა დადგეს მინი-სპექტაკლი „გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებაში“. ჩვენება მოხდა ქუჩაში, რომ უფრო მეტ ადამიანს ენახა და დისკუსიების ინიცირებაც მომხდარიყო. ამ მეთოდით თემის მიწოდება საინტერესო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის - ასე უკეთ გამოჩნდა პრობლემის სიმწვავე და აქტუალობა. პროექტის განხორციელებისას დაფიქსირდა, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ არა მარტო დააფინანსა პროექტი, არამედ ჩაერთო აქტივობებ-

ში. კონკრეტულად, ახალგაზრდების მიერ გამართულ აქციაზე მათ გვერდით იდგნენ ოზურგეთის მთავრობის პირველი პირები: ქალაქის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, გუბერნატორი, გუბერნატორის მოადგილე, მაჟორიტარი დეპუტატი. ეს ახალგაზრდებისათვის დიდი სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა.

პროექტში მობილიზებული ახალგაზრდები აგრძელებენ აქტივობას სხვადასხვა მიმართულებით. აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელიც ყოველთვის გამოხატავს კეთილ ნებას ახალგაზრდული ინიციატივების მხარდასაჭერად. ორგანიზებული ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფები საზოგადოებისათვის არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას დაუდებენ სათავეს.

2015 წელს საბჭომ წარმატებით განახორციელა **მესამე პროექტი** „კიბო განაჩენი არ არის“. **მეოთხე და მეხუთე პროექტებიც** ამავე სახელწოდებისა იყო. ოღონდ - 2016 წელს როგორც ქალაქის, ისე მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ამ პროექტების განსაკუთრებულობა იმაშიცაა, რომ სამივე პროექტი დაფინანსებულია მხოლოდ თვითმმართველობის მიერ.

პროექტი გულისხმობს ონკოპაციენტების ფსიქოლოგიურ დახმარებას და ინფორმაციის გავრცელებას დაავადების პროფილაქტიკის მიზნით. პროექტზე მუშაობამ დაგვანახა, რომ საჭიროა არა მარტო დაავადებულ ადამიანებთან მუშაობა, არამედ ჯანმრთელებთან, კიბოს პრევენციისათვის.

2016 წლის ბიუჯეტში პროექტში უკვე ჩაიდო სკრინინგ პროგრამა. ეს პროექტი ხორციელდება როგორც სოფლებში, ასევე ქალაქში. საბჭო დაუკავშირდა არასამთავრობო ორგანიზაციას „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“, რომელიც ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციაზე მუშაობს და მასთან ერთად მოხდა 10 თანასწორის გა-

დამზადება და 10 სოფელში მოსახლეობასთან შეხვედრა. ეს ადამიანები თავიანთ სოფლებში გახდნენ განმანათლებლები, მოსახლეობას ინფორმირებაში ეხმარებიან, რათა აუხსნან, რომ კიბოსგან თავის დაღწევის საუკეთესო გზა ადრეული დიაგნოსტიკაა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სკრინინგ ცენტრის საქმიანობის განხორციელება, კერძოდ, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ კიბოს შემთხვევებმა იმატა. პროექტი ამჟამად მიმდინარეობს და განმახორციელებელი ჯგუფი ცდილობს, სკრინინგ ცენტრი მუნიციპალიტეტშიც გაიხსნას, რადგან ადრეული დიაგნოსტიკა ნიშნავს მრავალ გადარჩენილ სიცოცხლეს.

2016 წელს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით განხორციელდა **მეექვსე პროექტი** „აქტიური ქალები უკეთესი მომავლისთვის“.

პროექტის დასაწყისში შეირჩა 22 მონაწილე. მათ შესთავაზეს, სააღდგომოდ მონაწილეობა მიეღოთ პასკის ფესტივალსა და პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში. ექვსმა სხვადასხვა ორგანიზაციამ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. ქალბატონებს ჩაუტარდა ვორკშოპი გენდერის თემაზე და ჩართულობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწავლება დაფუძნებული იყო პრაქტიკულ მაგალითებზე, მათთვის რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, საზოგადოების განვითარებისათვის რამდენად მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების აღიარება, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. ოჯახში ფასდაუდებელია ქალის როლი, რომელიც დღის განმავლობაში აურაცხელ შედეგს ქმნის, მაგრამ აუცილებელია ნიჭიერი ქალები გამოვიყვანოთ სამზარეულოდან და ჩავრთოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, - ასეთი იყო პროექტის მთავარი მესიჯი.

გენდერული თემატიკა და მიწოდების მეთოდი ორიგინალური აღმოჩნდა ქალბატონებისთვის. მათ ბევრი რამ გაიგეს, გადააფასეს და მზად არიან შემდგომი მოქმედებებისათვის.

კიდევ ერთი, **მეშვიდე პროექტი** იყო საბჭოს მიერ დამოუკიდებლად ორგანიზებული კონფერენცია. მისი მიზანი იყო სამწლიანი მუშაობის შეჯამება და მიღებული პრაქტიკის გაზიარება იმ მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც არ არის გენდერული საკონსულტაციო საბჭოები.

კონფერენციას ესწრებოდნენ გურიის გუბერნიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ოზურგეთის, ქუთაისისა და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წარმომადგენლები, გურიის (ლანჩხუთი და ჩოხატაური) და აჭარის (შუახევი, ხულო, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი) მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მთავარი აქცენტი გაკეთდა იმ საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც შევიდა კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ და მოიაზრებს მუნიციპალიტეტებში გენდერული საბჭოების შექმნას. ეს პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში შექმნილი საპილოტე საბჭოების მუშაობა და შედეგები კი სამაგალითო უნდა იყოს სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ხაზგასმულ იქნა, რომ საბჭოს მიერ ადგილობრივი საჭიროებების კვლევის ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება არის საყრდენი დოკუმენტი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის გეგმა, საბჭოს მიერ გაკეთებული ბიუჯეტის ანალიზი კი სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა მოხდეს გენდერული საკითხების ასახვა და გამოკვეთა ბიუჯეტში.

კონფერენციაზე გამოიკვეთა ის დიდი საქმე, რომელიც

საბჭომ გააკეთა გენდერული საკითხების აქტუალიზაციის კუთხით. სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მოწვეულმა სტუმრებმა გამოხატეს საბჭოების ჩამოყალიბების სურვილი. ოზურგეთლები მზად არიან, გასცენ კონსულტაციები.

ფონდი „სოხუმის“ სამწლიანი პროექტი აგვისტოში დასრულდა, მაგრამ საბჭოებმა განაგრძეს მუშაობა - სექტემბრიდან, ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება ორი პროექტი.

მერვე პროექტი „ჩვენ გვაქვს სიცოცხლისა და განათლების უფლება“ გულისხმობს ნაადრევი ქორწინების პრევენციას. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება ფორუმ-თეატრი, რომელიც ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის წარმოადგენს სხვადასხვა სიტუაციას და მათი მონაწილეობით გამართავს დისკუსიებს. ნაადრევი ქორწინების პრობლემა ერთ-ერთი აქტუალურ პრობლემათაგანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებში. ადრეულ ასაკში ქორწინება რომ ცუდია, ამაზე ბევრს საუბრობენ და მუშაობენ კიდეც, მაგრამ შედეგამდე შორია. ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი ბავშვების მხრიდან უფროსების მიმართ უნდობლობა და სკეპტიკური დამოკიდებულებაა. პროექტის ავტორების აზრით, ეფექტური მეთოდია ფორუმ-თეატრის ენით მიწოდებული სიმართლე და დისკუსიების ინიცირება. ბავშვების ჩართვა, მათი მხრიდან დანახული პრობლემები და მათივე ენით თანატოლებისთვის ნაჩვენები სცენები ყინულს მეტ-ნაკლებად გაალღობს. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ბავშვები, რომლებისთვისაც ყველაზე მეტია ნაადრევ ასაკში ქორწინების რისკი.

პროექტის დასრულების შემდეგ სულ უფრო მეტი იქნება მოზარდი გენდერული განათლებით, რომელსაც სწორად ექნება გააზრებული ნაადრევი ქორწინების საფრთხე. ისინი ინფორმაციას გაავრცელებენ თავიანთ თანატოლებში.

ბოლო, **მეცხრე პროექტი** „დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან“ არის ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით, ადრეულ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მომუშავე პესრონალისა და მშობლებისთვის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. როგორც პროექტის იდეის ავტორები მიიჩნევენ, მნიშვნელოვანი პრობლემაა ოჯახში ბავშვების აღზრდის პოზიტიური მეთოდების დეფიციტი. ეს უნდა მოგვარდეს მშობელთა ცოდნის ამაღლების და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების გზით. რაც უფრო მაღალია პიროვნების განათლების დონე, მით უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ მან დაუშვას ბავშვთა მიმართ ძალადობა. არაფორმალური განათლების მიღება ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებიდან უნდა დაიწყოს და სწორედ იქ მომუშავე პერსონალი უნდა გადამზადდეს, რათა სწორად იქნას აღქმული, რა არის ძალადობა. კარგი შედეგის მისაღწევად აუცილებელია მუშაობა მშობლებთანაც. საბავშვო ბაღი, აღმზრდელი და მშობელი - სამკუთხედის ის სამი გვერდია, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებას. პროექტის განხორციელება ქალაქ ოზურგეთში უზრუნველყოფს ბავშვებზე ძალადობის პრევენციას, ეს კი ძალადობისგან დაიცავს ჩვენს მომავალ თაობას.

სხვა გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებთან შედარებით ყველაზე მეტი განხორციელებული პროექტი, თვითმმართველობის მხრიდან სრული მხარდაჭერა და პერსპექტივა, გაგრძელდეს დაწყებული კურსი - ასეთია სამწლიანი მუშაობის მთავარი შედეგები ოზურგეთში.

სამოქალაქო საზოგადოება და გენდერული თანასწორობის პოლიტიკა რეგიონებში

მერი გელაშვილი
პროექტის კოორდინატორი

გენდერული თანასწორობის საკითხები ცოტა ხნის წინათ ქართულ საზოგადოებაში ირონიას იწვევდა ადამიანთა უმეტესობაში და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ მამაკაცებში. უთანასწორობაზე ჯერ კიდევ 1906 წელს წერდა დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი პუბლიკაციაში „ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“: „დედაკაცის მდგომარეობის ისტორიას რომ თვალი გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რომ დღემდის მიზეზი დედაკაცის დაბეჩავებისა იყო უფლება ძლიერისა. ძლიერის უფლება არც დღეს მოსპობილა და არც ამ ახლო მომავალში მოისპობა. მაგრამ ის კი ცხადია, რომ თანდათან სამართლიანობა ამარცხებს ძალის უფლებას და იმედია, ერთ დროს სრულად მოსპობს მას“.

109 წელი გავიდა იმ დროიდან. ქალთა მდგომარეობა, რასაკვირველია, საგრძნობლად შეიცვალა. საზოგადოება უფრო ინფორმირებულია დემოკრატიული საზოგადოების შენებაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ.

მთავრობა აქტიურად მუშაობს ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის დამყარებისთვის ყველა სფეროში კანონების და საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა და მიღების კუთხით.

საქართველო შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებს ქალთა უფლებების დაცვის მხრივ და გააჩნია მათი შესრულების ვალდებულება.

ქვეყნის საკანონმდებლო სტრუქტურაში - პარლამენტში

მოქმედებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

ამასთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოებაც ჩართულია გენდერული თანასწორობის დამყარების პროცესში. ძირითადად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დამსახურებაა ის, რომ ადგილებზე გააქტიურებულია მუშაობა საზოგადოების ინფორმირების ქმედითი მექანიზმების შესწავლისა და შემუშავებისათვის და მის ჩასართავად რეგიონებში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვა არა მხოლოდ ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ (რეგიონალურ) დონეზე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ მხრივ საჭიროებები სწორედ რეგიონებში ვლინდება და იქვეა აუცილებელი მათი მოგვარება.

იმის გამო, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას არ ევალებოდა გენდერული პრობლემების მოგვარება, ის არც ცდილობდა ინიციატივის გამოვლენას ამ კუთხით. თვითმმართველობის წარმომადგენლები ამას ხსნიდნენ იმით, რომ მათ კანონი არ ავალდებულებთ და „ზემოდან“ დირექტივები არ მიუღიათ.

სახელმწიფო და რეგიონალურ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მიდგომების შემუშავება და დანერგვა ჯერ კიდევ ბევრ ძალისხმევას საჭიროებს.

გენდერული უთანასწორობის აქტუალიზაციას ხელს უშლის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოუგვარებელი პრობლემები, რომელიც უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილში.

ჯერაც სათანადოდ არ არის შეფასებული, რომ პოლიტიკის ნებისმიერი სფეროს გენდერული მეინსტრიმინგი ანუ

გენდერული პარამეტრების სისტემური ინტეგრაცია პოლიტიკის ფორმირების, მისი განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში არა მარტო ეხმარება გენდერული თანასწორობის მიღწევას, არამედ ნებისმიერი პოლიტიკის ეფექტურობის საწინდარია.

გენდერული მიდგომების დანერგვა ანუ სხვადასხვა საჭიროებისა და პრობლემის დანახვა ხელს უწყობს ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთზემოქმედების შედეგად, როცა სამოქალაქო საზოგადოება ეხმარება სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაში, ხოლო სახელმწიფო თავისი ქმედებებით ავითარებს სამოქალაქო საზოგადოებას, აძლიერებს სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფს და ეს მოქმედება არ არის ერთჯერადი, არამედ თანამშრომლობის ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნის იდეა ფონდ „სოხუმს“ მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მრავალი წლის განმავლობაში თავისი შემოქმედებითი პოტენციალი მიუძღვნა საზოგადოების სხვადასხვა ფენის და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლების განათლებას გენდერული თანასწორობის, როგორც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილის, დამკვიდრების აუცილებლობის კუთხით.

ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული პროექტი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ გახდა პილოტური პროექტი, რომელიც გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე. მისი მთავარი მიზანი - ადგილობრივ დონეზე სპეციალური მექანიზმების შექმნა მეტი ქალი ჩართვისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში - ეყრდნობა ქალთა საჭიროებების შესწავლას და პრობლემების ადვოკატირებას.

პროექტის განხორციელების ობიექტი იყო სამი რეგიონის საკრებულო: ქუთაისი (იმერეთი), სენაკი (სამეგრელო), ოზურგეთი (გურია).

დიდი გამოწვევის წინაშე დადგა ორგანიზაცია - პროექტის ავტორი და შემსრულებელი - ანუ, წარმატება იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად დავარწმუნებდით, ერთი მხრივ, საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და, მეორე მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურებს, რომ ჩართულიყვნენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ჩამოყალიბების პროცესში. მის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო 15 ადამიანი, მათგან 5 - სახელმწიფოს ადგილობრივი სტრუქტურებიდან და 10 - საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის და მედიის წარმომადგენელი.

პროექტმა არა მარტო გააერთიანა ეს 15 ადამიანი, არამედ ბევრად მეტი დაინტერესებული პირი - ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბიდან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიდან, დევნილთა, ჟურნალისტთა წრეებიდან. დამყარდა საქმიანი ურთიერთობები პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

პროექტი ინოვაციური იყო, ანუ საქართველოში ანალოგიური პროექტი ჯერ არავის განუხორციელებია. რა თქმა უნდა, ხორციელდებოდა სხვა ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები, მაგრამ ისინი მიმართული იყო საკრებულოებში გენდერულ საკითხებზე მრჩევლების შემოღებაზე.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები კი პროგრესული იყო იმ კუთხით, რომ მასში შედიოდნენ არა მხოლოდ საკრებულოს, არამედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ გამოცდილება და მოტივაცია, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების მუშაობაში გენდერული საჭიროებებისა და პრობლემების შესწავლის საფუძველზე.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ფორმირებისას, პროექტის განხორციელების დასაწყის ეტაპზე, შემუშავდა „გენდერული საკონსულტაციო საბჭოების დებულე-

ბა“ თითოეული რეგიონის მიხედვით. საბჭოების სხდომაზე დოკუმენტი განიხილეს და დაამტკიცეს.

დებულება 6 თავისგან შედგება: ზოგადი დებულება, გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ძირითადი ამოცანები და პრინციპები, საბჭოების უფლებამოსილება, მუშაობის წესები, თავმჯდომარის უფლებამოსილება, მდივან-ასისტენტის უფლებამოსილება.

ყოველი რეგიონი, შემუშავებისას, თავის სპეციფიკას და საჭიროებებს ითვალისწინებდა.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საფუძველი იყო გუნდური მუშაობის და პასუხისმგებლობის პრინციპი. წევრები მუშაობდნენ სამუშაო გეგმების თანახმად, რომელთაც მდივან-ასისტენტები ადგენდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან (ამომრჩეველ ქალთა კლუბი, ეთნიკური უმცირესობა, დევნილები, მედია, იურისტის შეხვედრების მონაწილეები) შემოსული წინადადებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

პარალელურად ტარდებოდა დაგეგმილი სოციოლოგიური კვლევები. მათზე დაყრდნობით ვლინდებოდა საზოგადოების საჭიროებები და ხდებოდა 2016–2017 წლებისთვის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმების შემუშავება.

სენაკის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმა

1. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფერო

მიზანი: გენდერული ასპექტების გათვალისწინება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში

2. განათლება და ცნობიერების ამაღლება

მიზანი: გენდერული თანასწორობის საკითხების მხარდაჭერა განათლების სფეროში და საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება

ოზურგეთის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმა

1. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმის შემუშავება ადგილობრივ დონეზე და მისი განხორციელების ხელშეწყობა

მიზანი: გენდერული მრჩევლის და მერიის გენდერული განყოფილების მუშაობის აქტიურობის ამაღლება

2.განათლების და ცნობიერების დონის გაზრდა

მიზანი: გენდერული თანასწორობის საკითხებში საზოგადოების ინფორმირების ამაღლება

3.ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფერო

მიზანი: გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში

ქუთაისის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმა

1. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმის შემუშავება ადგილობრივ დონეზე

მიზანი: გენდერული კომპონენტების გათვალისწინება 2016–2017 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებაში

2. გენდერული ცნობიერების ამაღლება განათლების სფეროში

მიზანი: გენდერულ საკითხებში ცოდნის დონის ამაღლება

3. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფერო

მიზანი: გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში

4. ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე

მიზანი: ახალგაზრდობის სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლა, გენდერული აზროვნების ჩამოყალიბება

5. გენდერული ასპექტები კულტურისა და სპორტის სფეროში

მიზანი: გენდერული ასპექტების შეტანა კულტურისა და სპორტის სფეროში

სამივე გენდერული საკონსულტაციო საბჭოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმის განხილვისას ცხადი გახდა, რომ თითოეულმა რეგიონმა თავისი საბიუჯეტო სახსრებიდან გამომდინარე დაგეგმა აქტივობები. ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ გეგმაში ჩასვა 20-ზე მეტი ღონისძიება, რომელიც მიმართულია გენდერული სიტუაციის შეცვლისკენ.

ყველა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი) მიერ შემუშავებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გეგმა დამტკიცებულია ბიუჯეტის გაანგარიშებით (ფინანსური წყარო), განსაზღვრულია შემსრულებლები და შეფასების კრიტერიუმები (ინდიკატორები).

დოკუმენტი შედგენილია ჩატარებული კვლევების და მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის საფუძველზე ყოველი რეგიონის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ცვლილებები, რომლებიც შეინიშნება იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც აქტიურად მუშაობენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოები, მიღწეულია გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი დადებითი შედეგებით - გენდერული კომპონენტების შემოღება ადგილობრივ ბიუჯეტში, ანუ გენდერული ბიუჯეტირება. მოქმედი სისტემა: კვლევის მეთოდით პრობლემის გამოვლენა, განხილვა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, წინადადებების მომზადება საკრებულოს სხდომისთვის - დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ბიუჯეტის სათანადო მუხლში შეტანით და შემსრულებლის განსაზღვრით - ეს არის ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას.

ეს მექანიზმი უფრო კარგად მუშაობს რეგიონებში, რადგანაც პრობლემა ადგილობრივი მნიშვნელობისაა და შესრულებაც ადგილზე ხდება.

საწუხაროდ, „კარგი კანონები“ ხშირად არ იძლევა „კარგ შედეგებს“, იმიტომ რომ არ არის ამ კანონების შესრულების კარგად ადაპტირებული მექანიზმები, რაც სახელმწიფო ჩინოვნიკებს და პოლიტიკურ პარტიებს არ აძლევს საშუალებას, მოირგონ კანონები.

ასე, მაგალითად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გამოკვეთილია ძირითადი გენდერული პრობლემები და დასახულია სტრატეგიული მიზნები, მაგრამ მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ბიუჯეტირების მექანიზმი, რამაც საშუალება მისცა სახელმწიფო ჩინოვნიკებს, თავი აერიდებინათ მათი შესრულებისთვის. შედეგი - დასახული ღონისძიებების დიდი წილი ქაღალდზე დარჩა.

რეგიონებში გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნის იდეა ფონდმა „სოხუმმა“ შეიმუშავა იმ ანალიზიდან გამომდინარე, რატომაა, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომზადებული კანონები უმრავლეს შემთხვევაში ან არ მუშაობენ, ან ცუდად მუშაობენ. გაანალიზების შემდეგ გაირკვა, რომ კანონების მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მის შესრულებას იმის გამო, რომ შესრულების ყველა მექანიზმი ცენტრალურ ხელისუფლებაზეა გათვლილი. აქედან გამომდინარე, შემუშავდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნის იდეა რეგიონებში, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სადაც ჩნდება, ძირითადად, გენდერული პრობლემები.

თავიდან არ იყო ადვილი, მაგრამ შესაძლებელია დაარწმუნო ადგილობრივი მთავრობა, რომ საჭიროა გენდერული პრობლემების მოგვარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებას ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობისაკენ მიმართულმა სახელმწიფო პოლიტიკამ.

სახელმწიფო ნების ერთ-ერთი ბოლო დემონსტრირება

იყო პოზიცია, რომელიც გამოხატა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავის გამოსვლაში 2015 წლის 10 ნოემბერს საერთაშორისო კონფერენციაზე „გენდერული თანასწორობისკენ - გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპული სამეზობლო პოლიტიკის რეგიონში“: „გვჯერა, რომ სწორედ ჩვენ ვართ ის თაობა, რომელმაც გენდერულ იდენტობაზე, ქალთა უფლებებზე და გენდერული თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით საბოლოოდ უნდა დაამარცხოს ქალთა დისკრიმინაცია, დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ საერთო მიზნის მიღწევას.“

შენიშვნა

პროექტის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დოკუმენტები:

- მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ ფონდ „სოხუმსა“ და სამიზნე მუნიციპალიტეტს შორის (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი)
- დებულება გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნის შესახებ
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკა სამიზნე ქალაქების მიხედვით
- გენდერული საჭიროებების კვლევის მასალები
- ბროშურა „ბიუჯეტის გენდერული ანალიზი“

ქუთაისის, სენაკის, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელი – პროექტის რეგიონალური გამოცდილება

მერი გელაშვილი
პროექტის კოორდინატორი

პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ აპრობირება ხდებოდა დასავლეთ საქართველოს სამ ქალაქში - ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში და, არსებითად, მოიცვა სამი რეგიონი: იმერეთი, სამეგრელო და გურია.

პროექტი ინოვაციურია. ეს იყო ფონდი „სოხუმის“ მცდელობა, ამ სამი რეგიონის ბაზაზე შემუშავებულიყო მექანიზმი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების თანახმად მიღებული კანონებისა და საკანონმდებლო აქტების შესრულებას განაპირობებდა.

პროექტის მთავარი იდეა: ცვლილებები კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ - რომ კანონის მთელი სიმძიმე გადასულიყო თვითმმართველობის ადგილობრივ (რეგიონალურ) დონეზე.

პროექტს არა მარტო ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, არამედ ცენტრალური ხელისუფლებისთვისაც უნდა ეჩვენებინა, რომ გენდერულ საკითხებზე სამოქმედო გეგმის შემუშავება, უპირველესად, „ქვემოდან“, რეგიონებიდან უნდა დაიწყოს. ანუ - რეგიონებში უფრო ადვილია საზოგადოების საჭიროებების განსაზღვრა. შემდეგ კი, რეგიონალური სამოქმედო გეგმების საფუძველზე უნდა შეიქმნას ეროვნული გეგმა. ეს მექანიზმი

საშუალებას იძლევა, არა მარტო უფრო ზუსტად განისაზღვროს საჭიროება, არამედ - ამ პრობლემების მოგვარების რეალური გზებიც.

თუ ფონდის უპირველეს და უმთავრეს მიღწევად გენდერული თანასწორობის პრობლემებზე ადგილობრივი ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ერთიანი ხედვის შემუშავება მიგვაჩნია, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მონაპოვარია - სამივე რეგიონის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელის შექმნა, რაც თვით საბჭოების წევრების სურვილი იყო.

ქსელურ მუშაობას სტიმული მიეცა სამიზნე ქალაქების საბჭოების წევრებისთვის ორგანიზებული ტრენინგების შედეგად.

ქსელი მუდმივ რეჟიმში მუშაობდა, ხდებოდა წარმატებებისა და გამოწვევების გაზიარება ონლაინ და პროექტის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრებზე.

ქსელურ შეხვედრებზე განიხილებოდა საბჭოების გეგმები, ჩასატარებელი აქტივობები, შესრულების მექანიზმები. ჩნდებოდა ერთგვარი შეჯიბრების, პაექრობის მომენტები ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, როცა მიღებულ ინფორმაციას სხვა საბჭოები აიტაცებდნენ ხოლმე და თავიანთ პირობებს მოარგებდნენ, ატარებდნენ იმ ღონისძიებას, რომელიც მოეწონებოდათ, ოღონდ გამოცდილი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით.

ქსელურ შეხვედრებზე სამივე ქალაქის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები მადლობას უხდიდნენ დონორს - UN Women-ს და ფონდ „სოხუმს“, რომელთაც მისცეს უნიკალური შესაძლებლობა, დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მეტი გაიგონ ერთმანეთის შესახებ, იყვნენ მეზობელი რეგიონების მოვლენათა კურსში და ერთმანეთს გაუზიარონ ყველა წარმატება.

პროექტის ფარგლებში გაიმართა 4 ქსელური შეხვედრა:

- 2014 წლის 19-20 სექტემბერი - ურეკი
- 2014 წლის 13 ნოემბერი - ქუთაისი, საქართველოს პარლამენტი
- 2015 წლის 29-30 ივნისი - ბათუმი
- 2016 წლის 11 თებერვალი - ქუთაისი

ქსელურ შეხვედრებზე განიხილებოდა საკითხები:

- სამიზნე ქალაქების გენდერული საკონსულტაციო საბჭოების გენდერული პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმების სამუშაო ვარიანტი (20.09.14);
- გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ორწლიანი მუშაობის შედეგების შეჯამება, საბჭოების პრეზენტაცია, შემდგომი საპროექტო იდეები და ინიციატივები (30.06.15);
- ცვლილებები ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში, ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საქმეში (11.02.16).
- განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრების შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან (13.11.14) საქართველოს პარლამენტში (ქუთაისი). შეხვედრას უძღვებოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე. დისკუსიაში აქტიურად ჩაერთო ორივე მხარე. ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია და გამოცდილება.

შეხვედრა შეაჯამეს გენდერული თანასწორობის საბჭოს და ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელებმა. ხაზი გაესვა შეხვედრის უდიდეს მნიშვნელობას გენდერული თანასწორობის ადგილობრივი პერსპექტივების კუთხით. ფონდის მესვეურებმა გამოყვეს საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად აუცილებლად მიაჩნიათ საპარლამენტო საბჭოსთან თანამშრომლობა და ერთობლივი სტრატეგიის დასახვა.

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა: „მიხარია, რომ ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან მოქალაქეების საჭიროებებთან. ხელისუფლება ხომ, პირველ რიგში, გვჭირდება იმისათვის, რომ ადამიანების ცხოვრება უკეთესი გახდეს და ამისთვის სწორად დაიხარჯოს ბიუჯეტი. ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა თქვენთან, ვისაც შეუძლია მსჯელობა არსებულ პრობლემებზე და მათი მიტანა იმ ადამიანებთან, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს“.

გადაწყდა, რომ მომავალ შეხვედრებს თემატური დატვირთვა მიეცეს, რაც საკითხების სიღრმისეული განხილვისა და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების საწინდარი იქნება.

პროექტის განხორციელების პერიოდში ფონდი „სოხუმი“ და ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოები დაესწრნენ ორ კონფერენციას, რომლებიც სხვადასხვა ეროვნულმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ მოაწყო.

პირველი კონფერენცია გაიმართა თბილისში თემაზე „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობაში“. ორგანიზატორები: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ქალთა ფონდი „ტასო“, OXFAM (საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი) და UN Women-ის (გაეროს ქალთა ორგანიზაცია) ხელშეწყობით.

კონფერენციაზე საჯაროდ იქნა განხილული რეკომენდაციები მითითებულ თემაზე, მათ შორის - არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები და წინადადებები, რომლებიც შეიტანეს ფონდმა „სოხუმმა“ და მის მიერ შექმნილმა გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, აგრეთვე OXFAM-ის, UN Women-ის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის, ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლებმა, ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრებმა. ფონდი „სოხუმის“ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფონდის თავმჯდომარემ ალლა გამახარიამ.

დისკუსიის დროს ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასავლეთ საქართველოში უფრო აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ვიდრე თუნდაც დედაქალაქში და გამოთქვა ამ გამოცდილების უკეთ გაცნობის სურვილი.

კონფერენციის შედეგების შეჯამებისას შემუშავდა რეკომენდაციები გენდერული მრჩევლების და გენდერული საკონსულტაციო საბჭოების დანერგვის კუთხით.

მეორე კონფერენციის თემა იყო „გენდერული თანასწორობის პრინციპები ადგილობრივ თვითმმართველობაში“. ორგანიზატორები: ქალთა საინფორმაციო ცენტრი (პროექტის შემსრულებელი), UN Women, Norwegian Ministry of Foreign Affairs (ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო) და ქალთა ფონდი „ტასო“.

ორდღიან კონფერენციაზე მომხსენებლებმა - პროექტის შემსრულებლებმა, წარმოადგინეს პროექტები შემდეგი მიმართულებების მიხედვით: ინსტიტუციური მექანიზმები, შეხვედრები „ერთი ფანჯრის“ პრინციპით, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში ერიკა კვაპილოვამ, ხელისუფლების ცენტრალური სტრუქტურების წარმომადგენლებმა. UN Women-ის მიწვევით, კონ-

ფერენციას ესწრებოდნენ ფონდი „სოხუმის“ და ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრები.

ფონდი „სოხუმის“ მიერ გაწეული მუშაობის, მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ მოხსენება გააკეთა ფონდის თავმჯდომარემ ალლა გამახარიამ.

დებატების დროს თავიანთი საქმიანობა წარმოაჩინეს გენდერული საკონსულტაციო საბჭოების თავმჯდომარეებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა: ირმა პეტრიაშვილმა (ქუთაისი), ლელა ნაცვალაძემ (ოზურგეთი), ნანა ალანიამ (სენაკი).

მათ ისაუბრეს არა მარტო წარმატებებზე, არამედ დასახულ გეგმებზე სახელისუფლებო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვისათვის, რადგან ჯერ კიდევ არ არის გენდერული თანასწორობის სათანადო აღქმა.

თავიანთ გამოსვლებში მათ აღნიშნეს ისიც, რომ თვითმმართველობის შემადგენლობაში გენდერული მრჩევლის ერთეული პრობლემას ვერ გადაჭრის. თუ თვით საკრებულოს თავმჯდომარე არ აიღებს პასუხისმგებლობას გენდერული კუთხით მუშაობაზე, შედეგი არასაკმარისი იქნება.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გენდერულ ბიუჯეტირებას ადგილებზე, რაც მექანიკურად კი არა, არამედ საზოგადოების საჭიროებების შესწავლის საფუძველზე უნდა გაიწეროს. ამიტომაცაა აუცილებელი, რომ გენდერულ საბჭოში ხელისუფლების წევრებთან ერთად იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების და გენდერული თანასწორობის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დასასრულს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სამივე თემა: ინსტიტუციური მექანიზმები, გენდერული ბიუჯეტირება და შეხვედრები „ერთი ფანჯრის“ პრინციპით - არის ეტაპები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებას დააახლოებს გენდერულ თანასწორობასთან.

მონაწილეობა ღონისძიებებში, რომლებიც სხვა პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს გენდერული თემით, უსათუოდ ხელს უწყობს იმას, რომ არ გავიმეოროთ უკვე გაკეთებული, არამედ გამოცდილების შესწავლით ვიპოვოთ კრეატიული მიდგომები და მოვაგვაროთ პრობლემები.

მიღებული ცოდნა და უნარები, გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელური მუშაობის გამოცდილება, ინფორმაციის ფართოდ გავრცელება და ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული სტრატეგია გენდერული საბჭოების ჩამოყალიბების შესახებ - გენდერული თანასწორობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად - იქნება გზამკვლევი მთელი საქართველოს მასშტაბით ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილი გენდერული საბჭოების წარმატებისთვის.

მუშაობის შედეგები

ალლა გამახარია
პროექტის დირექტორი

ფონდი „სოხუმის“ საერთო პროგრამა თავიდანვე კარგად იყო დაგეგმილი. ამან შესაძლებლობა მისცა თანამშრომლებს, წინააღმდეგობების და შესვენების გარეშე ემუშავათ. ყველა ღონისძიება გეგმის მიხედვით შესრულდა.

სწორმა ხედვამ საშუალება მისცა ფონდ „სოხუმს“, საკუთარი სტრატეგიის განხორციელებაში ჩაერთო დონორული დაფინანსება, ყოფილიყო დამოუკიდებელი და ჰქონოდა ადგილობრივ პირობებში თანამშრომლობის შესაძლებლობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კომპეტენტური, კრეატიული ხელმძღვანელების და პროექტის პროფესიონალი თანამშრომლების ძლიერი საორგანიზაციო მენეჯმენტი.

ფონდი „სოხუმის“ კარგი რეპუტაცია, გენდერისა და გენდერული თანასწორობის საკითხების სიღრმისეული ცოდნა, გრძელვადიანი თანამშრომლობა და საქმიანი პარტნიორული ურთიერთობები ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებთან, თანამდებობის პირებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან იყო მყარი საძირკველი პროექტის მიღწევებისთვის.

სტრატეგიულმა გადაწყვეტილებამ - შეკრას და გააერთიანოს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი (საკრებულოს და პარლამენტის დეპუტატები, ჟურნალისტები, კერძო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები), შესაძლებლობა მოგვცა, სხვადასხვა პოზიციიდან დაგვენახა ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე პრობლემური საკითხები, გვეპოვა მოგვარების ეფექტური გზები და ამასთან, ყველა ეს ჯგუფი გაგვეხადა აქტიური და სიცოცხლისუნარიანი. ამავე დროს

ინკლუზიურმა საკონსულტაციო პროცესმა, რომელიც მუდმივად მიმდინარეობდა პროექტის განხორციელებისას, გააქტიურა ყველა ჯგუფის მონაწილეობა.

პროექტის მონაწილეები იღებდნენ დიდ ცოდნას, რაც ხელს უწყობდა მათ მდგრად განვითარებას და ფოკუსს აკეთებდა ინიციატივების გამოვლენაზე.

პროექტმა არსებითი წვლილი შეიტანა გენდერულ საკითხებში ცოდნის ამაღლების მხრივ არა მარტო გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებს, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს შორის.

ძირითადი მიღწევები, რომლებიც აქტივობების განხორციელების პროცესის ფაქტობრივ შედეგებს უკავშირდება, შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

- გენდერული საკონსულტაციო საბჭო მიჩნეულია ადგილობრივ მუნიციპალურ დონეზე გენდერული პოლიტიკის დანერგვის მექანიზმის წარმატებულ და სამაგალითო მოდელად. ამ მექანიზმმა ასახვა ჰპოვა კანონებში ადგილობრივი თვითმმართველობის და გენდერული თანასწორობის შესახებ.
- პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში საგრძნობლად გაიზარდა ქალების რიცხვი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში - არჩეული წევრების თუ რიგითი თანამშრომლების სახით.
- გაუმჯობესდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრების, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, ცოდნა და უნარ-ჩვევები გენდერული ბიუჯეტირების, გენდერული პოლიტიკის და პრობლემატიკის, თანხების მოზიდვის და საპროექტო წინადადებების დაწერის საკითხებზე.
- გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ინტერესი გენდერული საკონსულტაციო

საბჭოს მუშაობაში უფრო აქტიური მონაწილეობის და გენდერულ საკითხებზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების კუთხით.

- ამაღლდა მოქალაქეთა ცნობიერება გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის შესახებ, მათ უკეთ გაიაზრეს თავიანთი როლი ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში.
- გაიზარდა იმ ქალთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა რაოდენობა, რომლებიც ესწრებიან საკრებულოს სხდომებს და სამუშაო სესიებს.
- შეფასდა მოსახლეობის გენდერული საჭიროებები; ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ შემუშავდა და დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები.
- პირველად, გენდერული ასპექტები ინტეგრირებულია თვითმმართველობების ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში.
- სამიზნე რეგიონებში განხორციელებულია 20 პროექტი გენდერული საკითხების გათვალისწინებით, მათგან 16 თანადაფინანსებულია ფონდი „სოხუმის“ მიერ და 4 მთლიანად დააფინანსა ადგილობრივმა თვითმმართველობამ (ოზურგეთი).
- შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების არაფორმალური ქსელი ინფორმაციის, წარმატებული პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- გენდერულმა საკითხებმა დიდი მხარდაჭერა ჰპოვა ადგილობრივ მედიაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მედიის განვითარება Facebook-ზე.
- სისტემატურმა შეხვედრებმა მოსახლეობასთან და მედიაში გენდერული პრობლემების გაშუქებამ გააძლიერა ადგილობრივი ჩინოვნიკების პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე და ხელი შეუწყო ადგილობრივი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებას.

- ქალ-დეპუტატებს, პროექტის გავლენით, გაუძლიერდათ საკუთარი მნიშვნელობის შეგრძნება და ჩათვალეს, რომ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადგილობრივი თვით-მმართველობის გადაწყვეტილებებზე.
- გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საგულდაგულოდ იქნა განხილული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და ნაწილობრივ მიღებულია სამიზნე ქალაქების ბიუჯეტის პროგრამებში.
- გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრებმა არა მარტო მიიღეს ცოდნა ფანდრაიზინგის და პროექტების წერის კუთხით, არამედ შეიმუშავეს 20 პროექტი.
- ბენეფიციარების მიერ იურიდიულ შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია დაეხმარა მათ პირადი პრობლემების ადვოკატირებასა და მოგვარებაში.
- გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრების და განსაკუთრებით ქალი-დეპუტატების ცნობადობამ ქალ-ბატონებს აუმაღლა ცოდნა, თვითშეფასება, იმიჯი და ეფექტურ საზოგადო მოღვაწეებად აქცია ისინი. გამოჩნდა მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით და სრული ნდობა ადგილობრივი თემების მხრიდან. ამან ხელსაყრელი ფონი შექმნა ქალებისთვის, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ და გაიმარჯვონ შემდგომ არჩევნებში.
- სამ მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი) გამოხატეს მზადყოფნა, გააფორმონ გენდერული საბჭო, მიღებული კანონის შესაბამისად.
- ოთხმა მუნიციპალიტეტმა ითხოვა მეთოდოლოგიური დახმარება გენდერული საბჭოს შექმნაში.

დანართი

გამოცემის ამ ნაწილში წარმოდგენილია ზოგიერთი მასალა, რომელიც პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოდგება ნიმუშად გენდერული საბჭოს შექმნისას:

პრეს-რელიზი

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს დებულება

მემორანდუმი საკრებულოსთან თანამშრომლობის შესახებ

2016 წლის ერთ-ერთი კვლევა - ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება (2014 და 2015 წლების კვლევები მოცემულია ფონდი „სოხუმის“ ვებ-გვერდზე www.fsokhumi.ge კატეგორიაში „კვლევები“)

2016 წელს მომზადებული ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი (დანარჩენი მასალები განთავსებულია ფონდი „სოხუმის“ ვებ-გვერდზე www.fsokhumi.ge კატეგორიაში „კვლევები“)

სტრატეგია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის

პროექტის ფარგლებში მომზადებულ ჟურნალებს „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები“ (სამი ნომერი) ქართულ და რუსულ ენებზე შეიძლება გაეცნოთ ფონდი „სოხუმის“ ვებ-გვერდზე www.fsokhumi.ge კატეგორიაში „პუბლიკაციები“

ფონდი „სოხუმის“ საპროექტო გუნდი ყველა დაინტერესებულ ადამიანს უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას და წარმატებას უსურვებს გენდერული საბჭოების შექმნაში.

სექტემბერი, 2013
ქუთაისი

გენდერული საბჭოები - ახალი ინსტიტუციური მოდელი გენდერული ცვლილებებისათვის რეგიონებში

2013 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 1 სექტემბრამდე კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ ახორციელებს პროექტს „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“.

პროექტს აფინანსებს გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდი, ხოლო ახორციელებს ფონდი „სოხუმი“ საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან კოორდინაციით.

პროექტი მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რასაც უზრუნველყოფენ დასავლეთ საქართველოს სამ ქალაქში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი) შექმნილი გენდერული საკონსულტაციო საბჭოები. საბჭოების შემადგენლობაში შევლენ ადგილობრივი საკრებულოს წევრები და სამოქალაქო აქტივისტი ქალები და მამაკაცები (დევნილი და ადგილობრივი მოქალაქეები, ეთნიკური უმცირესობების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები).

ყოველწლიურად, გენდერული საკონსულტაციო საბჭოები ჩაატარებენ ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკისა და ბიუჯეტების გენდერულ ანალიზს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს გენდერული კომპონენტების გასათვალისწინებლად

ადგილობრივ ბიუჯეტებში და ლობირებას გაუწევენ მათ. საბჭოები შეისწავლიან ადგილობრივ გენდერულ საჭიროებებს, რის საფუძველზეც შეიმუშავებენ პროექტებს და წარადგენენ მათ ადგილობრივ საკრებულოებში თანადაფინანსებისათვის.

პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის და მათი როლის გაზრდის საჭიროებაზე რეგულარული შეხვედრების, საინფორმაციო კამპანიისა (ჟურნალი, ვებ-გვერდი, ფეისბუქ-გვერდები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები) თუ მრგვალი მაგიდების საშუალებით.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

მოსალოდნელი შედეგები:

- სამ ქალაქში შექმნილმა გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა (ინსტიტუციური მექანიზმის მოდელი) ხელი შეუწყვეს ადგილობრივ ბიუჯეტებსა და პროგრამებში გენდერული კომპონენტების დანერგვას.
- ინფორმირებულმა მოქალაქეებმა სამიზნე ქალაქებში მხარი დაუჭირეს ქალთა წარმომადგენლობას და მათი როლის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების ადგილობრივ დონეზე.
- გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელმა ადვოკატირება გაუწია ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მექანიზმის ინსტიტუციონალიზაციის შესახებ ცვლილებებს გენდერული თანასწორობის ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში.

გენდერული საკონსულტაციო საბჭო - ეს არის გაერთიანებული რესურსები, ახალი ცოდნა და უნარები, თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ურთიერთპასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

გენდერული საკონსულტაციო საბჭო - არის ადგილობრივი დონის ახალი ინსტიტუციური მექანიზმი, ახალი მოდელი ქართულ კონტექსტში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
ქუთაისი, მგალობლიშვილის №6
ტელ: 27-29-02
womansukhumi@gmail.com
www.fsokhumi.ge

საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს (გსს) დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. მოცემული დებულება განსაზღვრავს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს (შემდეგში - გსს) კომპეტენციას, საქმიანობასა და საკრებულოსთან ურთიერთქმედების წესს, ასევე, გსს შემადგენლობაში ექსპერტთა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა და აქტივისტთა ჩართვის პირობებს.

1.2. გსს დაფუძნებულია გენდერული პოლიტიკის სფეროში არსებული ვითარების გარშემო ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების ინფორმირებისთვის და მოქმედებათა შეთანხმებისთვის საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხთა გადასაწყვეტად.

1.3. გსს-ს შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების) წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაცია საზოგადოების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის პოლიტიკის განხორციელებაში; გენდერული საკითხების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება; ქალთა მონაწილეობის გაზრდა მუნიციპალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში.

1.4. გსს თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით, მათ შორის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში არსებული საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით, აგრეთვე მოცემული დებულებით.

1.5. გსს-ს შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი საკრებუ-

ლოსა და სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების) წარმომადგენლები, ექსპერტები გენდერულ საკითხებში.

1.6. გსს-ს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა ადგილობრივი საკრებულოს წევრთაგან. ასისტენტ-მდივნად პროექტის განხორციელების პერიოდში ფონდი „სოხუმი“ ნიშნავს თავის წარმომადგენელს. გსს-ს შემადგენლობაში შედის ადგილობრივი თვითმმართველობის 5 და სამოქალაქო საზოგადოების 10 წარმომადგენელი.

1.7. წინადადება გსს-ს შემადგენლობის შეცვლის თაობაზე საკრებულოში განსახილველად შეიტანება საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, აუცილებლობის შემთხვევაში. ასევე, გსს-ს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას.

2. გსს-ს ძირითადი ამოცანები და პრინციპები

2.1. გსს-ს საქმიანობა ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და ადამიანის უფლებების დაცვას. გსს-ს მოღვაწეობა განხორციელდება ქალთა მიმართ გაეროს სამი პროგრამული მიდგომის შესაბამისად, რომლებიც დამყარებულია „ჰარმონიულობის“, „კომპლექსურობის“ და ადამიანთა უფლებების დაცვის პრინციპებზე.

„ჰარმონიულობის“ პრინციპის დაცვა გვთავაზობს ურთიერთკავშირს საერთაშორისო ვალდებულებებსა და გენდერულ პრიორიტეტებს შორის, რაც განისაზღვრება გენდერული თანასწორობის მიღწევით ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

კომპლექსური მიდგომა წარმოადგენს პროექტის განმავლობაში ლოგიკური თანმიმდევრობის უზრუნველყოფას და შესაბამისობას ე. წ. „ცვლილებათა ჯაჭვთან“. ეს ნიშნავს იმას, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ამოცანა უნდა გახდეს პრიორიტეტული, წინა პლანზე წამოწეული ყველა სტადიაზე: დაწყებული პრიორიტეტების განსაზღვრიდან, ანალიზის თუ ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების/პროგრა-

მების ფარგლებში ადვოკატირების და შესაბამისი დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებით დამთავრებული.

2.2. გენდერული თანასწორობის სფეროში პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზებისთვის რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და ქალთა როლისა და ხარისხის ამაღლება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის.

2.3. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების ძალისხმევის კოორდინაციის გაძლიერება ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული კონკრეტული პროგრამების განხორციელებისთვის; ძალადობის ყველა ფორმის პრევენცია და საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დანერგვა.

2.4. ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვასა და შემუშავებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა - მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით.

2.5. დებულებასთან და სხვადასხვა ჯგუფის (მათ შორის ადგილობრივი საზოგადოების ქალების) საჭიროებებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების მექანიზმის ხელშეწყობა.

2.6. ხელშეწყობა მონაცემთა ბაზის შექმნაში - გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის (წინადადებები, რეკომენდაციები, პროგრამები, ღონისძიებები) გაცვლა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო ორგანიზაციებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის და ყველა დაინტერესებული მხარისთვის აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2.7. ადგილობრივ ტელევიზიაში ისეთი პროგრამების ხელშეწყობა, რომლებიც ასახავენ გენდერული თანასწორობის საკითხებს და მიმართული იქნება გენდერული პატრიარქალური სტერეოტიპების შეცვლისკენ.

2.8. გენდერული აღზრდის საკითხების შესწავლა და წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება მათი განხორციელებისთვის განათლების სფეროში.

3. გსს-ს უფლებამოსილება

გსს-ს მასზე დაკისრებული ამოცანების განხორციელებისთვის აქვს უფლება:

3.1. მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ დონეზე მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პოლიტიკისკენ მიმართული პროგრამების შემუშავებასა და რეალიზებაში.

3.2. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელოს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი ხელისუფლების ღონისძიებების და პროგრამების მონიტორინგი.

3.3. განიხილოს და შეიმუშაოს წინადადებები მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად.

3.4. ხელი შეუწყოს ადგილობრივი ბიუჯეტის, სტატისტიკური და სხვა კვლევების მონიტორინგის ჩატარებას ქალთა მდგომარეობის, მათი საჭიროებების, საოჯახო პოლიტიკის სფეროში და გაავრცელოს ინფორმაცია შედეგების შესახებ.

3.5. ხელი შეუწყოს საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით საინფორმაციო შეხვედრების, მრგვალი მაგიდების, კონფერენციის ჩატარებას ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის განხორციელების საკითხებზე.

3.6. თავის სხდომებზე მოისმინოს ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ანგარიშები და ცნობები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად მიღებულ ზომებთან დაკავშირებით.

3.7. მოიზიდოს ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების

წარმომადგენლები, გენდერულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები - გსს-ს კომპეტენციაში არსებული საკითხების შესასწავლად.

3.8. მოითხოვოს ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან გსს-ს საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაცია.

3.9. შექმნას სამუშაო ჯგუფები გსს-დან და შესაბამისი საკითხების მომზადებისა და განხილვისთვის მოიზიდოს მოხალისეები - ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები.

4. გსს-ს მუშაობის წესი

4.1. გსს მუშაობას წარმართავს ყოველწლიურად დამტკიცებული გეგმით.

4.2. გსს-ს სხდომები იმართება აუცილებლობის შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც და მისი გადაწყვეტილებები ძალაშია, თუ სხდომას ესწრება გსს-ს შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი.

4.3. საბჭოს სხდომას ატარებს გსს-ს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და ამზადებს გსს-ს ასისტენტ-მდივანი.

4.4. გსს-ს გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით, ღია ხმის მიცემის წესით და ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ გსს-ს თავმჯდომარე ან მოადგილე და ასისტენტ-მდივანი.

4.5. გსს-ს გადაწყვეტილებები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, განხილვისთვის გადაეცემა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

4.6. გსს-ს საქმიანობის საორგანიზაციო-ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ფონდ „სოხუმთან“ ერთად ახორციელებს საკრებულო.

4.7. საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრები მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე.

5. გსს-ს თავმჯდომარის უფლებამოსილება

5.1. განსაზღვრავს გსს-ს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს საბჭოს წევრების მიერ მიღებული რეკომენდაციების მიხედვით.

5.2. ანაწილებს მოვალეობებს საბჭოს წევრებს შორის;

5.3. ამტკიცებს გსს-ს მუშაობის წლიურ და მიმდინარე გეგმას;

5.4. ატარებს გსს-ს სხდომას დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

5.5. წინადადება განსახილველად შეაქვს ადგილობრივ თვითმმართველობაში გსს-ს პერსონალური შემადგენლობის მიხედვით.

5.6. წარმოადგენს გსს-ს სახელისუფლებო ორგანოებთან და საერთაშორისო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან - გსს-ს კომპეტენციის საკითხებთან დაკავშირებით.

5.7. ხელს აწერს გსს-ს სხდომათა ოქმებს.

5.8. გსს-ს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე (მოცემული დებულების თანახმად).

6. მდივან-ასისტენტის უფლებამოსილება

6.1. უზრუნველყოფს გსს-ს მუშაობის წლიურ გეგმას და მისი სხდომების დღის წესრიგს.

6.2. ორგანიზებას უკეთებს და უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების მასალებს და მუშაობას.

6.3. ახდენს საბჭოს წევრების ინფორმირებას გსს-ს სხდომების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ.

6.4. მიჰყავს საბჭოს სხდომების ოქმები.

6.5. უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს, ინფორმაციას წარუდგენს გსს-ს თავმჯდომარეს და ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობას.

თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ოზურგეთის საკრებულოს, მერიასა და კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმს“ შორის

ოზურგეთის საკრებულო – თავმჯდომარის, გელა კობალაძის სახით, ქ. ოზურგეთის მერია - მერის ბეგლარ სიორიძის სახით (მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე) და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ - მისი თავმჯდომარის ალლა გამახარიას სახით (ორგანიზაციის წესდების საფუძველზე) - შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც მხარეები

- აღიარებენ რა სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის უდიდეს მნიშვნელობას ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესში,
- ხაზს უსვამენ რა ქალთა შესაბამის როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის საქმეში,
- გააჩნიათ რა ერთიანი პოზიცია სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების განსაზღვრაში, რომელიც მოიაზრებს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის ჩართვას გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის კანონების სახელმწიფო სამოქმედო გეგმების შესრულებაში,
- აქვთ რა სურვილი, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის საინფორმაციო და საქმიან ურთიერთობებს გაეროს უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ნაციონალური სამოქმედო გეგმის, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის კანონების სამოქმედო გეგმების შესრულების და სხვა საქმეებში,

- გამოხატავენ რა დაინტერესებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შესაბამისი სოციალური დაცვისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებით,

აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და საერთო საინფორმაციო სივრცის აუცილებლობას გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მხარდასაჭერად, შეთანხმდნენ წინამდებარე მემორანდუმზე

შეთანხმების მიზანი

მუხლი 1.

1.1. არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ურთიერთქმედების ეფექტურობის ამაღლება სამოქალაქო საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების განვითარებისა და გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობად;

1.2. საზოგადოებისათვის, მათ შორის იგპ-თათვის, ეროვნული უმცირესობებისათვის სახელმწიფო მომსახურების დონის ამაღლება ცხოვრების ხარისხის თანამედროვე სტანდარტების მისაღწევად და ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად;

1.3. ინსტიტუციური და ორგანიზაციული მხარდაჭერის ბაზის განმტკიცება არასამთავრობო ორგანიზაციების სეგმენტის განვითარებისათვის;

1.4. ქალთა მონაწილეობის გაზრდა ოზურგეთის ადგილობრივ თვითმმართველობაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს (გსს), ინსტიტუციური მექანიზმის შექმნითა და მათი პოტენციალის გაძლიერებით, პროექტის „გენდერული საბჭოები - ახალი ინსტიტუციური მოდელი გენდერული ცვლილებებისათვის რეგიონებში“ ფარგლებში (პროექტი ხორციელდება „გაეროს ქალთა ორგანიზაცია – გენდერული თანასწორობის ფონდის“ მხარდაჭერით)

მუხლი 2.

წინამდებარე მემორანდუმი განსაზღვრავს ჩარჩო პირობებს, რომლის მიხედვითაც მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ ერთობლივი პროექტების ორგანიზებისას ურთიერთთანამშრომლობის რეალიზებისათვის; ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის; იგპ-თა, ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის ადგილობრივ საზოგადოებაში; სოციალური ინსტიტუტების თანამშრომლობის ინოვაციური საქმიანობისათვის დემოკრატიული პრინციპების მხარდასაჭერად და გენდერული სამართლიანობის მისაღწევად.

ერთობლივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი 3.

შეთანხმების მხარეები გამოთქვამენ დაინტერესებას, ითანამშრომლონ შემდეგი მიმართულებით:

3.1. პარტნიორობის გაუმჯობესება ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის სამოქალაქო მონაწილეობის სფეროში გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ორგანიზებით (განსაკუთრებით ქალთა ჯგუფებისა და იგპ საზოგადოებისათვის);

3.2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხარისხისა და როლის გაზრდა;

3.3. გამოცდილების გაცვლის სისტემის შემდგომი განვითარება სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორს შორის;

3.4. არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე პრიორიტეტული სოციალური პროგრამებისა და პროექტების განსაზღვრაში;

3.5. საერთო საინფორმაციო სივრცის ორგანიზება, ინფორმაციის გაცვლის სისტემის გაუმჯობესება;

3.6. ადგილობრივ საზოგადოებაში ქალთა სხვადასხვა ჯგუფის მდგომარეობის ირგვლივ შესაბამისი კვლევების ჩატარება და შედეგების ანალიზი;

3.7. კონკრეტული მიზანმიმართული ინიციატივებისა და საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარება ქალთა მხარდასაჭერად;

3.8. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში დასაქმებული პერსონალის ინსტიტუციური განვითარების ხელშემწყობი სასწავლო ტრენინგების, სტაჟირების სისტემის ერთობლივი ორგანიზაცია და განხორციელება;

3.9. თანამშრომლობა ადვოკატირებისა და ლობირების საკითხებში და აქტიური საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარებაში, ასევე ერთობლივი მონაწილეობა ტელე-რადიოგადაცემებში;

3.10. წინადადებების, მოთხოვნების, ერთობლივი პროექტებისა და სხვა მონაცემთა ერთობლივი ბაზის შექმნა;

3.11. სპეციალისტების მომზადების ერთობლივი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური სერვისების მიწოდების ხელშესაწყობად; ეფექტური გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისათვის გაცვლით პროგრამებში საბჭოს წევრების მონაწილეობის უზრუნველყოფა;

3.12. იგპ ქალბატონთა ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

3.13. ერთობლივი მონაწილეობა ახალგაზრდული პროექტების ორგანიზებასა და რეალიზაციაში;

3.14. მომავალ ღონისძიებებზე ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა (კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საინფორმაციო შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოებასთან);

3.15. პროფესიული გადამზადების პროგრამების ორგანიზება;

3.16. ერთობლივ ღონისძიებებზე ინფორმაციის მომზადება და გავრცელება.

მხარეთა პასუხისმგებლობები

მუხლი 4.

4.1 თავის მხრივ, ფონდი „სოხუმი“ უზრუნველყოფს პროექტის საერთო მიზნებისა და ინტეგრაციის კომპონენტების მიღწევას შემდეგი აქტივობებით:

განათლება - ტრენინგები, ვორკშოპები, საინფორმაციო შეხვედრები, მასტერ-კლასები, მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემა.

კვლევა - გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები, ანალიზი.

ინფორმირება - პერიოდული გამოცემები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები, სოციალური ქსელები, ვებ-გვერდი, ბიულეტენის, ბუკლეტების, მეთოდური სახელმძღვანელოს გამოშვება.

ადვოკატირება - საინფორმაციო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, საზოგადოებრივი დებატები, ღია წერილები, მიმართვები, საკანონმდებლო ინიციატივები, სამოქალაქო ფორუმები.

კონსულტაცია - იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები.

მონიტორინგი და ანალიზი – პროგრამების, ბიუჯეტის მონიტორინგი და ანალიზი გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით.

4.2. მეორე მხრივ, ქ. ოზურგეთის საკრებულო და მერია თანამშრომლობენ ფონდ „სოხუმთან“, ხელს უწყობენ ზემოთ აღნიშნული აქტივობების განხორციელებას.

ასევე იღებენ ვალდებულებებს შემდეგზე:

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ფორმირებაში მონაწილეობა და მისი მუშაობის ხელშეწყობა;

გენდერულად ორიენტირებული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის დანერგვა;

მონაწილეობის მიღება ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელე-

ბულ ღონისძიებებში გენდერული საბჭოების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით;
ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული ინიციატივების განხილვა და შესაძლებლობების ფარგლებში მათი მხარდაჭერა;
საკონსულტაციო საბჭოსა და ფონდი „სოხუმის“ ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში (საინფორმაციო შეხვედრები, საკრებულოს სხდომები და ა. შ.);
ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება და დახმარების გაწევა;
ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის, მათი შესაძლებლობების გაფართოებისათვის შემუშავებული პროექტების მხარდაჭერა.

ერთობლივი საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
მუხლი 5.

კონკრეტული პროექტების რეალიზაციის საორგანიზაციო საკითხები განხილული და შეთანხმებული იქნება ცალკეული ორმხრივი ოქმების ფარგლებში.

მემორანდუმის პროცედურები
მუხლი 6.

6.1. შეთანხმების მხარეები ნიშნავენ პასუხისმგებელ პირებს ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების კოორდინაციისა და ორმხრივი სამუშაო გეგმის მომზადებისათვის;
6.2. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეების შეთანხმების საფუძველზე;
6.3. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შევა მისი ხელმოწერის მომენტიდან 3 წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო წლებში, თუკი ერთ-ერთი მხარე შესაბამისი ვადის

დასრულებამდე ერთი თვით ადრე მეორე მხარეს არ შეატყობინებს თავის გადაწყვეტილებას წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

6.4. წინამდებარე შეთანხმების პირობების რომელიმე მხარის მიერ დარღვევის შემთხვევაში, ან პროექტის განხორციელებაში არსებითი ცვლილებებისას, შეთანხმების ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს ერთობლივ ინიციატივაში მონაწილეობა და გავიდეს შეთანხმებიდან, ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

6.5. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და დადასტურებულია ხელმოწერებით. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
თავმჯდომარე

_____ ალლა გამახარია

_____ 2014 წელი

ქ. ოზურგეთის
საკრებულოს
თავმჯდომარე

_____ გელა კობალაძე

_____ 2014 წელი

ოზურგეთის მერი

_____ ბეგლარ სიორიძე

_____ 2014 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ჯგუფების გენდერულ საჭიროებათა კვლევა ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის

კვლევა ჩატარდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის UN WOMEN ფინანსური მხარდაჭერით

2016 წელი, მაისი

1. რეზიუმე

სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავდა ადგილობრივი სოციალური ჯგუფების საჭიროებების გამოვლენას, რათა სამომავლოდ განხორციელდეს მათი ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირება. კვლევის ინტერესს წარმოადგენდნენ ახალგაზრდები, ქალები, სოციალურად დაუცველები, მცირე ბიზნესით დაკავებული ქალები, დევნილები, შშმ პირები. თვისებრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვების შედეგად ცხადი გახდა, რომ სენაკში იგრძნობა ძვრები მოსახლეობის სხვადასხვა გენდერული ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილებისა და ახალი საბიუჯეტო პროგრამების დანერგვისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ საჯაროა, საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას, რადგან ჯერ კიდევ არ არის დანერგილი ბიუჯეტის დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების პროცესში მოსახლეობის სხვადასხვა, განსაკუთრებით ყველაზე მოწყ-

ვლადი ჯგუფების მონაწილეობის პრაქტიკა, თუმცა ამის საშუალებას იძლევა სოფლის კრებები.

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების შესაბამისად ოპტიმალურადაა გათვალისწინებული პროგრამები, რომლებიც ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, განათლების, სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების განვითარების ტენდენციების შესაბამისადაა დაგეგმილი.

მათი აზრით, მოსახლეობის სიღარიბის და კონკრეტული სოციალური ჯგუფების საერთო ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ყველაზე მეტად უწყობს ხელს ინფრასტრუქტურული, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაგეგმილი პროგრამები.

დასახელდა ადგილობრივი პროგრამები, რომელთაც, კვლევაში ჩართულთა აზრით, აქვთ გამოკვეთილი ეფექტი: მაგალითად, ინფრასტრუქტურულ პროექტებში - სოციალურად დაუცველთათვის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის პროგრამა; ჯანდაცვის პროგრამებში მაღალი შეფასება მიეცა სკოლამდელთა გამოკვლევებს ჰელმინთებზე; ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეებისთვის - მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტული გამოკვლევების დაფინანსებას; ცე-ჰეპატიტით დაავადებულთათვის - თანადაფინანსების პროგრამას და ა.შ.

კვლევამ ცხადი გახადა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში ყველა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროება არ არის სრულად დაკმაყოფილებული, ვინაიდან მათი სოციალური მდგომარეობის და დახმარების პოლიტიკა ყოველთვის ღონისძიებათა უფრო ფართო ქსელის ნაწილია, რაც გულისხმობს მდგრადი დასაქმების, საცხოვრებელი პირობების, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობას, რომელთა მიზანია სიღარიბის ზრდის და მოწყვლადობის რისკის შემცირება. განსაკუთრებით მწვავედ იკვეთება შშმ პირების საჭიროებები, როგორც მათთვის შესა-

ბამისი ინფრასტრუქტურის, ასევე მათი სოციალური დაცვის, შრომის ღირსეული პირობების შექმნის კუთხით.

მწვავედ დგას ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობა, წარჩინებული ახალგაზრდების წახალისების, სტაჟირების პროგრამებით, თუნდაც ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებით, ინვესტიციების მოზიდვით, სამუშაო ადგილების შექმნით, რათა მათი გადინების პროცესი შეჩერდეს.

კვლევამ თვალსაჩინო გახადა ქალების საჭიროებები, რაც უკავშირდება სოციალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მათთვის მცირე ბიზნესის, შინამეურნეობის საწარმოებლად ადგილობრივი პროგრამების შექმნას. გამოიკვეთა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალისთვის ხელფასების მომატების და მათი სოციალური დაცვის გაუმჯობესების საჭიროება. მწვავედ დგას დევნილი ქალების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხი.

კვლევამ აჩვენა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში თანდათან მკვიდრდება გენდერული მიდგომების აუცილებლობა და როგორც საზოგადოებას, ასევე თვითმმართველობის წარმომადგენლებს ესმით გენდერული განათლების, ბიუჯეტში გენდერული ხედვის გათვალისწინების აუცილებლობა. ამას ცხადყოფს საკითხები, რომელიც სენაკის გენდერული საბჭოს ინიციატივით გათვალისწინებული იქნა ბიუჯეტში, მაგალითად - ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. საგანმანათლებლო მუშაობა სოფლებში.

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა სამომავლოდ სოციალური პროგრამების საჭიროება, რომელიც ითვალისწინებს დღის ცენტრების შექმნას, მოხუცებისთვის, მარტოხელა დედებისთვის და ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტირების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სარეაბილიტაციო და დამხმარე მოწყობილობების მიწოდებას და ზოგადად სიღარიბის ზრდის და მოწყვლადობის

რისკის შემცირებას, გენდერული ჯგუფების საჭიროების დაკმაყოფილებას კომპლექსური აქტივობებით, რათა მუნიციპალიტეტის სინამდვილეში საგრძნობლად გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა.

2. ძირითადი ნაწილი

სენაკის მუნიციპალიტეტში „ადგილობრივი სოციალური ჯგუფების საჭიროებათა კვლევა“ ჩატარდა ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით და კვლევაში, ძირითადად, ჩართულნი იყვნენ სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის მოპოვებით, გამოკითხვის, ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით.

მთლიანობაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 238-მა რესპონდენტმა (გამოკითხვა - 200 რესპონდენტი, ფოკუს-ჯგუფები - 34 რესპონდენტი, ჩაღრმავებული ინტერვიუ - 4 რესპონდენტი).

რაოდენობრივი კვლევა

სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 200 რესპონდენტი. მათ შორის - 88% ქალი, 12% მამაკაცი. პირისპირ გამოკითხვის მეთოდით გამოიკითხა შემდეგი სოციალური ჯგუფები: ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, მცირე ბიზნესში ჩართული ქალები, დევნილები. გამოკითხვა ჩატარდა ქალაქ სენაკში და სოფლების - თეკლათის, ბათარიას, მენჯის მოსახლეობასთან.

გამოკითხულთა ასაკი იყო 16-დან 30 წლამდე - 32%, 30-დან-50-მდე - 43%, 50-ს ზევით - 26%. მათი 68% ცხოვრობს ქალაქში, 32% - სოფელში. ქალაქში მცხოვრებ გამოკითხულთა 100%-ს წამოადგენდნენ ახალგაზრდები (კვლევის მონაწილე ახალგაზრდების 64%).

გამოკითხულთა 17% არის არასრული საშუალო განათ-

ლებით, 32% - საშუალო-პროფესიული, 13% - დაუმთავრებელი უმაღლესი, 40% - უმაღლესი განათლებით. ყველაზე მეტი უმაღლესი განათლებით გამოკითხული იყო მცირე ბიზნესის ჯგუფში (32%).

კითხვას, გაქვთ თუ არა სტაბილური შემოსავალი - დადებითად უპასუხა გამოკითხულთა 44%-მა. უარყოფითად - 56% -მა. გამოკითხულების ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 200 ლარამდე ჰქონდა 40%-ს, 600 ლარამდე - 42%-ს, 600 ლარს ზევით - 19%-ს. მათ შორის 200 ლარამდე შემოსავალი აღნიშნა სოციალურად დაუცველების 62%-მა. მცირე ბიზნესის ჯგუფის 84%-ს ჰქონდა შემოსავალი 600 ლარამდე. 600 ლარს ზევით მიუთითა ახალგაზრდების 52%-მა, 16% - მცირე ბიზნესი, 6% - დევნილები, 0% - სოციალურად დაუცველები.

კითხვაზე, გაქვთ თუ არა სათანადო ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ, პასუხი - „მაქვს სრული ინფორმაცია“ ჰქონდა გამოკითხულთა 13%-ს. ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდნენ სოციალურად დაუცველები - 0%; შედარებით უფრო ინფორმირებული - ახალგაზრდები (22%).

პასუხი „მაქვს მწირი ინფორმაცია“ აირჩია 48%-მა (ახალგაზრდები -52%, მცირე ბიზნესი ასევე - 52%, სოციალურად დაუცველები - 44 %).

პასუხი „ინფორმაცია არ მაქვს“ ჰქონდა გამოკითხულთა 39%-ს. მათ რიცხვში სჭარბობდნენ სოციალურად დაუცველები - 56% და დევნილები - 44%.

გამოკითხულებმა შეაფასეს საზოგადოებასთან ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციის ხარისხი. მას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს რესპონდენტთა 44%. ყველაზე ხშირად მცირე ბიზნესი (74%), ახალგაზრდები (54%). სოციალურად და-

უცველების მხოლოდ 10% მიიჩნევს საკითხს დამაკმაყოფილებლად.

პასუხი „არადამაკმაყოფილებელი“ აირჩია გამოკითხულთა 27%-მა. უფრო მეტად სოციალურად დაუცველებმა (43%). დევნილების 30% არადამაკმაყოფილებლად აფასებს საკითხს. „მიჭირს პასუხის გაცემა“ გამოკითხულთა 30%-მა აირჩია (სოციალურად დაუცველების 54%, ახალგაზრდების 34%, მცირე ბიზნესის 10%. დევნილების 28%).

პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, შეეფასებინათ ადგილობრივი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები. ეს პროგრამები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა გამოკითხულთა 51%-თვის; ყველაზე ხშირად მცირე ბიზნესში ჩართული ქალებისთვის (72%) და დევნილებისთვის (68%). არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია გამოკითხულთა 22%-ს. უფრო ხშირად -სოციალურად დაუცველებს (36%). პასუხის გაცემა გაუჭირდა 28%-ს (სოციალურად დაუცველები - 54%, ახალგაზრდები - 32%, დევნილები - 16% მცირე ბიზნესი - 8%).

გამოკითხულებმა პასუხი გასცეს კითხვას, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (ასევე საზოგადოების სხვა სპეციფიკური ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება.

საკითხი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა 43%-მა (ახალგაზრდების ჯგუფის 74%, დევნილების 56%, მცირე ბიზნესში ჩართული ქალების ჯგუფის 24%, სოციალურად დაუცველების 22%). მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად თვლის გამოკითხულთა 25%; საკითხი არ არის მნიშვნელოვანი რესპონდენტების 16%-თვის; უჭირს პასუხის გაცემა მათ 16%-ს. ყველაზე ხშირად საკითხისადმი დამოკიდებულების არქონა დაფიქსირდა სოციალურად დაუცველების ჯგუფში (38%).

რესპონდენტებს შესთავაზეს, დაესახელებინათ, ჩამოთვლილი სფეროებიდან დაფინანსების კუთხით რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ დონეზე. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, აერჩიათ 3 მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხი.

„ჯანდაცვა“ აირჩია გამოკითხულთა 24%-მა, სოციალური დაცვა - 18%; განათლება - 19%; ეკონომიკური განვითარება - 19%; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება -7%; - ინფრასტრუქტურა - 13%. ყველაზე ხშირად განათლება დასახელებული იყო დევნილების ჯგუფში. ჯანდაცვის საკითხები უპირველესი საზრუნავი აღმოჩნდა დევნილთა ჯგუფისთვის. ეკონომიკური განვითარების პროგრამებს მიანიჭეს უპირატესობა მცირე ბიზნესის წარმომადგენელმა ქალებმა, თუმცა ნიშანდობლივია, რომ მათ განათლების პროგრამების საჭიროება ამ დროს სხვებზე ნაკლებად დაინახეს. ინფრასტრუქტურული პროგრამების საჭიროება დაასახელეს ყველაზე მეტად ახალგაზრდების ჯგუფის წარმომადგენლებმა. ყველაზე ნაკლებად ეს საკითხი მოიაზრა სოციალურად დაუცველთა ჯგუფმა.

რესპონდენტებს სთხოვეს აერჩიათ, ვისი საჭიროებების გათვალისწინება მიაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაძლებელი იყო 3 მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიის არჩევა.

„ახალგაზრდა ოჯახები“ აირჩია გამოკითხულთა 8%-მა; დევნილები - 11%; ორსული ქალები - 6%; მზრუნველობამოკლებული ბავშვები - 10%, სოციალურად დაუცველი ოჯახები - 16%; ეთნიკური უმცირესობები - 1%; ხანდაზმულები - 8%. შშმ პირები - 12%, მარტოხელა მშობლები - 8%; მცირე მეწარმეები - 5%; სტუდენტები - 5%; ოჯახში ძალადობის მსხვერპლები - 3%; მრავალშვილიანი ოჯახები - 6%. ახალგაზრდების ჯგუფი ყველაზე მეტად ზრუნვის საგნად ასახელებს სოციალურად დაუცველ ოჯახებს (მათი 22%), შშმ პირებს (17%), ყველაზე ნაკლებად - მარტოხელა მშობლებს (2%).

სოციალურად დაუცველები მიიჩნევენ, რომ ზრუნვის საგანი უფრო მეტად უნდა იყოს ახალგაზრდა ოჯახები (19%), დევნილები (17%) და სოციალურად დაუცველი ოჯახები (17%); ისინი საერთოდ ვერ ხედავენ ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს (0%), ასევე - ნაკლებად მარტოხელა მშობლების (2%), მცირე მეწარმეების (3%), სტუდენტების საჭიროებებს (3%).

მცირე ბიზნესში ჩართული ქალების აზრით, ყველაზე მეტად ზრუნვა სჭირდებათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს (18%), მარტოხელა მშობლებს (14%), ხანდაზმულებს (11%).

დევნილები ყველაზე საშურად შშმ პირებზე ზრუნვას მიიჩნევენ (26%); მათი აზრით, ყურადღება სჭირდებათ ასევე ხანდაზმულებს (14%). დევნილების საჭიროებების ადგილობრივ დონეზე გათვალისწინების აუცილებლობა მათმა 5%-მა აირჩია.

გამოკითხულებმა ვერ დაინახეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა (საშუალოდ - 3%)

ყველაზე სასიცოცხლო საჭიროებებში, რომლებიც სჭირდებათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, რესპონდენტებმა დაასახელეს 3 ყველაზე მნიშვნელოვანი.

საბინაო პირობების გაუმჯობესება - 12%; დასაქმება - 27%; კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობა - 18%; ადგილობრივი სოციალური დახმარების პროგრამებში ინტეგრირება - 9%; შრომის პირობების დაცვა - 14%; ოჯახის წევრების მხარდაჭერა - 9%; ხელმისაწვდომი კრედიტები - 12%.

საბინაო პირობების გაუმჯობესება დაასახელა ყველაზე ხშირად სოციალურად დაუცველთა ჯგუფმა (23%), დევნილებმა (13%).

დასაქმება ერთნაირად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გამოკითხულთათვის - 25%-დან 31%-მდე. კვალიფიციური განათლების საჭიროებას ყველაზე ნაკლებად გრძნობენ სოციალურად დაუცველები (9%). ყველაზე მეტად - დევნილები (პასუხების 25%).

ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება ყველაზე მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველთა 10% და დევნილთა 16%-თვის.

შრომის პირობების დაცვა დაასახელეს, როგორც სასიცოცხლო საჭიროება ყველაზე ხშირად მცირე ბიზნესში ჩართულმა ქალებმა (17%).

ოჯახის წევრების მხარდაჭერა სჭირდება ყველაზე უფრო ახალგაზრდების ჯგუფს (18%). ყველაზე ნაკლებად - დევნილებს (2%).

ხელმისაწვდომი კრედიტების საჭიროება სხვაზე მეტად აქვთ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს - 24%. ახალგაზრდების 10% მიიჩნევს საკითხს აქტუალურად. რაც შეეხება დევნილების (3%) და სოციალურად დაუცველების ჯგუფს (9%), ისინი ამ საკითხისადმი შედარებით გულგრილი არიან.

გამოკითხულების პასუხებით ირკვევა, რომ მათი შენატანი ოჯახში უფრო ხშირად არის პროდუქტიული შრომა (45%), რეპროდუქტიული შრომა არის შენატანი 28%-თვის და შერეული - 27%-თვის. პროდუქტიული შრომის წილი ყველაზე მეტი აქვთ მცირე ბიზნესის ჯგუფში - 94%.

კითხვას, მიაჩნიათ თუ არა საჭიროდ არაანაზღაურებად სექტორში (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) გაწეული საქმიანობის წახალისება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, გამოკითხულები ასეთი თანაფარდობით პასუხობენ:

დიახ - 59%; არა - 23%; მიჭირს პასუხის გაცემა - 18%. ყველაზე ნაკლებად ამ საკითხის საჭიროება დაინახეს სოციალურად დაუცველებმა (26%). ყველაზე მეტად ახალგაზრდებმა და დევნილებმა (74%).

რესპონდენტებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საკითხისადმი, რა უფრო შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში.

მათი შეხედულებით, პირველადია სამუშაო ადგილების შექმნა (62%), შემდეგ მცირე ბიზნესის განვითარების მუნიციპალური პროგრამები - 14%, უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა - 10%, დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრები - 9%; ადგილობრივი ტურიზმის განვითარება - 6%;

სამუშაო ადგილების შექმნა ყველაზე პრიორიტეტულია ახალგაზრდებისთვის (72%).

საბავშვო ბაღების სერვისის გაუმჯობესების საკითხს უფრო პრაგმატულად უყურებენ დევნილები (20%), ყველაზე ნაკლებად - ახალგაზრდები (2%). მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამების აუცილებლობას სხვებზე მეტად ხედავენ მეწარმე ქალები (24%). ყველაზე ნაკლებად - დევნილი ქალები (4%).

რესპონდენტები ასახელებენ ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ადგილობრივ დონეზე.

ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა - მუნიციპალური ვაუჩერი, სტიპენდია - 19%;

დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება - 24%;

დღის ცენტრების გახსნა სოციალურად დაუცველი ოჯახების ახალგაზრდებისათვის - 10%;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 18%; პროგრამა ყველაზე მეტად სჭირდება ახალგაზრდების ჯგუფს.

პასუხი - ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა - 13%;

კვალიფიციური სტაჟირების პროგრამების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 16%-სთვის.

რესპონდენტები ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, შშმ პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი დედები, ახალგაზრდა ოჯახები

და ა. შ.) სოციალური და სხვა საჭიროებების გაჟღერებისას წამყვანად ჩამოთვლილთაგან შემდეგ მხარეებს მიიჩნევენ:

გამგეობა/მერია - 43%, საკრებულო - 7%; არასამთავრობო სექტორი - 11%; მოქალაქეთა აქტიური ჯგუფები - 27%; მედია - 12%.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულებში ერთნაირი დამოკიდებულებაა გამგეობის უფრო წამყვანი როლის მიმართ. განსაკუთრებით მცირე ბიზნესის ჯგუფში (84%). სოციალურად დაუცველებში ეს თანაფარდობა 22% - 16%-ს უდრის.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა აქტიური ჯგუფების წამყვან როლს აღიარებენ დევნილების 56%, ახალგაზრდების 22%, სოციალურად დაუცველების 26%; მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ყველაზე ნაკლებად ხედავენ მათ როლს (4%).

არასამთავრობო სექტორის როლს ყველაზე მეტად აღიარებს სოციალურად დაუცველთა ჯგუფი - 24%. ყველაზე ნაკლებად მცირე ბიზნესის ჯგუფი - 2%, ასევე დევნილები (6%).

პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტებმა განსაზღვრეს, ჩამოთვლილთაგან, რომელი სტრუქტურები მიაჩნიათ ყველაზე აქტიურად ჩართულად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკის, ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებში. 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხის არჩევის შემდეგ პასუხები ასე განაწილდა:

ა) სოციალური მუშაკები - 17%

ბ) ძალოვანი სტრუქტურები (პოლიცია, პროკურატურა) – 18%;

გ) სასწავლო დაწესებულებები - 8%;

დ) ჯანდაცვის სტრუქტურები - 9%;

ე) არასამთავრობო ორგანიზაციები - 10%

ვ) ადგილობრივი ხელისუფლება - 15%

ზ) სახალხო დამცველი - 10%;

თ) მედია - 13%.

სოციალური მუშაკების როლს ყველაზე ნაკლებად ხედავს მცირე ბიზნესის ჯგუფი - 4%; ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სოციალურად დაუცველები - 29%.

ძალოვანი სტრუქტურების როლს განსაკუთრებულად აღიარებენ მცირე ბიზნესის (27%) და დევნილების წარმომადგენლები (29%).

სასწავლო დაწესებულებების როლი ვერ დაინახეს მცირე ბიზნესის ჯგუფში (1%). ყველაზე ხშირად ამ სტრუქტურას ასახელებს ახალგაზრდების ჯგუფი (20%).

სახალხო დამცველის როლს აღიარებს მცირე ბიზნესის 5%; ახალგაზრდების 14%; სოციალურად დაუცველების 14%; დევნილების 21%.

ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა უმნიშვნელოვანესად მიაჩნია მცირე ბიზნესის 25%, დევნილების 13%, ახალგაზრდების 12% და სოციალურად დაუცველების 11%.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი (რესპონდენტთა საერთო რაოდენობა 36) და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (4 რესპონდენტი). სულ თვისებრივ კვლევაში მონაწილეობდა 40 რესპონდენტი. 31 ქალი, 9 კაცი. ფოკუსური ჯგუფები ჩატარებული იყო შშმ პირებთან, თემის ლიდერ ქალებთან, სკოლამდელი განათლების პედაგოგებთან და მშობლებთან, ინტელიგენციასთან.

მიღებული ინფორმაციით, გამოიკვეთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ჩართულობის ხარისხი თვითმმართველობაში, კერძოდ ინფორმაციის გაცვლის, საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობის კუთხით. წარმოდგენილი იყო ხედვა, რომ „ბიუჯეტი ოპტიმალურად უნდა ასახავდეს ყველა დაინტერესებული პირის - ქალების, შშმ პირების, ახალგაზრდების, დევნილების და ეთნიკური უმცირესობების - ინტერესებს. ბიუჯეტის შე-

მუშავების საწყისი ეტაპიდანვე აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ კი მისი მიზნების, პრიორიტეტებისა და გეგმების შესახებ დაწვრილებით უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ ჯგუფს“, თუმცა პრაქტიკაში შედარებით სხვა სურათი გამოიკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, თვითმმართველობის კარი ყველასთვის ღიაა, შშმ პირების განცხადებით, მათ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს უჭირთ მონაწილეობის მიღება, არსებული ინფრასტრუქტურა არ აძლევს მათ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას.

იყო სხვა, უფრო რადიკალური მოსაზრებაც: „ვფიქრობ, სოციალურ ჯგუფებს არა აქვთ სათანადო ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და რესურსების შესახებ, აქედან გამომდინარე, არ ღებულობენ მონაწილეობას საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრაში.“

საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრის არსებულ პრაქტიკაზე საუბრისას კვლევაში ჩართულმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ „ცენტრალურმა ხელისუფლებამ, კერძოდ, ფინანსთა სამინისტრომ და ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრომ მოიძიონ ფინანსური რესურსი, მუნიციპალიტეტების განვითარების გენერალური გეგმის შემუშავების პროექტების დასაფინანსებლად, რაც საშუალებას მოგვცემს, ზუსტად, მიზნობრივად და ეფექტურად განვსაზღვროთ განსახორციელებელი პროექტები და პროგრამები.“

რესპონდენტები მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა პროექტს მნიშვნელოვნად თვლიან, რადგან ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია თანაბრად მიმდინარეობდეს როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ სპორტული პროგრამები. გამოყოფენ სოციალურ პროგრამებს, განსაკუთრებით ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეებისათვის მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტული გამოკვლევების დაფინანსება, რომელიც ძვირადღირებულია

და უმრავლეს შემთხვევაში არ ფინანსდება საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით. ამ პროგრამით კი ფინანსურად ხელმისაწვდომი გახდა მოქალაქეებისათვის.

მნიშვნელოვან სიახლედ თვლიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ სოციალურ ადაპტაციას.

რესპონდენტების აზრით, სოციალური პროგრამები მიმართულია ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალური შოკების თავიდან აცილებისაკენ, დაგეგმილი სოციალური პროგრამების საშუალებით ამ ჯგუფებისათვის გაიზარდა ხელმისაწვდომობა მედიკამენტებსა და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებაზე. მიაჩნიათ, რომ სამომავლოდ სოციალური პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს დღის ცენტრების შექმნას, მოხუცებისთვის, მარტოხელა დედებისთვის და ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტირების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სარეაბილიტაციო და დამხმარე მოწყობილობების მიწოდებას და სხვა პროგრამებს. მათი აზრით, სიღარიბის ზრდის და მოწყვლადობის რისკის შემცირება, ჯგუფების საჭიროება დაკმაყოფილებული იქნება ისეთი კომპლექსური აქტივობებით, როგორიცაა მდგრადი დასაქმების, საცხოვრებელი პირობების, ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა, მხოლოდ ასეთმა აქტივობებმა შეიძლება გაანეიტრალოს მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მათი მდგომარეობა.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ ექსპერტები ჯანმრთელობის დაცვის და დაავადებების პრევენციის ადგილობრივ ღონისძიებებს ეფექტურად მიიჩნევენ და ამის ინდიკატორად მიაჩნიათ სამსახურში შემოსული განცხდებებისა და დაკმაყოფილებული მოქალაქეების რაოდენობა. ისინი თვლიან, რომ უნდა იქნეს გათვალისწინებული იშემიით დაავადებულ პაციენტებზე მედიკამენტების თანადაფინანსება სოციალური სტატუსის მიუხედავად.

იყო მოსაზრება, რომ მოქალაქეთა ჩართულობის პარალელურად, საბიუჯეტო პრიორიტეტები უნდა განსაზღვრონ პროფესიონალმა ეკონომისტებმა, იურისტებმა . „ბიუჯეტის შედგენისას პროფესიონალებთან ერთად სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას. ვფიქრობ, უნდა ჩატარდეს მოსახლეობის გამოკითხვა." „ჩემი აზრით, აუცილებელია ახალგაზრდების, შშმ პირების, დევნილების ჩართულობა, რათა მოხდეს მათი საჭიროებების გათვალისწინება".

გამოიკვეთა პოზიციები, რომ ბიუჯეტირებას უნდა უძღოდეს არსებული პროგრამების ეფექტის დათვლა. „ხარჯი მაშინ არის ეფექტური, როდესაც მას შედეგი მოსდევს და ეს არ იქნება ერთჯერადი. მაგალითისთვის, ყურადღება შემიძლია გავამახვილო ინფრასრუქტურულ სამუშაოებზე, რომელიც, მოსახლეობის კეთილდღეობისთვის არის აუცილებელი". „რეალურად მოქალაქეების მიერ თვითმმართველობაში შემოსული განცხადებების ანალიზი იძლევა საშუალებას, მომავალი წლისთვის პრიორიტეტებისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები".

საკმაოდ ეფექტური გამოდგა სამშენებლო მასალებით სოციალურად დაუცველთა უზრუნველყოფის პროგრამა, რაც იძლევა ავარიული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის საშუალებას და ხდება მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

მოქალაქეები აცხადებენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ასევე ჯანდაცვის პროგრამები. „ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება უფრო მორგებულია. გაამართლა ჯანდაცვის პროგრამაში გათვალისწინებულმა პარაზიტოლოგიურმა გამოკვლევამ ბავშვებში". ასევე გამოყვეს ცე-ჰეპატიტით დაავადებულთათვის ელიმინაციის პროგრამაში ჩასართავად აუცილებელი კვლევების თანადაფინანსების პროგრამა.

„მომწონს სოფლის განვითარების პროგრამა. სოფელი ძლი-

ერია, როცა აქვს გზა, წყალი, გაზი და სხვა. სოფლად ვაუჩერების პროგრამა კარგია. როცა სოფლად გლეხს ექნება ასეთი დახმარებები, ქალაქში „გაქცეულიც“ უკან, სოფელში დაბრუნდება”.

მოქალაქეების მოწონებით სარგებლობს ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება საბავშვო ბაღებისადმი, განსაკუთრებით ბაღის აღსაზრდელების კვებასთან დაკავშირებით.

იმ პროგრამების პარალელურად, რომელიც მიაჩნიათ თავიანთ საჭიროებებზე მორგებულად, კვლევაში ჩართული ქალთა და სხვა გენდერული ჯგუფები საუბრობენ სპეციფიკურ საჭიროებებზე. განსაკუთრებით გამოიკვეთა შშმ პირთა პრობლემები. საკითხს შეეხნენ როგორც თავად ბენეფიციარები, ასევე საზოგადოების სხვა ჯგუფები და ექსპერტები. „შშმ პირებს გამოვყოფდი, უკეთესი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში არსებული დაწესებულებები, შენობები ადაპტირდება და ქალაქის ინფრასტრუქტურა მოეწყობა შშმ პირების საჭიროებების შესაბამისად, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, გადაადგილდნენ თავისუფლად და შეუფერხებლად. სენაკში არსებულ სხვადასხვა შენობას აქვს პანდუსები, თუმცა ძალიან ბევრი ადგილია, სადაც გადაადგილების პრობლემის მქონე პირებისათვის შენობაში შესვლა შეუძლებელი ხდება“.

თავად შშმ პირები აყენებენ საზოგადოებაში საკუთარი თემის ინტეგრირების საჭიროებას. „ჩვენ სულ გვესაჭიროება დახმარება არა მხოლოდ ეკონომიურად. კარგი იქნებოდა შინ მოვლის პროგრამის ამოქმედება, ვინაიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური დახმარება საგრძნობლად შეამსუბუქებდა ჩვენს მდგომარეობას“.

ითქვა, რომ უნდა არსებობდეს შშმ პირთა დასაქმების პროგრამა. ასევე - მოხდეს ისეთი პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც მათ დაეხმარება საზოგადოებაში ინტეგრირებაში. „ამჟამად 18 სსსმ მოსწავლესთან და ასევე მოხალისე მოსწავლეებთან ერთად ვმუშაობ და ვქმნი ხელნაკეთ ნივთებს, მაგრამ განვიცდი

უსახსრობას, რაიონში ვერ დაფინანსდა ვერცერთი ასეთი პროექტი, სახსრები ვერ მოიძებნა.”

სასურველია, არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა, სადაც სავალდებულო იქნება შშმ პირების დასაქმება. მათი სიტყვებით, „ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი შრომით ვარჩინოთ ოჯახი და საკუთარი თავი. სახელმწიფომ უფრო მეტი რესურსი უნდა მოიძიოს და მეტი ყურადღება მიაქციოს შშმ პირების სტაბილურ ხელშეწყობას“.

სკოლამდელი განათლების პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა იქნეს გათვალისწინებული მასწავლებლების პროფესიული გადამზადების პროგრამები, რადგან სასაწავლო პროგრამები და მოთხოვნები გართულებულია, საჭიროა გენდერული განათლების ხელშეწყობაც. თუმცა ყველაზე მტკივნეული - დაბალი ანაზღაურების საკითხია. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში იგრძნობა წინსვლა, მომავალი წლისთვის კარგი იქნება, გაითვალისწინონ ამ სფეროში მომუშავეთა ხელფასების ზრდა.“

გამოიკვეთა ექვსწლიანი ბავშვები პრობლემა, რომლებიც სკოლაში არ მიიღეს და ბაღი უკან არ აბრუნებს. „კარგი იქნება 6 წელს გადაცილებული ბავშვებისთვის ჯგუფების გახსნა, რადგან ხშირად 1 თვის გამო ბავშვი ვერ მიდის სკოლაში და უკან ვერ ვაბრუნებთ“. მასწავლებლებიც და მშობლებიც თანხმდებიან, რომ ყველაზე მეტი დახმარება ადგილობრივი ხელისუფლებისგან უნდა ხმარდებოდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. ეს არის ქალებისათვის გაწეული დახმარება.

ითქვა, რომ ყველაზე გამოკვეთილი საჭიროება დასაქმების კუთხით არსებობს, რომლის თანმდევი საკითხი მიგრაციაა, განსაკუთრებით ქალებისთვის. „მნიშვნელოვანია უმუშევრობის დაძლევა, სამუშაო ადგილების შექმნა. გრძელვადიან პერსპექტივაში თითოეულ სოფელში უნდა შეიქმნას საწარმო, რათა შეჩერდეს მოსახლეობის გადინება”.

ითქვა, რომ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელისშემშლელია მწირი ფინანსები და სესხები, რომლითაც მოსახლეობის 80% არის დაკაბალებული. „მნიშვნელოვანია გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხების გაცემა. ადგილობრივმა თვითმმართველობამ კი უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული ჯგუფებისთვის საკონსულტაციო ცენტრები, ტექნოლოგიურ საკითხებში სპეციალისტებით დახმარება“.

„როგორც აქ დამსწრე საზოგადოებას, ასევე მეც ჩემი პატარა ბიზნეს გეგმის შესასრულებლად მჭირდება ფინანსური დახმარება. რა თქმა უნდა, ამ თანხას თვითმმართველობა ვერ მომცემს, მაგრამ, იმედია, ხელს შეგვიწყობს.“

„მჭირდება პროექტის დაფინანსება, რომელშიც 25 მოსწავლე მუშაობს და ხელით ვქმნით ულამაზეს ნივთებს. ამ მოსწავლეებს შორის 18 სსსმ მოსწავლეა.“

კვლევის მონაწილეები თვლიან: იმისთვის, რომა სოფელი გახდეს უფრო ძლიერი, მას სჭირდება სათანადო ინფრასტრუქტურა, რათა სოფელი არ დაიცალოს. სოფლის მცხოვრებამ უნდა იგრძნოს სახელმწიფოს ზრუნვა. „საჭიროა მოსახლეობის გაზიფიცირება. ძველი სენაკის თემში კარგი იქნება, თუ გაზს შემოიყვანენ”

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას გრძელვადიან პერსპექტივაზე საუბრისას მოწონებით აღინიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში შენდება თანამედროვე სტანდარტების ცემენტის ქარხანა, რაც განაპირობებს ათასამდე ადგილობრივი მოქალაქის დასაქმებას, ასევე იგეგმება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ნოქალაქევის რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი შემოსავლების ზრდას და სენაკის ჩამოყალიბებას დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქად.

უნდა იქნეს მოზიდული ინვესტიციები სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ამ მიმართულებით სენაკში უკვე გადაიდგა

მცირე ნაბიჯები, მუშაობს დაფნისა და თხილის რამდენიმე საამქრო, სადაც თითქმის ქალები არიან დასაქმებულნი. მოქალაქეები ისურვებდნენ, რომ ამ კუთხით გაიზარდოს თვითმმართველობის ძალისხმევა.

კვლევის მონაწილეებისათვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მხარდაჭერის ღონისძიებები. არსებობს ადგილობრივ ბიუჯეტში ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამის გათვალისწინების აუცილებლობა, რათა მოხდეს ახალი კადრების მოზიდვა. „ძალიან კარგი იქნება, თუ ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება თანხა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების ფინანსური წახალისების მიზნით, რათა მათ უმაღლეს სასწავლებლებში გაუადვილდეთ სწავლა“.

გრძელვადიანი პერსპექტივა, კვლევის მონაწილეთა აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტით ძნელი მისაღწევია. გათვალისწინებული ღონისძიებებით მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას ხელს ვერ შეუწყობ, ეს მოკლევადიან პერსპექტივად ითვლება, რადგან მათ დახმარება ეძლევათ არსებული საჭიროების გათვალისწინებით და გარკვეული დროის მონაკვეთში პრობლემის შესაჩერებლად. სანამ ქვეყანაში იქნება სოციალურად დაუცველი ფენა და ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ადგილობრივი ბიუჯეტის და ზოგადად ქვეყნის ბიუჯეტის გარკვეული ნაწილების გათვალისწინებით მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაზე შეიძლება საუბარი.

ქალების დასაქმების საკითხში, მონაწილეთა აზრით, მთავარია გარკვეული გადამზადების კურსები ჩამოყალიბდეს და შემდგომ შეძლებისდაგვარად მოხდეს ქალების დასაქმება. აქ უფრო მეტად კერძო სექტორი უნდა გავითვალისწინოთ, ეს ალბათ ყველაზე მეტად სოფლის მეურნეობის სფეროში არის შესაძლებელი.

ექსპერტები თვლიან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის

საწარმოების შექმნა, სოფლის მეურნეობის პროგრამების შემუშავება და ინვესტიციების მოზიდვა განაპირობებს სამუშაო ადგილებს და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სენაკის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ სენაკი გახდეს ტურისტული ცენტრი. ასევე აღდგეს, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი. არის ამ მიმართულებით ინვესტორების დაინტერესება, ხოლო თვითმმართველობის მხრიდან აქტიური ჩართვით შესაძლებელი გახდება ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საინტერესო იყო წარმოდგენილი ხედვები ადგილზე გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობის მიმართულებით, რომელსაც კვლევის მონაწილეები სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს დამსახურებად თვლიან. ექსპერტების აზრით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს გენდერული ბიუჯეტირების, ზოგადად გენდერული განათლების კუთხით მუშაობა, რათა მოხდეს ყველა მოწყვლადი ჯგუფის ჩართვა და მათთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. „გენდერული ბიუჯეტი ადგილზე გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის დამკვიდრების ერთ-ერთ მომენტად შეიძლება დასახელდეს, წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფულადი დახმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის“.

ძალიან მნიშვნელოვან საკითხად იქნა მიჩნეული ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკა - აქ ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობით განხორციელებულ პროექტებს აღნიშნავენ. „უნდა აღინიშნოს, რომ თემებში ნაკლები ინფორმაციაა ამ მიმართულებით. არის რაღაც წინგადადგმული ნაბიჯები, თუმცა არასაკმარისია. კარგი იქნება მეტი აქტიურობა, მეტი თანამშრომლობა ხელისუფლებას, საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, მეტი ინფორმირებულობა, რომ ეფექტურად განხორციელდეს ოჯახში ძალადობის პრევენცია“.

რეკომენდაციები

- მუნიციპალიტეტების განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება
- იშემიით დაავადებულ პაციენტებზე მედიკამენტების თანადაფინანსება სოციალური სტატუსის მიუხედავად
- შშმ პირთა შინ მოვლის პროგრამის ამოქმედება, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგური მხარდაჭერისათვის. შშმ პირთა დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრირების პროგრამების მხარდაჭერა
- არსებობს ადგილობრივ ბიუჯეტში ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამის გათვალისწინების აუცილებლობა, რათა მოხდეს ახალი კადრების მოზიდვა
- სენაკი გახდეს ტურისტული ცენტრი. ასევე აღდგეს, როგორც ბალნეოლოგიური კურორტი. არის ამ მიმართულებით ინვესტორების დაინტერესება
- საბავშვო ბაღის პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალისათვის ხელფასების მომატების საკითხის განხილვა
- საბიუჯეტო პროგრამების მომზადებისას მოქალაქეთა ჯგუფების, დარგის სპეციალისტების მაქსიმალური ჩართვა
- მაღალი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდების წახალისება ადგილობრივი პროგრამებით. ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამების ამოქმედება
- სოფლის კრებების პრაქტიკის გაუმჯობესება და მის მუშაობაში ქალთა ჯგუფების აქტიური ჩართვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

ანალიზი განხორციელდა ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით

2016 წელი

I. რეზიუმე

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის კვლევა/ანალიზი გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით.

ქუთაისის მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ასპექტების ანალიზის ამოცანაა განისაზღვროს და წინა პლანზე წამოიწიოს არსებული სოციალური პრობლემები და ის, თუ რამდენად არის დაცული სოციალური სამართლიანობა და გენდერული თანასწორობა ადგილობრივ დონეზე, რამდენად არის უზრუნველყოფილი არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ჯგუფისათვის. სასურველია მათ შორის სქესის ნიშნით.

რამდენად პასუხობს ბიუჯეტი ქალების და კაცების განსხვავებულ საჭიროებებს. ეს კი, თავის მხრივ, არის მუნიციპალიტეტის მართვის გაუმჯობესების პირობა.

ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ნიშნავს ქალებზე და მამაკაცებზე ბიუჯეტის განსხვავებული ზემოქმედების კვლევას.

ანალიზისთვის გენდერული კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით განხორციელდა ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვადასხვა პროგრამების მონიტორინგი, ჩატარდა ფო-

კუს-ჯგუფი დარგის ექსპერტების, სამოქალაქო ინსტიტუტების მონაწილეობით.

ვინაიდან ქუთაისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტი ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდოლოგიით დგინდება და ის ვერ იძლევა საშუალებას, მკაფიოდ დაინახო და გაანალიზო მისი გენდერული ასპექტები, გადაწყდა, რომ ბიუჯეტის გენდერულობის შესწავლა და შეფასება მოხდეს ფოკუს-ჯგუფ-დისკუსიისა და ამ ფორმით ჩატარებული კვლევის მეშვეობით. ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა 2016 წლის 23 ივნისს. მასში 12 კომპეტენტური ადამიანი იღებდა მონაწილეობას.

წინამდებარე ანგარიშში, ფოკუს-ჯგუფის და სხვადასხვა პროგრამების მასალებზე დაყრდნობით, დეტალურადაა აღწერილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პროგრამების (მუხლების) გენდერული ანალიზისას გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები.

გენდერულმა ანალიზმა მოიცვა:

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსავლები და გაწეული ხარჯები. აღინიშნა, რომ 2016 წლის ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსავლები მოსახლეობის 1 სულზე შეადგენს 460 ლარს. ის ჩამორჩება თბილისის (715,3 ლარი) და ბათუმის (635,3 ლარი) ანალოგიურ მაჩვენებელს.

განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯები. ეს ხარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია და მათი წილი ადგილობრივ ბიუჯეტში ასეთია: განათლება - 15,4%; ჯანდაცვა - 1,4%, სოციალური დაცვა - 5,9%.

აღინიშნა, რომ გენდერულად ძლიერ ორიენტირებულია უმწეო ადამიანების კვების პროგრამა, რომელსაც „მადლიერების სახლი“ ახორციელებს. ამასთან, აქ ადგილი აქვს თანხების უკმარისობას, არ არის სრულყოფილი სტატისტიკა. იგივე შეეხება ჩვილ ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის შესახებ, რომელიც ევროპის მაჩვენებლებთან შედარებით 2-ჯერ უარესია.

სკოლამდელი და ზოგადი განათლების გენდერული ასპექ-

ტები. ამის შესახებ ითქვა, რომ განათლება და სკოლების განვითარება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჯერ კიდევ პრობლემად რჩება პედაგოგების „დაბერება“. ჭირს ახალგაზრდა პედაგოგებისა და მათ შორის მამაკაცების მოზიდვა (მათი წილი მხოლოდ 35%).

სპორტული ღონისძიებების დანახარჯები. ბიუჯეტი ორიენტირებულია სპორტის განვითარებაზე, მაგრამ გოგონების ჩართულობა 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ბიჭების.

კულტურის სფერო. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს კულტურისა და ხელოვნების სფეროში ნიჭიერი, შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას. გოგონებისა და ბიჭების ჩართულობაც შედარებით თანაბარია.

ინფრასტრუქტურა. ექსპერტების აზრით, გაწეული ხარჯები გენდერულად მგრძნობიარეა, მაგრამ ხაზი გაესვა სტანდარტების დარღვევის მრავალი ფაქტის არსებობას.

ეკონომიკური საქმიანობა. ბიუჯეტი ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ხარჯებს, თუმცა ეს ხარჯები 2016 წელს საგრძნობლად შემცირებულია.

უმუშევრობის მაჩვენებელი. უმუშევრობის დონე ქუთაისში მაღალია. ექსპერტების აზრით, გენდერული დისბალანსიც არის, თუმცა სრულყოფილი სტატისტიკა მუნიციპალიტეტში არ მოიპოვება.

ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გენდერული ასპექტები. სამუშაოს მაძიებელი უმაღლესი განათლების მქონე ქალი მეტია, ვიდრე ანალოგიური განათლების მქონე მამაკაცი. თუმცა, დიდი განსხვავება არ შეინიშნება. ზუსტი მონაცემები არ არის.

მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკის და გენდერული თანასწორობის საკითხები. მდგომარეობა საკრებულოში მეტნაკლებად ნორმალურია, ხოლო მერიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე კაცებსა და ქალებს შორის დისბალანსი დიდია. ამასთან, ხელფასებში დიდი განსხვავება არ არის.

გენდერული პოლიტიკის ამსახველი ინფორმაციის გამჭვირვალობა და კომუნიკაცია. საკრებულოს/მერიის ვებგვერდზე საკმარისი ინფორმაციაა მიმდინარე საქმიანობისა და გეგმების შესახებ, თუმცა დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაცია ნაკლებია;

ანგარიშგების სისტემა. მუნიციპალიტეტის პროგრამების შესრულების შესახებ ანგარიშებს სისტემატიურად აქვეყნებს შესაბამისი სამსახური. ამასთან, ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ უმჯობესია პროგრამები ეფუძნებოდეს პროფესიონალურ კვლევებს. შესრულებაში დაიგეგმოს საზოგადოების მონიტორინგი და შეფასებები. გენდერული საბჭო ამ თვალსაზრისით ბევრ პრობლემას აგვარებს.

დევნილთა მიმართ პოლიტიკა, როგორც მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის ნაწილი. დევნილებს თანაბარი წვდომა აქვთ მუნიციპალიტეტის ნებისმიერ პროგრამასთან და ცალკე დევნილების საჭიროებებზე მორგებული პროგრამა არ არის. სუსტია კოორდინაცია დევნილთა და განსახლების როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ სტრუქტურებთან.

გენდერული პარამეტრების დასანერგად ადგილობრივი რესურსების გაზრდის პოლიტიკა.

გენდერული პოლიტიკის დანერგვის კუთხით 2016 წლის ბიუჯეტი გათვლილია, როგორც ქალების, ისე კაცების თანაბარ საჭიროებებზე. ბიუჯეტში არ არის ნაჩვენები გენდერული საკითხების პრაქტიკაში დანერგვის შესახებ. მუნიციპალიტეტის შენობაში არსებობს დარბაზი სახელწოდებით „გენდერული საკონსულტაციო საბჭო“. დამატებით სახსრების (გრანტების) მოძიება გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად არც ისე აქტიურად მიმდინარეობს.

შემდეგ თავებში უფრო ვრცლად და კონკრეტულადაა აღწერილი ჩამოთვლილი საკითხები. ანგარიშის ბოლოს დართულია შესაბამისი სარეკომენდაციო წინადადებები.

II. ძირითადი ნაწილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები:

თბილისის შემდეგ, ქუთაისის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდია საქართველოში. 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგებით, ქუთაისში 197 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ეს არის იმერეთის რეგიონის 28%.

2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა პროგნოზით 73,555,6. ათასი ლარი უნდა შეადგინოს, რაც მისი მოსახლეობის ერთ სულზე 460 ლარია (შედარებისათვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსულობები მისი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 715,3 ლარს, ქ. ბათუმის - 635,3 ლარს).

უნდა დადგინდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ზოგადი გენდერული პროფილი, პირველ რიგში უნდა მოხდეს საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი შედარება ე.წ. „გენდერულ ხარჯებთან“. ამ კუთხით ასეთი მდგომარეობაა:

ადგილობრივ ბიუჯეტში განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯების თანაფარდობა: განათლება - 15,4 %; ჯანდაცვა - 1,4%; სოციალური დაცვა - 5,9.

უნდა ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ხარჯები განათლების, სოციალური დაცვის მიმართულებით.

უმწეო ადამიანების სასიცოცხლო საჭიროებებზე და გენდერულად ძლიერ ორიენტირებულია საზოგადოებრივი კვების პროგრამა, რომელიც 500-ზე მეტ ოჯახს მოიცავს (სულ 800 ადამიანი). ამ პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ: სოციალურად დაუცველები, სხვადასხვა ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, უსახლკაროები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირები.

აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანების, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა, საზოგადოებრივი კვების ადგილებში მიიღონ ულუფა, მომსახურება ხორციელდება საკვების ადგილზე მიტა-

ნით. ბენეფიციარებს ემსახურება ააიპ „მადლიერების სახლი“ (მთლიანობაში, 2015 წლის მონაცემებით, მუნიციპალური სოციალური პროგრამების ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 39 140 ბენეფიციარმა).

მიუხედავად ამისა, ექსპერტები (ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგებით) არასაკმარისად მიიჩნევენ ამ მიმართულებით გამოყოფილ რესურსებს. ირკვევა, რომ არ არსებობს აღნიშნული სერვისის საჭიროების მქონე ბენეფიციარების სრულყოფილი სტატისტიკა. ისინი საუბრობენ გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების დანერგვის, ასევე ამ სფეროში მოხალისეობის ინსტიტუტის აუცილებლობაზე.

2016 წლის ბიუჯეტში სოციალური დახმარების ხარჯები მუნიციპალური დანახარჯების 5.1%-ს პროცენტს შეადგენს (3742,0 ათასი ლარი). 2015 წელს იგი იყო - 3,4% (2226,3 ათასი ლარი).

ჯანდაცვის სფეროში ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები 2016 წელს შეადგენს 1023, 0 ათას ლარს (მთლიანი ბიუჯეტის 1,4%). 2015 წელს მოცემული სფეროს დაფინანსება იყო 856, 3 ათასი ლარი. შესაბამისად, წინა წელთან შედარებით ეს ხარჯი გაიზარდა.

მიუხედავად არსებული ხარჯების გამოკვეთილი გენდერული ხასიათისა, რასაც ხშირად აღნიშნავენ თვითმმართველობის მესვეურნი, მუნიციპალიტეტში არ ხდება ანალიზი იმისა, თუ რამდენი ქალი და მამაკაცი ღებულობს მომსახურებას გამოყოფილი თანხების ფარგლებში, რამდენია მათი ხვედრითი წილი ადგილობრივ მოსახლეობაში და რამდენ ადამიანს სურდა მიეღო ასეთი მომსახურება. ითვლება, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროგრამული დახმარებით საჭიროებების და მომართვების მიხედვით სარგებლობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები პირი - განურჩევლად სქესისა. ანუ, პროგრამა მოიაზრება გენდერულად ნეიტრალურად, რაც ხშირ

შემთხვევაში არ არის სამართლიანი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ კუთხით ქალები ბევრად სოციალურად აქტიურები არიან, ვიდრე კაცები, შესაბამისად, ამიტომ მათ უფრო მიეწოდებათ აღნიშნული სერვისები.

ასევე, არ არის ცნობილი, რამდენია ბენეფიციართა ის ნაწილი, რომელიც ერთჯერადი სოციალური დახმარების მიღმა რჩება. საამისო კვლევა არ ჩატარებულა.

იმერეთის რეგიონის თორმეტივე მუნიციპალიტეტში აღრიცხული უსახლკაროდ დარჩენილი 1574 ოჯახის უმეტესობა - 927 ოჯახი, რეგისტრირებულია ქ. ქუთაისში. მოქალაქეები დაზარალებულნი არიან სხვადასხვა მიზეზით: სტიქიური უბედურებები (მეწყერი, ქარი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, ხანძარი), საცხოვრებელი შენობა–ნაგებობის სიძველე, ოჯახური კონფლიქტები, იპოთეკით დაზარალებულები, ოჯახები, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ საცხოვრებელი ფართი და ა.შ. სამწუხაროდ, რეგიონში არ არსებობს სოციალური თავშესაფრები. ეს გენდერულად მგრძნობიარე საკითხია და რეგიონის დონეზეა გადასაწყვეტი.

მოქმედი კანონმდებლობა აძლევს საშუალებას ქუთაისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, ისარგებლონ ჯანდაცვის პროგრამული დახმარებით, განურჩევლად სქესისა. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ცალკე სეგრეგირებული მონაცემები - ჰქონდა თუ არა ქალს და მამაკაცს თანაბარი ხელმისაწვდომობა მომსახურებისადმი. ანუ - რამდენმა ქალმა ისარგებლა აღნიშნული სერვისით და რამდენმა კაცმა. ამიტომ ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება გაკეთდეს ზუსტი დასკვნა, რამდენად თანაბრად მიუწვდებოდათ ხელი ქალებსა და მამაკაცებს აღნიშნულ სერვისზე.

ზოგადი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტში ასახული პროგრამები ნამდვილად ორიენტირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პრობლემების გაუმჯობესებისკენ. მაგალითად: „სოციალურად დაუცველი ოჯა-

ხების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა“ მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსებას. „სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა“, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ საცხოვრებელ პირობებს. ამ ნაწილში მოსახლეობის განაცხადების 60% დაკმაყოფილდა.

მთლიანობაში, ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ სრულყოფილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზი, რადგანაც მკაფიოდ ვერ ვლინდება და არ ჩანს ყველა სოციალური ფენის კეთილდღეობის ზრდა. ასეთი პრაქტიკის შემოღება კი შესაძლებლობას მისცემდა მომხდარიყო თითოეული პროგრამის ეფექტის დათვლა, სამომავლოდ დანერგილიყო მოსახლეობის სასიცოცხლო საჭიროებებზე მორგებული პროგრამები.

განათლების საბიუჯეტო ხარჯების გენდერული პროფილი

მუნიციპალიტეტების მომსახურების ერთ-ერთი ძირითადი სფეროა სკოლამდელი განათლება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 37 ბაღია და მათზე გაწეული დანახარჯების ოდენობა 2016 წელს განსაზღვრულია 9 740 000 ლარით. ის წინა წელთან შედარებით 500 000 ლარით მეტია. ერთ ბაღზე საშუალოდ ყოველთვიურად საერთო თანხიდან სხვადასხვა ოდენობის თანხა მიდის. ხარჯი სტანდარტულად გათვლილი არ არის. სკოლამდელი განათლების სერვისში მოსწავლეთა საერთო რადენობაა 10 000 ბავშვი. ბაგა-ბაღებში მასწავლებელთა რაოდენობაა 614.

მუნიციპალიტეტიდან მოპოვებული ინფორმაციით, ფილიალების თანამშრომლებისთვის გაერთიანება ყოველწლიურად გეგმავს და ახორციელებს პროფესიული ტრენინგების ორგანიზებას. ბაღების ყველა აღმზრდელს, ფსიქოლოგს, ლოგოპედს

და ექთანს გააჩნია შესაბამისი სერტიფიკატი. აღმზრდელების მთელს შემადგენლობას აქვს უმაღლესი განათლება.

მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში შეისწავლება ინკლუზიური, შეზღუდული შესაძლებლობების და სხვა საჭიროების მქონე აღსაზრდელების რაოდენობა. გაერთიანების მონაცემებით, ფილიალებში 50-მდე შშმ/ინკლუზიური აღსაზრდელია. შშმ აღსაზრდელები საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით ჩართულები არიან საერთო პროგრამებში. არ არის საკმარისი მათთვის ინკლუზიური ან ინოვაციური სასწავლო პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ წინასასკოლო განათლების სისტემაში კვების, ჯანდაცვის და სხვა პროგრამებზე ხარჯები გაზრდილია 500 000 ლარით. დანახარჯებმა 1 ბავშვზე 2016 წელს 2.6 ლარი შეადგინა, რაც 2015 წელთან შედარებით მცირედით არის გაზრდილი.

გაერთიანების სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ინოვაციურია - განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ახალ პროგრამაზე დამატებულია ქართული, ტრადიციული, ეროვნული ღირებულებებით დატვირთული თემები. რაც შეხება გენდერულ განათლებას, გასულ წელს ამ მიმართულებით ქუთაისის გენდერული საბჭოს თაოსნობით მოხდა საბავშვო ბაღების პერსონალის დატრენინგება გენდერული განათლების კუთხით.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში არის 39 საჯარო სკოლა, 13 კერძო სკოლა და სსიპ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (სულ - 53).

პედაგოგების რაოდენობაა 2438 (მათ შორის: საჯარო სკოლებში დასაქმებულია: 1875 პედაგოგი, კერძო სკოლებში - 520 და სსიპ გიორგი კვინიტაძის სახელობის სამხედრო კადეტთა ლიცეუმში - 43 პედაგოგი). პედაგოგიური პერსონალის გენდერული სურათი ასეთია: მათი 65% არის ქალი; 35% - მამაკაცი (ძირითადად - სამხედრო ლიცეუმის ხარჯზე). არ შეიძლება

ითქვას, რომ ხდება განსაკუთრებული ზომების მიღება მამაკაცი მასწავლებლების მოზიდვისათვის, ახალგაზრდა პედაგოგიური კადრების აღზრდისათვის, თუმცა სხვადასხვა პროგრამები ხელს უწყობს ახალგაზრდა, ენერგიული კადრების ჩართვას.

სკოლების განვითარებისა და სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებული თანამშრომლობის მიზნით, ქუთაისის მუნიციპალიტეტში ხორციელდება რიგი პროგრამები. აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლების, ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობის, მოსწავლეებში ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციის მიზნით მრავალფეროვანი აქტივობებია დაგეგმილი. საინტერესოა ქალაქის მერის სტიპენდია წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; საჯარო სკოლების თეატრალური ფესტივალი, სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების გამოვლენა დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით; მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა; საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების მე-8, მე-9 და მე-10 კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის სამ ნაკადად შავი ზღვისპირეთის კურორტზე; ქალაქ ქუთაისის საჯარო სკოლების ისტორიის ბლოგის შექმნა, გამარჯვებული სკოლების დაჯილდოვება და წიგნის „ჩემი სკოლის მატიანე“ დაბეჭდვა, ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგთა დაჯილდოვება სამკერდე ნიშნით; მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგთა დაჯილდოვება; ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა და მათი პედაგოგების დაჯილდოვება; საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების დაფინანსება.

ანუ - შეიძლება თამამად ითქვას, რომ სკოლების განვითარება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. სასურველია ყოველწლიურად ხდებოდეს ამ პროგრამების გადახალისება ახალგაზრდების ინტერესების შესაბამისად. ამ კუთხით ადგილობრივი მმართველობის გააქტიურება იქნება აღმნიშვნელი იმისა, რომ მას აქვს აღებული ზოგადი განათლების მხარდაჭერის ინსტიტუციური პასუხისმგებლობა.

არის კიდევ ერთი მწვავე პრობლემა: პედაგოგების ერთფეროვანი გენდერული (მამაკაცების სიმცირე სკოლებში) და ასაკობრივი პროფილი. მისი შედეგები მწვავე ხასიათს მიიღებს მომავალში, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მასწავლებელთა 44 პროცენტი არის 50-ზე მეტი და საპენსიო ასაკს მიღწეული. შესაბამისად ზრუნვა ახალგაზრდა პედაგოგიურ კადრებზე, მამაკაცების მოზიდვაზე სკოლაში - მუნიციპალიტეტის ინტერესებში უნდა შედიოდეს.

სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დანახარჯების გენდერული ბუნება

ქუთაისი დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქია და თვალსაჩინოა ამ სფეროში გაწეული დანახარჯები, მაგრამ ანალიზისათვის უფრო საინტერესოა მათი გენდერული შეფასება:

ქუთაისში ფუნქციონირებს სპორტის 38 სახეობის განვითარებაზე ორიენტირებული 12 სპორტული სკოლა, სადაც 4081 ბავშვია დარეგისტრირებული. მათ შორის: ბიჭი- 3416, გოგონა- 665 (5-ჯერ ნაკლები). სახეზეა აშკარა გენდერული დისბალანსი.

მიმდინარე წლის 5 თვის ანგარიშის საფუძველზე - ამ სფეროში მივლინებებისათვის გამოყოფილია - 403 866 ლარი. მათ შორის: მამაკაცებზე - 343 791 ლარი, ქალებზე- 60 115 ლარი, რაც თითქმის ექვსჯერ ნაკლებია მამაკაცების მიერ დახარჯულ თანხებზე. არსებული მონაცემები კი კითხვის ქვეშ აყენებს თვითმმართველობის მიერ აღებულ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ქალებში სპორტის

სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, გოგონების მეტ ჩართულობას.

კულტურის სფეროში არსებული პროგრამები უზრუნველყოფენ კულტურისა და ხელოვნების სფეროში ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას, კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი წარმომადგენლების პოპულარიზაციას, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას.

ჩატარებულ აქტივობებსა და ღონისძიებებში შედარებით თანაბრად ჩართულები არიან, როგორც ვაჟები, ისე გოგონები (მიმდინარე წელს განხორციელდა საინტერესო ღონისძიებები, მათ შორის რამდენიმე მასშტაბური ხასიათის: მაგ: 2 მაისობის დღესასწაული, რომლის ორგანიზებისთვის დაიხარჯა 25 783, 80 ლარი). ამასთან, სასურველი იქნებოდა პროგრამები და აქტივობები სხვადასხვა გენდერული ჯგუფის მეტი მხარდაჭერისათვის. მასობრივ ღონისძიებებზე კარგი იქნებოდა, ასევე, ფორუმ-თეატრების მეშვეობით, ქალაქში არსებული გენდერული პრობლემების ჩვენება ფართო საზოგადოებისათვის.

ინფრასტრუქტურასა და ეკონომიკაზე გაწეული ხარჯების გენდერული ანალიზი

ინფრასტრუქტურა ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ ორიენტირს წარმოადგენს.

ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის პრიორიტეტებშია ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით განისაზღვრა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელთაგან ზოგიერთს აქვს გამოკვეთილი გენდერული ხასიათი.

თანხების განაწილება: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამა. ბიუჯეტი - 14302, 7 ლარი; გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობა - 12 127 ათასი ლარი; ცენტრალური გზებიდან მრავალბინიან

საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი გზების კეთილმოწყობა - 997,6 ათასი ლარი; საკანალაზაციო სისტემის, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია - 537,2 ათასი ლარი; სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის - 640,0 ათასი ლარი; პროგრამა „კორპუსი“, რომელიც ძირითადში მოიცავს მრავალბინიანი სახლების დაზიანებული სახურავების, სადარბაზოების, დაზიანებული წყალ-კანალიზაციის ქსელის, პარაპეტების მოწესრიგებას. საბავშვო ატრაქციონების და ძელსკამების მოწყობას 3 279,0 ათასი ლარი; პანდუსების მოწყობა 100,0 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების, ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა - 305,0 ათასი ლარი და სხვა.

აშკარაა, რომ გაწეული ხარჯების დიდი ნაწილი გენდერულად მგრძნობიარეა და ეს მისასალმებელია. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები, საზოგადოების ნაწილი მიუთითებენ სტანდარტების დარღვევის საგანგაშო მასშტაბებზე, რაც მოითხოვს დანახარჯების ეფექტურობის ამაღლებაზე მეტი ყურადღების გამახვილებას. გენდერულად მგრძნობიარეა სანიტარულ-ჰიგიენური პრობლემების მოგვარებისთვის გაწეული ხარჯები. ყურადღება ექცევა ნარჩენების მართვას და მის დახარისხებას. ქალაქის სხვადასხვა უბნებში დგას სპეციალური კონტეინერები პლასტმასის ბოთლების შესაგროვებლად, ეს აღსანიშნავი სიახლეა. მნიშვნელოვანია მაწანწალა ცხოველებისგან დაცვის ღონისძიებები, რაც ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები განსაზღვრულია 2016 წლის გეგმით და შეადგენს 250,0 ათასი ლარს. ეს არის ბიუჯეტის 0,3%. შედარებისთვის - 2015 წელს ფაქტობრივად 1 672,0 ათასი ლარი დაიხარჯა, ანუ - ბიუჯეტის 2,6%, ანუ - 6.6-ჯერ შემცირებულია.

სტატისტიკური ინფორმაცია დასაქმების დინამიკის შესა-

ხებ მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არასრულია. არასაკმარისია ოფიციალური ინფორმაცია შრომით ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ მონაცემები ისეთ კატეგორიაზე, როგორიცაა: თვითდასაქმებულები, ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირები, რომელთა მიერ ოჯახური შემოსავლი და მოგება (ფულით ან ნატურით) იქმნება ქუთაისის რეალობაში, ასეთია მაგალითად: ავეჯის წარმოება, პურ-ფუნთუშეულის და საკონდიტრო პროდუქციის წარმოება და ა. შ. თვითდასაქმებულებს უნდა მივაკუთვნოთ ის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში ყიდიან სიგარეტს, ასანთს, ყვავილებს, მოსიარულე ვაჭრები, ასევე ხალხური მედიცინით დაკავებულთა უმეტესობა და ა.შ.

მუნიციპალიტეტში არის მცდელობა, მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკაზე შემცირებული დანახარჯების პირობებში ეს ძნელი მისაღწევია. სპეციალისტების აზრით, საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს კვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადება, ამაღლდეს მისი ეფექტურობა, კიდევ უფრო გამარტივდეს თვითმმართველობის კომპეტენციაში შემავალი ფორმალური პროცედურები, შემცირდეს ადგილობრივი მოსაკრებლები, ეს ეხება, ძირითადად, სათამაშო ბიზნესს, მშენებლობის ნებართვებს და ა.შ. აუცილებელია ეკონომიკაზე ზეგავლენის ღრმა ანალიზი და მისი განვითარების ხელშეწყობა, რეგულაციების გადახედვა/კორექტირება.

ხშირადაა საუბარია იმაზე, რომ უნდა მოხდეს დარგის ექსპერტების მეტი ჩართვა, წარმოებული პროდუქციის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, ხოლო ხელისუფლებამ დაგეგმოს და განახორციელოს შესაბამისი პროექტები დამწყები ბიზნესმენების დახმარებისათვის. აქტუალურია ექსპორტის ხელშეწყობა, იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი ნაწარმით, ტურიზმის მაქსიმალური მხარდაჭერა, ამისათვის

ქალაქის ღირსშესანიშნაობების მეტი პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ექსპერტების აზრით, უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს პროექტები ადგილობრივი პროდუქციის მეტი პოპულარიზაციისათვის, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე, ხელი შეეწყოს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებზე მცირე მეწარმეთა ფართო წრეების მონაწილეობას.

უმუშევრობის მაჩვენებელი რეგიონში

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, რეგიონის მოსახლეობის 30% ითვლება თვითდასაქმებულად.

გენდერულ ჭრილში მნიშვნელოვანია კონკრეტულად იმის განსაზღვრა, თუ რამდენი ქალია დასაქმებული სამეწარმეო სფეროში (ბიზნესში). ეს არის თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ინდიკატორი და ავლენს იმ ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობას, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ამ მიზნით არის ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის ცალკეული მცდელობები. ანუ - არსებობს გარკვეული სტატისტიკა, თუ რამდენი ქალია დასაქმებული სამეწარმეო სფეროში (ბიზნესში).

ქალაქ ქუთაისის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის მიერ 2015-2016 წელს ჩატარებული სამეწარმეო აქტივობების კვლევის მიხედვით: პროდუქციის წარმოებაში (ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, ავეჯის, პურ-პროდუქტების, პურ ფუნთუშეულის, საკონდიტრო, ხორც პროდუქტების, პლასტმასის და მუყაოს ქაღალდის ნაკეთობათა წარმოება, მშენებლობა და ა.შ.) ჩართულია: ქალი - 35%, კაცი - 65%.

მომსახურების სფეროში: (სასტუმრო, საზოგადოებრივი კვე-

ბა, ავტოტექმომსახურება, სწრაფი სესხი, ვალუტის გაცვლა, სილამაზის სალონი, სალომბარდე მომსახურება, ინდკერვა, სხვადასხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქმინობები) ქალი - 55%, კაცი - 45%.

ვაჭრობის სფეროში: ქალი - 63%, კაცი - 37%

გენდერული ანალიზისთვის საინტერესოა, ხდება თუ არა ადგილობრივი შრომის ბაზრის გარდა, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კვლევა:

ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2015 წელს წარმოების სფეროში: მოგების წილი იყო - 75%, ზარალი -25%;

ვაჭრობის სფეროში, მოგების წილი - 80%,ზარალი - 20%. მომსახურების სფეროში: მოგების წილი - 86%, ზარალი - 14 %.

გენდერული პერსპექტივების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, თუ რა ინფორმაცია არსებობს მოთხოვნად პროფესიებზე. გარკვევა, რომ ბიზნეს-სექტორში მოთხოვნადი კვალიფიციური პროფესიებია: ადმინისტრატორი/მენეჯერი, შეფმზარეული, მიმტანები რესტორნებში, სასტუმროს მომსახურე პერსონალი, გიდი, დურგალი, ელექტრიკოს-ენერგეტიკოსი, მეტალურგი, ქვის ხელოსანი, შემდუღებელი, ხარატი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროფესიებზე მოთხოვნას ადგილობრივი შრომის ბაზარი სრულად ვერ აკმაყოფილებს.

ადგილობრივი შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები

არსებობს პირობითი სტატისტიკა იმის თაობაზე - რამდენი ქალი/კაცი არის დღეს სამუშაოს მაძიებელი. ტოტალური უმუშევრობის პირობებში სამუშაოს მაძიებელი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ყველაზე მაღალი წილი მაინც 25-34 წლის ახალგაზრდებს უჭირავს. ამ ჯგუფიდან 28.4% ქალია და 32.2% კაცი.

დასაქმებული მოსახლეობის დიდი წილი საშუალო ზოგადი განათლების მქონე ადამიანებზე მოდის. 2015 წელს დასაქ-

მებულ ქალთა 37%-ს, ხოლო კაცთა 43%-ს საშუალო ზოგადი განათლება ჰქონდა.

უმუშევარი ქალების რიცხოვნობაში ყველაზე დიდი წილი უმაღლესი განათლების მქონე ქალებზე მოდის, ხოლო კაცებში - საშუალო ზოგადი განათლების მქონეზე. 2015 წელს უმაღლესი განათლებით იყო სამუშაოს მაძიებელ უმუშევარ ქალთა 46%, ხოლო კაცების 46%-ს ჰქონდა საშუალო განათლება.

ოფიციალური სტატისტიკით, 2015 წელს, მუნიციპალიტეტში ქალების საშუალო თვიურმა ხელფასმა შეადგინა 618 ლარი, ხოლო კაცებისამ - 980 ლარი, რაც, სავარაუდოდ, არ ასახავს რეალურ სურათს.

2015-16 წლების მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულ კაცთა შრომის საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 940 ლარი შეადგინა, რაც 351 ლარით აღემატება დასაქმებულ ქალთა შრომის საშუალო თვიურ ანაზღაურებას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ძნელია, იხილო შრომის ბაზრის სრული გენდერულად სეგრეგირებული სურათი. დასაქმების მაძიებელთა და დასაქმებულთა ხვედრითი წილი გენდერული პარამეტრებითა და სოციალური კუთვნილებით - უცნობია.

2015 წლის მონაცემებით, დასაქმებულ ქალთა მთლიან რიცხოვნობაში საქმიანობის სახეების მიხედვით, ქალთა ხელფასები შედარებით მაღალია ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება/განაწილების სფეროში, ხოლო დანარჩენ სფეროებში კაცების ანაზღაურებას 11%-ით და მეტით კვლავაც ჩამორჩება.

იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014–2021

სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანია რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტეგრაცია რეგიონის განვითარებაში. მის მისაღწევად განსაზღვრულ ამოცანებში გათვალისწინებულია გენდერული პოლიტიკის მხარდამჭერი კონკრეტული მი-

მართულებები, მათ შორის ისეთი ქმედითი პროგრამების და ღონისძიებების შემუშავება/განხორციელება, როგორებიცაა: 1. დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება; 2. ახალგაზრდების ჩართვა რეგიონის განვითარების საკითხებში; 3. ახალგაზრდობის განვითარება; 4. სხვადასხვა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების (შშმპ, დევნილები, ხანდაზმული მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობები და ა.შ.) ინტეგრირება რეგიონის ცხოვრებაში; 5. შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და თავისუფლად გადაადგილების პირობების შექმნა; 6. ხელისუფლების როლის გაძლიერება მოსახლეობასთან თანამშრომლობისა და რეგიონის ცხოვრებაში მისი ჩართულობის გაზრდაში; 7. გენდერული თანასწორობის ხელშემწყობა.

ამ სტრატეგიის განხორციელებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ქუთაისს და მისი მონიტორინგი სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება.

გენდერული თანასწორობა მუნიციპალური მომსახურების საკადრო სფეროში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო:

საკრებულოს აპარატში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებულია 35 თანამშრომელი. მათ შორის: ქალი - 19, მამაკაცი - 16. აქედან საკრებულოს აპარატის უფროსი - მამაკაცია, ხოლო 4 განყოფილების უფროსიდან 3 ქალი და 1 მამაკაცია. აქ მდგომარეობა საკმაოდ კარგია.

სამაგიეროდ, დიდია დისბალანსი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობაში და დაკავებულ თანამდებობებში. 25 წევრიდან ქალია - 3; მამაკაცი - 22. 14 თანამდებობის პირიდან 12 მამაკაცია და მხოლოდ 2 ქალი. შტატგარეშე, ანუ, შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი 9 თანამშრომლიდან ქალია - 6, მამაკაცი -3.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია. აქ დასაქმებულ-

თა საერთო რაოდენობაა 341. მათ შორის: მამაკაცი - 180; ქალი -161 (წამყვანი სპეციალისტი - 66, მთავარი სპეციალისტი - 95).

თანამდებობრივი ასპექტი: ხელმძღვანელ თანამდებობებზე 99% მამაკაცია. ქალისა და კაცის ხელფასების თანაფარდობის კოეფიციენტი მერიაში 99,93.

აშკარაა, რომ ხელფასების განაწილებაში გენდერული ბალანსი დარღვეულია და თანამდებობრივ ვერტიკალში ხელფასები მკვეთრად დიფერენცირებულია.

მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ერთ დასაქმებულზე (პრემიების ჩათვლით) 2016 წელს შეადგენს 1114,70 ლარს.

სახელფასო დანახარჯების გენდერული ასპექტი ეფუძნება ერთი და იგივე დონის სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის ხელფასების შეფარდებას. ამ კუთხით არსებული მდგომარეობა ქუთაისის თვითმმართველობაში შემდეგია: სახელფასო სარგოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკრებულოს თანამდებობის პირების მთლიანი ყოველთვიური ანაზღაურება არის 24950 ლარი, აქედან ქალების წილზე მოდის 3400 ლარი. რაც შეეხება საკრებულოს აპარატს, აქ ყოველთვიური სახელფასო განაკვეთის თანხა 25500 ლარია, საიდანაც ქალების სარგებელია 12000 ლარი (47%), ხოლო კაცების - 13500 ლარი (53%).

თუ ავიღებთ ქალების მიერ ინიცირებული პროგრამების და გადაწყვეტილებების სტატისტიკას, რამდენად იყო ისინი მხარდაჭერილი, ვნახავთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობაში 3 ქალი დეპუტატია წარმოდგენილი: ირმა პეტრიაშვილი, ლელა ქელბაქიანი, ნატო ქათამაძე. მათ შორის 2 საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეა (ირმა პეტრიაშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ლელა ქელბაქიანი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

მათ მიერ დასმული საკითხები, არაერთი წინადადება, მოსაზრება, განცხადება აქტიურად განიხილებოდა საკრებულოს სხდომაზე, რიგი საკითხებისა იქნა მხარდაჭერილი. მაგალითად - მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების სიმრავლის საკითხი (შედეგად აშენდა 3 საბავშვო ბაღი, მოხდა რიგ საბავშვო ბაღებზე ფლიგელების მიშენება). გათვალისწინებული იქნა წინადადებები: ქუთაისში საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების მიღება-განთავსების საკითხი გაუმჯობესებულია.

გენდერული პოლიტიკის დანერგვისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის გამჭვირვალობის და კომუნიკაციის საკითხი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს/მერიის ვებგვერდებზე ინტენსიურად და ოპერატიულად ხდება ინფორმაციის განთავსება თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, საკრებულოს სხდომების, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის სხდომების მუშაობის შესახებ. მიუხედავად ამისა, საკრებულოს/მერიის ოფიციალურ გვერდზე ნაკლებად ქვეყნდება ინფორმაცია გენდერულ ჭრილში (მაგ. არ ხდება დასაქმებული პერსონალის გენდერული სურათის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და სხვა).

ანგარიშგების სისტემა. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ასახულ პროგრამებს ახორციელებს შესაბამისი სამსახური, აქვს ბიუჯეტი. პროგრამა აღწერილია, განსაზღვრულია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები. პროგრამის განხორციელება გაწერილია ვადებში. ამასთან, როგორც შესაბამისი სფეროების ექსპერტები აღნიშნავენ, სასურველია, ახალი პროგრამები დაფუძნებული იყოს კვლევაზე, რამდენია ამა თუ იმ სერვისის საჭიროების მქონე ბენეფიციარი, რა რესურსებია ოპტიმალური ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, როგორ დაიგეგმოს პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, ეფექტის შესწავლა, რათა სამომავლო პერსპექტივებით მაქსიმალურად სამართლიანად იქნეს გათვალისწინებული ყევლა შენიშვნა და შეფასება.

თვითმმართველობაში განხორციელებულ გენდერულად სენსიტიურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ინსტიტუტებთან გაფორმებული მემორანდუმები: 2013 წლის 18 დეკემბერს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ფონდ „სოხუმსა“ და ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შორის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ფუნქციონირებს გენდერული საკონსულტაციო საბჭო, დამტკიცებული გენდერული პოლიტიკის პროგრამით. საბჭო შეიქმნა 2013 წლის 18 დეკემბერს ფონდ „სოხუმსა“ და ქუთაისის საკრებულოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. მისი ძალისხმევით მოხდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება გენდერული განათლების მიმართულებით.

თვითმმართველობის გენდერული კომპეტენტურობის თვალსაზრისით, ფონდი „სოხუმის“ ხელშეწყობით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ შემუშავდა გენდერული პოლიტიკის გეგმა. მისი გავლენით მეორე წელია ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების“ პროგრამა ითვალისწინებს გენდერული საკითხების განხორციელების კონტროლს. ადგილობრივ ტელევიზიაში გენდერული პოლიტიკის გეგმის ფარგლებში (ტ/კ „რიონი“) მომზადდა გადაცემა და გაიმართა დისკუსია გენდერულ თემებზე. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა. 2016 წლის მანძილზე ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ მერიისა და ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერილი რამდენიმე პროექტი განხორციელდა.

მუნიციპალიტეტში დანერგილია გენდერული და შშმ პირთა მრჩევლების ინსტიტუტი: ქალაქ ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრია ქალაქ ქუთაისის მერის წარმომადგენელი; ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურში არის მერის წარმომადგენელი შშმ-პირთა საკითხებში,

რომელიც ინფორმაციას შშმ პირების საჭიროებებზე აწვდის ქალაქის მერს. მოცემული ინსტიტუტები გარკვეულ გავლენას ახდენს თვითმმართველობის გენდერულ პოლიტიკაზე.

რა პუნქტებში არსებობს ბიუჯეტში ჩანაწერი „გენდერული“ და რა პროგრამებთან მიმართებაში:

-2016 წლის ბიუჯეტში პირველად გაჩნდა ჩანაწერი (ფრაზა)- „გენდერული საკითხების და მასთან დაკავშირებული პრობლემების აღქმა და ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვა“. საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ შემუშავდა გენდერული პოლიტიკის გეგმა 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. შესაბამისად, ბიუჯეტში გათვალისწინებულია გენდერული მიმართულებით პრობლემების გადაწყვეტის გზები, რაც გამოიხატება ახალი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დამატებასა და სათანადო თანხების მოძიების თვალსაზრისით. ქუთაისის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, ძირითადად, ორიენტირებულია სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის, ზოგადი ინფრასტრუქტურის და ქალაქის კეთილმოწყობის მიმართულებით.

იგპ-თა მიმართ პოლიტიკა, როგორც თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის ნაწილი.

პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, თეორიულად ხელმისაწვდომია დევნილებისათვის. იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუძლიათ სარგებლობა ყველა იმ პროგრამით, რომელიც ქალაქში ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. თუმცა არ არის ცალკე მხოლოდ მათ საჭიროებებზე მორგებული პროგრამები. სუსტია თანამშრომლობა და კოორდინაცია დევნილთა და განსახლების ადგილობრივ და ცენტრალურ სტრუქტურებთან. ნაკლებად დგას ამ კატეგორიის მოქალაქეთა ადგი-

ლობრივი ინტეგრაციის და მათი სოციალური რესურსის გამოყენების საკითხი.

საინტერესოა გენდერული პარამეტრების დასანერგად ადგილობრივი რესურსების გაზრდის პოლიტიკა - არის თუ არა გრანტების მოძიების ეფექტური სისტემა. არის თუ არა მცდელობა დონორებთან ურთიერთობის პრაქტიკის, ინვესტიციების მოზიდვის და ადგილობრივი სტრატეგიის შემუშავების, განსაკუთრებით გენდერული პოლიტიკის დანერგვის კუთხით? ქალაქ ქუთაისის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტები გათვლილია, როგორც ქალების, ისე მამაკაცების საჭიროებებზე. მისასალმებელია, რომ ბიუჯეტში არსებობს ჩანაწერი (ფრაზა) გენდერული პოლიტიკის კუთხით. მუნიციპალიტეტის შენობაში არსებობს დარბაზი სახელწოდებით: „გენდერული საკონსულტაციო საბჭოს დარბაზი“, 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებისას საკითხები განხილულ იქნა გენდერულ ასპექტში, თუმცა ამ ეტაპზე გენდერული პარამეტრების დასანერგად არ მიმდინარეობს გრანტების მოძიება.

ბიუჯეტის გენდერული ანალიზის ფარგლებში შესწავლილი იქნა, რამდენად ეფექტურია ორსულთა, მეძუძურთა, ჩვილ ბავშვთა დაცვის ადგილობრივი ღონისძიებები. როგორც გაირკვა, არ არსებობს ადგილობრივი სტატისტიკა მკვდრადშობილთა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შესახებ, უფრო მეტიც - ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ზედმეტად მიიჩნევენ ამ მონაცემების შეგროვებას. თუ მოვიშველიებთ ეროვნულ სტატისტიკას, საქართველოში ბოლო 2012-2015 წლებში ბავშვთა სიკვდილიანობის კლების ტენდენციაა. მაგრამ მაჩვენებელი მაინც საგანგაშოა (განვითარებულ ქვეყნებში ყოველ ათას ცოცხლადშობილზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი 6-ს შეადგენს, ხოლო საქართველოში – 12-ს. ბოლო წლებში მკვდრადშობადობის კოეფიციენტი 1000 ცოცხალშობილზე იყო 10,6). ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კუთხით არსებული მაჩვენებელიც ორჯერ აღემატება განვითარებულ ქვეყნებ-

ში ბავშვთა სიკვდილიანობის მონაცემებს (2015 წელს 0-დან 5 წლამდე ასაკის 576 ბავშვი გარდაიცვალა).

ერთი შეხედვით, საქართველოს ათასწლეულის მიზანი მიღწეული აქვს. სამიზნე წერტილი იყო აღიარებული კოეფიციენტი 16, საქართველოში სტატისტიკური მონაცემები კი 10,9 - 10,6 შორის მერყეობს. მაგრამ ეს მაინც საგანგაშო მაჩვენებელია.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა მიბმულია ქვეყანაში ცხოვრების დონეზე. ეს გენდერულ ინდიკატორთა კატეგორიას მიეკუთვნება. რაც უფრო უკეთესი გახდება ცხოვრება, მით უფრო არის შანსი, შემცირდეს ჩვილ ბავშვთა და ახალშობილთა მოკვდაობის მაჩვენებელი. საერთო ფონი თუ გაუმჯობესდება, ეს აისახება ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე. საკითხის მოგვარება ეხება მათი აზრით, არა მარტო ჯანდაცვის სამინისტროს, არამედ კერძო სექტორს, საზოგადოებას, თვითმმართველობას. უნდა მოხდეს ქალთა უკეთესი განათლება რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში. მონიტორინგი, როგორია დედის ჯანმრთელობა და მისი სამედიცინო მომსახურება ორსულობის დროს. რამდენად იყო ქალის ორგანიზმი მზად ორსულობისთვის, რომ შემდეგ შვას არა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანი ახალშობილი, არამედ ცხოვრებისუნარიანიც, ანუ პათოლოგიისა და სხვადასხვა დეფექტების გარეშე. ექსპერტები წუხილს გამოთქვამენ იმაზე, რომ როცა თანმხლებ დაავადებას აქვს ადგილი, რამაც გარდაცვალება განაპირობა, შესაბამისად, შემთხვევის შესწავლა არ ხდება.

ცნობილია, რომ დაავადებათა ეროვნული ცენტრი გეგმავს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის რეგისტრის საპილოტე პროგრამის დაწყებას, ანუ ადგილზევე დარეგისტრირდება მონაცემები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გენდერულად სენსიტიური საკითხის მოგვარებისთვის, ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტის მუხლებში უნდა აისახოს შესაბამისი ღონისძიებები ამ მიმართულებით.

III. დასკვნა

ბიუჯეტში გენდერული საკითხები არ არის ცალკე გამოყოფილი და ინტეგრირებულია ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამაში. მას არ გააჩნია კონკრეტული მიზნობრივი ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მიდგომითაც შეიძლება გენდერული საკითხების მხარდაჭერა ბიუჯეტით, მაგრამ საერთოდ, როგორც წესი, ბიუჯეტირების პროცესში მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი გენდერული ჯგუფების საჭიროებების კვლევა არ ხდება. ბიუჯეტის ფორმირებისთვის მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენა, ძირითადად, ეყრდნობა იმ შეხვედრებს, რომლებსაც ატარებენ მაჟორიტარი დეპუტატები თავიანთ მუნიციპალიტეტებში. ასევე - ბიუჯეტის ფორმირების დაწყებამდე ტარდება ორი შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც ხდება შეგროვილი ინფორმაციის განხილვა და უკვე რეკომენდაციებად წარდგენა ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

საჭიროებათა კვლევის პრეცედენტი შექმნილია ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ, რომელიც მესამე წელია ცდილობს, შეისწავლოს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს თვითმმართველობას. გამოიკვეთა, რომ პრიორიტეტების შერჩევისას ექსპერტის გამოყენება უფრო ეკონომიკური სტრატეგიის კუთხით ხდება. სადაც ისინი უფრო გრძელვადიან ხედვას იმუშავებენ, რეკომენდაციები მიდის ხელისუფლებასთან და ისინი შემლებისდაგვარად ახდენენ მათ ასახვას ბიუჯეტებში. თუმცა სოციალური ბიუჯეტის ფორმირებისას ეს ჩართულობა ნაკლებია.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებობს გენდერული პრობლემების გარკვეული სპექტრი, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა გარემოებებით: დემოგრაფიული მდგომარეობით; შობადობის შედარებით მცირე ზრდით; სიღარიბის

მაღალი ხვედრითი წილით; ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებით; შედარებით მოკლევადიან ეფექტზე გათვლილი სოციალური დაცვის სისტემით; ბოლომდე მოუგვარებელი სოციალური ინფრასტრუქტურით; და სხვ. ეს და სხვა პრობლემები ზემოქმედებს ოჯახების როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და საბოლოო ჯამში წარმოშობს წინააღმდეგობებს ახალი ოჯახების შექმნასა და განვითარებაში.

ამ საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება მუნიციპალური ხელისუფლების ფუნქციაა და მისი საბიუჯეტო მაჩვენებლების დაგეგმვისა და განხორციელების სტრატეგიულ ორიენტირებს უნდა შეადგენდეს.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტისთვის შედარებით უფრო ხელმისაწვდომია იმ ოჯახების გამოვლენა, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება.

გენდერულად მნიშვნელოვანია ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რამდენადაც ქალები ყველაზე მეტად ამ სფეროებში არიან დასაქმებულნი. გენდერულ ჭრილში ეს არის სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ინდიკატორი და ავლენს იმ ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობას, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. შრომის ბაზრის ჩატარებული ფრაგმენტული კვლევების შედეგებიც მოწმობს ამ კუთხით მუშაობის აუცილებლობას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია სრულ თანხვედრაშია მსოფლიოს 15 წლიანი მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებთან (მის 17 მიზანს და 169 ამოცანას ხელს აწერს 193 ქვეყანა, მათ შორის საქართველო. გენდერულ საკითხებს უშუალოდ მე-5 მიზანი ეხება. მასში ნათქვამია: „ჩვენ გადავწყვიტეთ, 2030 წლამდე დავამთავროთ სიღატაკე და შიმშილი ყველგან; ვებრძოლოთ უთანასწორობას ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; ვაშენოთ მშვიდობიანი, სამართლიანი და ინ-

კლუზიური საზოგადოებები; დავიცვათ ადამიანის უფლებები და ხელი შევუწყოთ გენდერულ თანასწორობას, ქალთა და გოგონათა უფლებების რეალიზებას; უზრუნველვყოთ პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების უწყვეტი დაცვა.

ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ მდგრადი, ინკლუზიური და განგრძობილი ეკონომიკური ზრდის, გაზიარებული კეთილდღეობის, ყველას ღირსეული სამუშაოთი უზრუნველყოფის პირობები, ეროვნული განვითარების სხვადასხვა დონისა და შეძლებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის აგებისას გათვალისწინებული იქნეს მოცემული ამოცანების რეალიზებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალების გენდერული ძალადობისაგან დაცვის ღონისძიებების მხარდაჭერა, მითუმეტეს, თვითმმართველობას ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით დაეკისრა პასუხისმგებლობა ძალადობის პრევენციის, მსხვერპლის დაცვის კუთხით.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისზე მეტად არის დატვირთული სოციალური ვალდებულებებით, მაგრამ ხშირად ეს არ არის მორგებული იმ რეალურ საჭიროებებს, რომელიც გააჩნიათ ქალთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფებს.

ამავე დროს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიუჯეტის გენდერული პარამეტრებით აგება ხელს უწყობს საჯარო სახსრების სამართლიან და ეფექტურ განაწილებას, ბიუჯეტის დაგეგმვისას სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებას. გენდერული ბიუჯეტი, ასევე, ხელს უწყობს კარგი მართვის პრინციპების გამყარებას, ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას. მონაცემთა გენდერულ ჭრილში აღრიცხვა კი გაზრდის ქუთაისის ბიუჯეტის გენდერულ პასუხისმგებლობას.

ჩატარებული საქმიანობის გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა შემდეგი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებების შემუშავება:

IV. სარეკომენდაციო წინადადებები:

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენისას მოსახლეობის ყველა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების გენდერულ ჭრილში სრულად და სამართლიანად გასათვალისწინებლად, უმჯობესია თვითმმართველობა დაეყრდნოს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთეულებიდან წარმოდგენილ და დეპუტატების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულია საჭიროებათა სოციალურ–ეკონომიკური კვლევების ჩატარება თვითონ მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.

ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო დონორთა მიერ გამოყოფილი გრანტები, მათი მოპოვება შესაძლებელია პერიოდულად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის გზით. ასეთ კონკურსებში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ თვითმმართველობებმა, ან/და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თვითმმართველობებთან ერთად.

ასეთი მიდგომით შედგენილი მუნიციპალური ბიუჯეტი, მეტად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, გაეროს მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებს და გენდერული მიმართულებით დასახულ ამოცანებს. ამისათვის, ქუთაისის მუნიციპალიტეტს ყველა წინაპირობა გააჩნია.

2. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტის მაღალ დონეზე შემუშავება და ბოლო წლებში მიღწეული პოზიტიური შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობას მისი საქმიანობის ყველა მიმართულებით ექნება წლების მიხედვით შედარებადი საკუთარი მონაცემთა ბაზა (რეალური სტატისტიკა). მარტო ეროვნული სტატისტიკა ყოველთვის ობიექტურად ვერ ასახავს ქალაქებში და რაიონებში არსებულ რეალურ მდგომარეობას, გამოკვეთილ ტენდენციებს.

ამის გაკეთება თვითონ ქალაქების და რაიონების, მისი მოსახლეობის ინტერესებშია. აუცილებლად უნდა იქნეს დაძლეული იმის შიში, რომ ასეთ მონაცემთა ბაზას სათავისოდ და არა-

კეთილსინდისიერად გამოიყენებს რომელიმე პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკოსი.

სასურველია, დაინერგოს ყოველი მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ მომდევნო გუნდისთვის აღნიშნულ მონაცემთა ბაზის ოფიციალურად საჯაროდ გადაცემის პრაქტიკა.

3. როგორც გენდერული, ისე ქალაქისთვის ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების (საჭიროებების) მოგვარებისა და მართვის პროცესში კარგი იქნებოდა მოხალისეების ჩართვა. საერთოდ, მოხალისეობის ინსტიტუტის ევროპული პრაქტიკა შესწავლასა და დანერგვას მოითხოვს.

მოხალისეობის კარგ მაგალითებს იძლევიან ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიცაა: „ბაღის კიდე“, საზოგადოება „ქუთაისელი“ და სხვები.

4. განათლების სისტემაში ახალგაზრდა პედაგოგების, უპირველესად მამაკაცების მოსაზიდად, კარგი შედეგის მოტანა შეუძლია სკოლებში კურსდამთავრებულების სავალდებულო მინიმუმ ერთწლიანი სტაჟირების შემოღებას. 25-45 წლის ასაკში საჯარო სკოლებში პედაგოგებად მუშაობის წახალისება. მაგალითად, პენსიაზე გასვლისას მოხდეს ასეთი პედაგოგებისათვის გაორმაგებული პენსიის დანიშვნა. შეიძლება კანონის ინიცირებაც.

5. მაღალი გენდერული კულტურის ოჯახში და საზოგადოებაში შემოტანის ეფექტური გზა, პირველ ეტაპზე სკოლამდელ განათლებაში ნოვაციური მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემოღება. ერთ–ერთი ასეთი ინოვაციური ინსტრუმენტი იქნებოდა საბავშვო ბაღების ყველა ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელებად გენდერულად სათანადოდ მომზადებული კაცის და ქალის დანიშვნა. ერთ ჯგუფში 2 პედაგოგი აღმზრდელი კაცის და ქალის ერთად მუშაობა, მათი დახვეწილი ურთიერთობა და პირად მაგალითზე ბავშვების აღზრდა, ბევრ ოჯახში, სამწუხაროდ, შვილების აღზრდაში არსებულ უამრავ ნაკლოვანებას აღმოფხვრიდა. სასურველია, არ დაველოდოთ „ზემოდან“ წამოსულ რეფორმებს და მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინიციატივით, თვითონ შექ-

მნას რამდენიმე პილოტური ჯგუფი და სცადოს პროფესიულად დამუშავებული სიახლის მოსინჯვა. თავიდან ეს არ იქნება დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული. წინასწარი ვარაუდით, ინიციატივის რეალიზება, რომელიც იდეალური ოჯახური აღზრდის მოდელის საბავშვო ბაღების ჯგუფებში შემოტანას ნიშნავს. გვჯერა, რომ ამ იდეის განხორციელება საინტერესო და პოზიტიურ შედეგებს მოიტანს, სკოლამდელი განათლების რეფორმაზე დიდ გავლენას იქონიებს და ქვეყანაში ახალი საუკეთესო ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული გენდერული კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

6. ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, როგორც რიცხოვნობის, ისე ანაზღაურების თვალსაზრისით, არსებული აშკარა გენდერული დისბალანსის, ასევე უმაღლესი განათლების მქონე ქალთა უმუშევრობის შესამცირებლად, ქუთაისის თვითმმართველობამ მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს გარკვეული მიზნობრივი ხარჯები იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის თანადაფინანსების გამოსაყოფად, რომლებიც პრიორიტეტულად ქალთა ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს განახორციელებენ. პრობლემების გადასაჭრელად თვითმმართველობის, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალწლიანი მიზანმიმართული თანამშრომლობა იქნება საჭირო.

7. ქუთაისის თვითმმართველობასა და ქალთა ფონდ „სოხუმს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და გენდერულ საკითხებზე ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერია! ეს ფაქტი მისასალმებელია.

დაწყებული თანამშრომლობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს და მას მომავალში მეტი მასშტაბები უნდა მიეცეს. ამ ყველაფერმა, ქუთაისის საკრებულოში და მერიაში დეპუტატების და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე პირების, მათი შრომის ანაზღაურების რეალურ გენდერულ ბალანსამდე უნდა მიგვიყვანოს!

სტრატეგია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის საბჭოს ფორმირებისა და ფუნქციონირებისთვის

გზამკვლევი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის

I. რისთვის გახდა საჭირო „გზამკვლევის“ შექმნა: წარმოდგენილი პუბლიკაცია არის სარეკომენდაციო დოკუმენტი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა[1] და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაადვილების და ამ კანონების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალური გამოყენებისათვის.

„გზამკვლევი“ შემუშავდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმის“ მიერ, მუნიციპალური გენდერული საკონსულტაციო საბჭოების სამწლიანი გამოცდილების საფუძველზე. პილოტური გენდერული საბჭოები დაფუძნდა პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისათვის“ ფარგლებში (პროექტის მხარდამჭერი გაეროს ქალთა ფონდი - UN WOMEN).

---

1 საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მე-4 მუხლის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენს: საკრებულო, გამგეობა, გამგეობის რწმუნებულები.

ფონდი „სოხუმის“ პროექტის ფარგლებში შექმნილი პილოტური გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდებზე: www.fsokhumi.ge, www. gac.fsokhumi.ge.

აღნიშნული პროექტის საბოლოო მიზანი იყო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ხელშეწყობა ადგილობრივ თვითმმართველობაში ადგილებზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვით, რისთვისაც დასავლეთ საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, სენაკი, ოზურგეთი) პროექტის ფარგლებში შეიქმნა პილოტური გენდერული თანასწორობის საბჭოები.

პარალელურად, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ხორციელდებოდა საკანონმდებლო ცვლილების ადვოკატირება ადგილებზე გენდერული საკონსულტაციო საბჭოების დასანერგად, რაც დაგვირგვინდა 2016 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით „გენდერული თანასწორობის შესახებ კანონსა“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“.

ჩვენი ამოცანაა - ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებული პილოტური პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების უკვე არსებული გამოცდილების გაზიარებით მოხდეს ახალი საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისი გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა მუნიციპალიტეტებში, შემდგომში ადგილობრივი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიღება.

მიღებული საკანონმდებლო რეგულაციების დროული ამოქმედება ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ დეკლარირებული გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანო-

ბის პოლიტიკის განხორციელებას; საერთაშორისო ვალდებულებებით გამყარებული, მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისი ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის დანერგვას.

2016 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ „გენდერული თანასწორობის კანონში“ განხორციელებული ცვლილებებით გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის ერთ-ერთი მიზანია, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნით გაიზარდოს ქალების და სხვა სოციალური ჯგუფების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ ადგილობრივ დონეზე მიეცეთ შესაძლებლობა, ჩაერთონ თემის განვითარებაში.

აქ წარმოდგენილი დოკუმენტი დახმარებას სთავაზობს თვითმმართველობის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, საკრებულოს წევრებს, გამგეობის რწმუნებულებს, რომლებიც უშუალოდ სოფლების მოსახლეობასთან მუშაობენ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, თემის აქტივისტებს გენდერული თანასწორობის მიზნების მიღწევაში.

დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება გენდერული თანასწორობის კანონს და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, რომელიც არეგულირებს გენდერული თანასწორობის ადგილობრივი ინსტიტუტის შექმნას და ფუნქციონირებას; დღემდე არსებული პილოტური გენდერული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობის პოზიტიურ პრაქტიკას და გამოწვევებს; გენდერული თანასწორობის საბჭოს ოპტიმალურ შემადგენლობას; ადგილობრივი გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელობას; გენდერული თანასწორობის საბჭოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს; გენდერული მრჩევლის ინსტიტუტს; საბჭოს საქმიანობის წესს. მოცემულია ტერმინთა განმარტება.

II. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ: საქართველოს პარლამენტის მიერ კანონი მიღებულ იქნა 2010 წლის მაისში.

გთავაზობთ ამონარიდებს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონიდან, რომელიც უშუალოდ ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას კანონის იმპლემენტაციის საკითხში.

მუხლი 2. კანონის მიზნები

კანონის მიზნებია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების სფეროში. ითვალისწინებს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზას გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნით; სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვას; მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისკენ, ასევე სოციალური სფეროს განვითარებისკენ მიმართულ სახელმწიფო პროგრამებში გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი ღონისძიებების ჩართვას.

მუხლი 13. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

1[1]. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

1[2]. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი განსაზღვრავს შესაბამის გამგეობაში/მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

3. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარ-

გლებში უწევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

საქართველოს 2014 წლის 5 თებერვლის კანონი №1964 - ვებგვერდი, 19.02.2014 წ.

საქართველოს 2016 წლის 28 აპრილის კანონი № 5069 - ვებგვერდი, 13.05.2016 წ.

III. გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციონალიზაცია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში

2016 წლის 28 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებით, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესული ცვლილების პარალელურად შევიდა ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში[2], რომლითაც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს განესაზღვრათ სათათბირო ორგანოების (საბჭო, კომიტეტი და სხვა) შექმნა და მათი საქმიანობის წესის განსაზღვრა. მოცემული ინსტიტუტი პასუხობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებს - ამ მოცემულობაში გენდერული თანასწორობის კანონში შესულ ცვლილებას, რომელიც კარგად ესადაგება არსებულ პოლიტიკურ ტენდენციებს - გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვას და მათი ქმედითობის უზრუნველყოფას.

---

2 საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". 24-ე მუხლის პირველ პუნქტის ბ.თ) ქვეპუნტი. „მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით სათათბირო ორგანოების (საბჭო, კომიტეტი და სხვა) შექმნა და მათი საქმიანობის წესის განსაზღვრა;". (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge)

IV. პილოტური გენდერული საბჭოების გამოცდილება

1. ფონდი „სოხუმის“ მიერ დანერგილი პილოტური გენდერული საკონსულტაციო საბჭოები ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში საქართველოს რეალობაში პირველი მოდელია, რომელიც ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის დანერგვას უწყობს ხელს. საბჭოების მიერ დეკლარირებული იყო გენდერულად სამართლიანი, ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის ხელშეწყობა, რისთვისაც დაინერგა საჭიროებათა კვლევის, გენდერული მონიტორინგისა და ანალიზის კომპონენტები. ფოკუსი გაკეთდა ქალების, მრავალშვილიანი დედების, მარტოხელა მშობლების, ახალგაზრდების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების სასიცოცხლო საჭიროებებზე, ზოგადად სოციალური და ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შედარებით გრძელვადიან პერსპექტივებზე; ბიუჯეტის ფორმირებისას და მისი შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოქალაქეთა ჯგუფების ჩართულობაზე.

დაიწყო გენდერული ბიუჯეტის პრაქტიკის დანერგვა, რომელიც გულისხმობს ყველა ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფის ინტერესის გათვალისწინებას და მათ მონაწილეობას ადგილობრივი რესურსების განაწილებაში, გენდერულ მონიტორინგსა და ანალიზზე დაფუძნებულ დაგეგმარებას, პროგრამების შედგენისას საჭიროებათა კვლევის შედეგების გათვალისწინებას, შესრულებული პროგრამების ეფექტის დადგენას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათ შორის ქალების, ახალგაზრდების და ა.შ. უფრო გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

პილოტური გენდერული საბჭოების აღიარებული პრაქტიკით, ასეთი მიდგომა ბევრად უფრო ანგარიშვალდებულს ხდის ხელისუფლებას, ბევრად უფრო მეტია მგრძნობელობა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისადმი.

დასამალი არ არის, რომ თითქმის არცერთ მუნიციპალი-

ტეტში საბიუჯეტო პროგრამები არ ეფუძნება კვალიფიციურ კვლევებს. არსებული სტატისტიკა პირობითია და პროგრამის მოსარგებლეთა/მსურველთა რაოდენობას ასახავს მხოლოდ, მაშინ, როცა უცნობია პროგრამის რეალური საჭიროებების მქონე ბენეფიციართა სრული შემადგენლობა. გენდერული საბჭოების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება სწორედ ადგილობრივი სტატისტიკური ბაზის დახვეწა უნდა გახდეს.

2. მიღებული რეკომენდაციები და საბჭოს ეგიდით განხორციელებული პროექტები: პილოტური გენდერული საბჭოების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული რეკომენდაციები ეხებოდა გენდერული განათლების აუცილებლობას; ქალების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობას; სოციალური ინფრასტრუქტურის, კერძოდ, სკოლამდელი განათლების სერვისის კეთილმოწყობას და სერვისის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას; გენდერული ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვას; რეპროდუქტიული შრომის დაფასებას; ხანდაზმულთა დაცვას; ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გენდერული გამოწვევის, ოჯახში ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი პოლიტიკის დანერგვას; გრძელვადიან პროექტებს ახალგაზრდების განვითარებისათვის და ა.შ.

დანერგილია ქსელური მუშაობა, შექმნილია საქართველოს ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების ქსელი. მასში გაერთიანება ახალშექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოებს გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებას მისცემს.

პილოტური გენდერული საბჭოების ერთ-ერთი მონაპოვარია ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შედგენა, რომელიც შესაბამისობაშია გენდერული თანასწორობის კანონის ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან. ნიშანდობლივია, რომ ამ სტრატეგიული გეგმის მნიშ-

ვნელოვანი ნაწილი ინტეგრირებულია ადგილობრივ პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

3. გენდერული განათლება: საბჭოების საქმიანობის ქვაკუთხედი იყო უწყვეტი გენდერული განათლება, რადგან დასამალი არაა, ამ საკითხში განათლების და ცნობიერების ამაღლება ჩვენი საზოგადოების ყველა დონეზე სასიცოცხლოდ აუცილებელია. პირველ რიგში - საკანონმდებლო ბაზით გათვალისწინებული თვითმმართველობის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების სწორი გააზრება, არსებული ტენდენციებისა და ქვეყნის მიერ აღებული კურსის შესაბამისი ინოვაციური მიდგომებისა და პროექტების დანერგვა, კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება საკუთარ მოქალაქეებთან და რეალური თვითმმართველობის პრინციპების დაცვა; განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანების (შშმ პირები, უსახლკაროები, დევნილთა უმწეო ჯგუფები, მარტოხელა მშობლები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები და ა.შ.) პრობლემების დანახვა და არსებული რესურსების შესაბამისი, კვლევებზე დაფუძნებული ღონისძიებების დაგეგმვა.

V. გენდერული თანასწორობის საბჭოს ოპტიმალური შემადგენლობა

გენდერული თანასწორობის კანონში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, კანონპროექტის დანართის თანახმად, მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების შემადგენლობაში, ძირითადად, უნდა შევიდნენ საკრებულოს თავმჯდომარე; ფრაქციების, კომისიის თავმჯდომარეები; კანონით განსაზღვრული - მუნიციპალიტეტის გამგებელის/მერის მიერ შესაბამის გამგეობაში/მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე (გენდერული მრჩეველი); ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის მიერ დელეგირებული წარმომადგენელი. ასევე - საკრებულოს თავმჯდომარისთვის მი-

მართვის საფუძველზე - ადგილობრივი კვალიფიციური სამოქალაქო სექტორის დაინტერესებული წარმომადგენლები.

VI. საბჭოს საქმიანობის წესი

საბჭოს საქმიანობის წესს/დებულებას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე. საბჭოს წევრების შემადგენლობაში საპირისპირო სქესის წარმომადგენლები უნდა იყვნენ არანაკლებ 40%-ისა.

ფონდი „სოხუმის“ პილოტური პროექტის გამოცდილებით, მართალია, გადაწყვეტილების ბერკეტები თვითმმართველობის პირველ პირებს აქვთ და მათი მონაწილეობა საბჭოში აუცილებელია, მაგრამ არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, არის რეკომენდაცია, საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ საკრებულოს რიგითი წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებიც.

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში: ადგილობრივი კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობა საბჭოს მუშაობაში აუმჯობესებს საზოგადოებასთან საბჭოს კომუნიკაციის ხარისხს, ახალი თემებისა და ინოვაციური პროექტების მაჩვენებელს, ზრდის საბჭოს ადამიანურ და ინტელექტუალურ რესურსს, განსაკუთრებით - გენდერული საკითხების გააზრებაში, ბევრად უფრო მოქნილს ხდის ახალი რესურსებისა და დონორების მოზიდვის პოლიტიკას, რომელთათვისაც შედარებით უფრო მიმზიდველია სამოქალაქო და სახელმწიფო სექტორის ერთობლივი საქმიანობის პრაქტიკა გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხში (თვალსაჩინო მაგალითია ოზურგეთის გენდერული საბჭოს მიერ ინიცირებული პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“, რომელმაც მომდევნო ეტაპზე ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერა მოიპოვა).

VII. გენდერული მრჩევლის ინსტიტუტი

სადღეისოდ არაერთ მუნიციპალიტეტში მოქმედებს გენდერული მრჩევლის ინსტიტუტი, როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში (ზოგან არის სპეციალური შტატი, ზოგან მოვალეობას ითავსებს სხვა სამსახურებრივ პოზიციაზე მყოფი საჯარო მოხელე).

2017 წლის 1 იანვრიდან მერიაში/გამგეობაში დაშვებულია საშტატო ერთეული, რომლის ფუნქციები, უფლებამოსილება ასევე რეკომენდებულია გენდერული თანასწორობის კანონის პროექტთან წარმოდგენილ თანმხლებ პაკეტში. მათ შორის - გენდერულ ჯგუფებთან კომუნიკაცია, გენდერული გამოწვევების დადგენა, ადგილობრივი საკანონმდებლო აქტების გენდერული ექსპერტიზა, საბჭოს დღის წესრიგის მომზადება, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა საქმიანობის წარმართვა, ადგილობრივ საკანონმდებლო და აღმასრულებელ რგოლებს შორის გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა და ა.შ.

ჩვენი დაკვირვებით, არსებობს მახინჯი პრაქტიკა ამ პოზიციაზე შემთხვევითი და გაუთვითცნობიერებელი ადამიანების დანიშვნისა, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის გენდერული საბჭოს ფუნქციონირებას და თვითმმართველობისათვის კანონით მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულებას.

VIII. გენდერული ბიუჯეტირება

თვითმმართველობის წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში გამოხატავენ გაკვირვებას - რას ნიშნავს გენდერული ბიუჯეტი და რით არის ის საინტერესო და განსხვავებული. თუ გენდერულად ორიენტირებული ბიუჯეტი ნიშნავს სოციალურად ორიენტირებულ ბიუჯეტს, რომლის ძირითადი სფეროებია განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, რით ვერ აკმაყოფილებს თვითმმართველობების ბიუჯეტი ამ კრიტერიუმებს: ის ხომ სწორედ ამ სოციალური ვალდებულებებით არის დატვირთული და ორიენტირებულია მოქალაქეების საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე.

უნდა განიმარტოს, რომ გენდერული ბიუჯეტი, პირველ რიგში, ეყრდნობა კვლევებს, რომელიც თვალსაჩინოს ხდის მოთხოვნას მომსახურებაზე. ეფუძნება ზუსტ სტატისტიკას (მაგალითად - რამდენი ბავშვია დარჩენილი სკოლამდელი განათლების სერვისის გარეშე, ჩვენს მიერ 5 ახალი ბაღის აშენების შემთხვევაში რამდენის დაკმაყოფლებას შევძლებთ, რამდენი დედა გამოთავისუფლდება აქტიური სოციალური საქმიანობისათვის);

- ნიშნავს ქალებისთვის არა მხოლოდ ერთჯერადი შემწეობების გამოყოფას, არამედ ეკონომიკური განვითარების პროგრამების ხელშეწყობას; მარტოხელა მშობლების პრობლემებში არა მხოლოდ დედების, არამედ მამების საჭიროებების გათვალისწინებას;

- დემოგრაფიულ პრობლემებზე ზრუნვის პოლიტიკაში წყვილების უშვილობის პრევენციის კუთხით აქცენტს არა მხოლოდ ქალის რეპროდუქციაზე, არამედ მამაკაცის ანდროლოგთან კონსულტაციების დაფინანსებას და ა.შ;

- არა მხოლოდ შშმ პირების ზუსტ სტატისტიკას, არამედ მათი მომვლელების საჭიროებებს და იმ პროგრამებზე ზრუნვას, რაც მათ სახლიდან გაუსვლელად შრომით აქტიურობაში შეუწყობს ხელს; შშმ პირების არა მხოლოდ ზრუნვის ობიექტებად მოაზრებას, პანდუსების უზრუნველყოფას, არამედ მათი სოციალური ინტეგრირების პოლიტიკას - მაგ. დასაქმების ხელშეწყობას, სპეციალიზირებული ავტოსკოლის გაკეთებას და ა.შ.

IX. ოჯახში ძალადობის პრობლემა, როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოების ინტერვენციის სფერო

ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით არსებული საგანგაშო სტატისტიკის ფონზე ხელისუფლებამ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებები, რომელშიც მნიშვნელოვანი ვალდებულებები უკვე ადგილობრივ თვითმმართველობასაც აქვს (საქართველოს

ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, მე-4 პუნქტი)[3]. კანონის თანახმად, თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის გარდა განეკუთვნება ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელება. გენდერული თანასწორობის საბჭოების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სწორედ ამ უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფა უნდა იქნეს მოაზრებული, რადგან ოჯახში ძალადობა, რომელიც ყველაზე ხშირად გენდერული ნიშნით ხორციელდება, წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას ადგილობრივ თემში მოქალაქეთა, განსაკუთრებით მათი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

არსებული გენდერული საბჭოების მიერ ამ მიმართულებით უკვე განხორციელებულმა საქმიანობამ მოიტანა ის, რომ მუნიციპალიტეტებში დაიწყო ძალადობის პრევენციის კუთხით მოქალაქეებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა; თვითმმართველობის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ძალადობის გამომწვევი მიზეზების, რისკ-ჯგუფის ოჯახებთან მუშაობის, ძალადობისგან დაცვის სამართლებრი-

3 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ოჯახში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

ვი მექანიზმების თაობაზე; რამდენიმე თვითმმართველობის ბიუჯეტში აისახა ძალადობის მსხვერპლის დახმარების ღონისძიებები (ერთჯერადი დახმარება, დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა და ა.შ.). განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კანონის სამოქმედო გეგმით თვითმმართველობისთვის გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რომელშიც აისახა თვითმმართველობის პერსონალის განათლების, სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგების ტრენინგების, ნაადრევი ქორწინების პრევენციის, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის ღონისძიებები და ა.შ.). ამ კუთხით საჭირო რესურსები, შეიძლება, მოპოვებული იქნეს ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ასევე გამოიყოს რესურსები ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რის შესაძლებლობასაც იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[4]. საკითხის მნიშვნელობა აღნიშნულია „თვითმმართველობის უწყვეტი განათლების კონცეფციაშიც“, რომელშიც ხაზგასმულია გენდერული თანასწორობის დაცვის პრინციპი. კონცეფციაში ნათქვამია, რომ „მუნიციპალიტეტები სასწავლო პროგრამების პასიური მომხმარებლებიდან თანდათან უნდა გადაიქცნენ აქტიურ დამკვეთებად, გაიზარდოს სასწავლო პროგრამების და სწავლების პროცესის ხარისხი“[5]. ეს ნიშნავს, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის საკმარისად არის საკანონმდებლო რეგულაციები და შესაძლებელია ადგილობრივი რესურსების გარკვეული ნაწილის თვითმმართველობის შეხედულებისამებრ განკარგვა, ასევე - ახალი რესურსების მოპოვება.

---

4 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429 [2. მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს (ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან).

5 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2365571.

X. ტერმინთა განმარტება

გენდერი - „სოციალური სქესი" - გულისხმობს სოციალურად განსაზღვრულ როლებს, ნორმებს, ფუნქციებს, აღქმებს, ქცევებსა და იმ მოლოდინებს, რომლებიც ჩვენ მამაკაცებსა და ქალებთან დაკავშირებით გაგვაჩნია მოცემულ საზოგადოებაში, კულტურაში.

გენდერული როლი - კულტურაში არსებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა არის შესატყვისი ქცევა კაცისათვის და ქალისათვის.

გენდერული სტერეოტიპები - ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე და სოციალურ ქცევაზე.

გენდერული ანალიზი - გულისხმობს სისტემატურ ანალიზს, თუ რა განსხვავებული გავლენა აქვს ამა თუ იმ კონცეფციას, პროგრამას, პოლიტიკას ქალისა და მამაკაცის განვითარებაზე. გენდერული ანალიზისთვის უნდა განვასხვავოთ რესურსები, აქტივობები, პოტენციალი და ხელის შემშლელი ფაქტორები ცალკეული პროგრამის/პროექტის განხორციელების დროს, ცალკე - ქალებისთვის და მამაკაცებისათვის; გამოითხოვს სქესით განცალკევებულ მონაცემებს და იმის გაგებას, თუ როგორ არის განაწილებული და შეფასებული შრომა; ხორციელდება განვითარების პროცესის ყველა სტადიაზე, რათა აღმოიფხვრას უთანასწორობა და მიღწეული იქნას განვითარების მიზნების შესაბამისი მაქსიმალური შედეგიანობა.

გენდერული ბიუჯეტი - სოციალურად სამართლიანი, გენდერულ ანალიზზე დამყარებული ბიუჯეტი, რომელიც აკმაყოფილებს სპეციფიკურ გენდერულ მოთხოვნებს. გენდერული ბიუჯეტი არ ნიშნავს ბიუჯეტს 50/50 ქალებსა და კაცებზე, არამედ განაწილებულია საჭიროებების მიხედვით.

დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით - პრაქტიკა, რომლის საშუალებით ერთ-ერთ სქესს ენიჭება უპირატესობა მეორესთან შედარებით. სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რაც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან სრული უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაციის ფორმით.

გენდერული ბალანსი - იგივე გენდერული წონასწორობა. მდგომარეობა, როდესაც დაცულია ქალებსა და მამაკაცებს შორის რაოდენობრივი წონასწორობა, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების, ძალაუფლების, უფლებების და თავისუფლებების თანაბარ განხორციელებას. მაგალითად, თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.

გენდერი და განვითარება - მიდგომა, რომელიც ამახვილებს ყურადღებას სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებზე და რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ მონაწილეობენ, სარგებლობენ და აკონტროლებენ ქალები და მამაკაცები რესურსებს და აქტივობებს. ეს მიდგომა ხაზს უსვამს არა ქალებს, როგორც ჯგუფს, არამედ სოციალურად განპირობებულ ურთიერთობას ქალებსა და მამაკაცებს შორის.

გენდერული სტატისტიკა - სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და წარმოება ცალ-ცალკე ქალებზე და მამაკაცებზე მათი ფუნქციონირების ყველა ასპექტის შესახებ.

გენდერული მიდგომა - მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია, ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს პიროვნების თვითრეალიზაციის თანასწორი და სქესისგან დამოუკიდებელი შესაძლებლობის პოლიტიკა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ის გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალსაც და მამაკაცსაც, მათ როლებს, მოვალეობებს, მოთხოვნილებებს, პოტენ-

ციალს. გენდერული თანასწორობის საკითხი ამ მიდგომისთვის უპირატესია.

გენდერული თანასწორობა - სქესთა თანასწორობა, თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები ორივე სქესისათვის.

გენდერული მგრძნობიარობა - გენდერული განსხვავებებისადმი, გენდერული თანასწორობისადმი და გენდერის, როგორც ადამიანთა შეფასების, ფაქტორისადმი მგრძნობიარე და კრიტიკული მიდგომა.

გენდერული პოლიტიკა - პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება სქესისმიერი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და თანასწორი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად; ასხვავებენ გენდერული პოლიტიკის რამდენიმე დონეს: გენდერულად ბრმა პოლიტიკა, გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა, გენდერულად გაცნობიერებული პოლიტიკა, გენდერულად ტრანსფორმაციული პოლიტიკა.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - მერი გელაშვილი

პროექტის კონსულტანტი - ეკატერინე გამახარია

პროექტის ასისტენტები:
ემა კამკია
ლალი შენგელია
ხათუნა გოგუა
თეა თორინავა
გურანდა გვანცელაძე

რედაქტორი - ლალი შენგელია

დიზაინი - ლია კოსტავა

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
www.gac.fsokhumi.ge